# არილი

1134
2001

№17 (180) საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალი 18 ოქტომბერი
ფასი 80 თეთრი

#17
2001



ეროვნული ბიბლიოთეკა


# არილი

საზოგადოებრივ-ლიტერატურული ასოციაცია "არილის" გამოცემა

The Literary Magazine ARILI


---

არილი - დასასვენებელი სიწმინდეთა(ნი)
სულხან-საბა

არილი - მზის შუქი, რამეზე დამდგარი
ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი

---


მთავარი რედაქტორი
**შადიმან შამანაძე**

სარედაქციო საბჭო
მალხაზ ხარბედია
(მთ.რედაქტორის მოადგილე)
ლევან აბაშიძე
ია ანთაძე
ირმა არჩუაშვილი
შალვა ბაკურაძე
ანდრო ბუაჩიძე
ნოდარ ებრალიძე
თამაზ ვასაძე
ეთერ ვიბლიანი
ნინი ზურიაშვილი
დათო თედორაძე
ზაზა თვარაძე
ზურაბ კიკნაძე
ვახტანგ კომახიძე
ვასილ მაღლაფერიძე
დავით ნინიკაშვილი
ზვიად რატიანი
ირაკლი სამსონაძე
გულსუნდა სიხარულიძე
სოზარ სუბელიანი
ზაზა ფაჩუაშვილი
ზაზა ჭილაძე
ბესო ხვედელიძე

*მენეჯერი* - მიხეილ ჩიტაძე
*კომერციული დირექტორი* -
გიორგი სუბარი

*კომპიუტერული უზრუნველყოფა*
თამაზ ჩხაიძე



ტელ: 93-37-43; 99-83-00
ფაქსი: 98-67-90;
e-mail: kharbedia@yahoo.com
მისამართი: ლესელიძის ქ. №4



ჟურნალი იბეჭდება გაზეთ
"კავკასიონის" სარედაქციო ბაზაზე






**№17 ხუთშაბათი, 18 ოქტომბერი, 2001**
გამოდის ორ კვირაში ერთხელ


## ნიკო ყიასაშვილი - 75


ალექსანდრე გვახარია
"ნურასოდეს დაბერდებით" ........ 1
ნოდარ კაკაბაძე
ნახევარი საუკუნის მეგობრობა ........ 3


## ლიტერატურა


დავით ქართველიშვილი
ორმთავარკაციანი მოთხრობა ........ 5
თემურ ჩხეტიანი
აღმოსავლეთის ექსპრესი ........ 9
თამრი ფხაკაძე
მოლოდინი ........ 12
ანდრო ბუაჩიძე
დავითაშვილის ქუჩა ........ 14
ტომას ბერნჰარდი
ქუდი ........ 17
მიხაელ როსენი
ლექსები ........ 20


## ხელოვნება


ნოდარ გურაბანიძე
სამყარო თეატრალის თვალით ........ 22
დავით ანდრიაძე
თოჯინები და ანგელოზი ........ 24


## პერსონა


ანდრეი ბიტოვი
ნახევარი საუკუნე პლატონოვის გარეშე ........ 28
პიერ პაოლო პაზოლინი
პლატონოვის ჩევენგური: მოგზაურობა ოციანი წლების რუსეთში.. 30
იოსიფ ბროდსკი
ა.პლატონოვის "ქვაბულის" ბოლოსიტყვაობა ........ 32


## პოლიტიკა


ზაალ დგებუაძე
მოპარული და ფალსიფიცირებული იდეალები ........ 34
ია ანთაძე
ჩვენი არჩევანი ........ 35


## 11/09/2001


ზურაბ ქიაბერაშვილი
სიკვდილი კენჭისყრით ........ 37
ზურაბ ქარუმიძე
დიდი თამაშის დასასრული ანუ გოდო აკაკუნებს ........ 39

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ნურასოდეს დაბერდებით"

## ნიკო ყიასაშვილის დაბადებიდან 75 წლისთავის გამო

ალექსანდრე გვახარია

ბატონ ნიკო ყიასაშვილის ერთ-ერთი უკანასკნელი წიგნია „სკილასა და ქარიბდას შორის ანუ „რა ბრძანეთ, ბატონო ჯოის?", 1992 წელს გამოცემული, დავით კაკაბაძის აბსტრაქტული კომპოზიციით ყდადამშვენებული ეს სამასგვერდიანი კრებული მოიცავს ავტორის მოგონებებისა და კრიტიკულ-ესეისტური წერილების ნაწილს. ვამაყობ, რომ იგი ნიკომ მისახსოვრა ჩემთვის ძალზე საპატიო წარწერით („მეგობარსა და თანამოაზრეს") და ამავე დროს მისი ყოველი გადაკითხვისას გული სინანულით მეკუმშება, რამდენი რამ დარჩა მას კიდევ სათქმელი, დასაწერი, გამოსაქვეყნებელი...

პირველივე გვერდებზე მოთავსებული მოგონებებიდან („ინგლისური დღიურიდან") ყურადღებას იქცევს დიალოგი ლონდონის ერთ ბუკინისტურ მაღაზიაში: „უცებ მოხუცმა ენის ბორძიკით მითხრა: - ყმაწვილო, ერთი რჩევა მინდა მოგცეთ, ნურასოდეს ნუ დაბერდებით. სიბერე ძალზე ცუდი რამ ყოფილა! წამით დავიბენი. მოხუცის ნახევრად სახუმარო, ნახევრად სერიოზულ კილოში მწარე ნაღველი იყო ჩაქსოვილი. რატომღაც სომერსეტ მოემის ერთი ფრაზა გამახსენდა და ღიმილით ვუპასუხე: სიბერეს თავისი ლაზათი აქვს-მეთქი. მოხუცი შეკრთა, გაიღიმა, მადლობა გადამიხადა" (გვ.10).

ნიკო ყიასაშვილმა შეასრულა უცნობი ინგლისელი მოხუცის რჩევა - ის არ დაბერებულა! იმ წელს, როცა მოსალოდნელად და მაინც მოულოდნელად წავიდა. ჩვენგან, სამოცდაათი უსრულდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო დროს ოდნავ მოტყდა გაუსაძლისი პირობებისა (სიცივე, სიბნელე, უტრანსპორტობა) და სხეულში ჩაბუდებული სენის მომძლავრების გამო, მაინც ის ნიკო იყო, რომელსაც ათეული წლებია ვიცნობდი. გარეგნულად მშვიდი, დახვეწილი მანერების მქონე, აკურატული (ბეწვისსაყელოიან ქურთუკში ჩამალულიც კი ელეგანტურად გამოიყურებოდა), უცებ იფეთქებდა ნერვიული რისხვით, რაიმე უწესობასა თუ უსამართლობას შეჯახებული. ახალგაზრდული შემართება და ინტერესი ყოველგვარი სიახლისადმი ლიტერატურასა და ხელოვნებაში ბოლომდე შერჩა.

* * *

აღარც კი მახსოვს, როდის და როგორ გავიცანი. ჩვენ შორის სულ სამი წელი იყო სხვაობა, მაგრამ სტუდენტობის ჟამს, როგორც ჩანს, იგი სერიოზულ ზღვარად აღიქმებოდა. იმ დროს არ იყო აღმართული ჩინური კედლები ფაკულტეტებს შორის, ფილოლოგები, დასავლეთელები და აღმოსავლეთელები ერთი ცხოვრებით ვცხოვრობდით, ერთიანი ინტერესებით ვიფარგლებოდით, გვქონდა საერთო ლექციები და სამეცნიერო კონფერენციები. უმცროსები მოწიწებით ვუსმენდით და შევყურებ-



დით უფროს კოლეგებს. მათ შორის იმთავითვე გამორჩეული იყო დიდი იმედების მომცემი, მაშინ გამეფებული დოგმატიზმის წინააღმდეგ უშიშრად მებრძოლი წყვილი - ნიკო ყიასაშვილი და ნოდარ კაკაბაძე.

* * *

სამაგიეროდ, კარგად მახსოვს, როდის დავახლოვდით. ეს იყო ორმოცდაათიან-სამოციან წლებში მრავალი ჩვენგანისათვის ნათელი ნავსაყუდელი - გრიგოლ კიკნაძისა და დარეჯან რამიშვილის ოჯახი, მათი ერთი ბეწო ბინა. აქ მოგვქონდა ჩვენი საფიქრალი და საზრუნავი შვებისა და დახმარების იმედით და არც ვცდებოდით. ოჯახის პატრონები არა მარტო ხელგაშლით გვხვდებოდნენ (ხშირად საკუთარი მწირი ბიუჯეტისა და დროის დეფიციტის ხარჯზე), არამედ ტაქტიანად ერთმანეთს გვამეგობრებდნენ. აქ უფრო ახლო ვეცნობოდით ერთმანეთს, ერთმანეთის საქმიან თუ პირად ინტერესებს, რაც მერე ამ ოჯახის ფარგლებსგარეთაც გრძელდებოდა. აქ მოვისმინეთ პირველად ინგლისიდან ჩამოსული ნიკოს შთაბეჭდილებები, მისი აღტაცებული მონათხრობი მაშინ ჩვენთვის უცნობი ფილმისა „ვიღაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა", გულიანად ვიცინეთ და ცრემლიც ვღვარეთ ამერიკაში თბილისელ რუბენ მამულიანთან შეხვედრის ნიკოსეულ აღწერაზე („გრეტა გარბო და კატო ბაბო") და ვინ მოთვლის, კიდევ რამდენი რამ ითქმებოდა იმ სულიერებით გამთბარ ვიწრო შუშაბანდში კიბის ქვეშ. ხშირად შინისაკენაც ერთად წამოვსულვართ ფეხით, საუბარში გართულნი (საბურთალოსკენ გზა ერთი გვქონდა).

* * *

შინ წამოსვლა ვახსენე და ამასთან დაკავშირებით ერთი სახასიათო დეტალი უნდა გავიხსენო. ამ თხუთმეტიოდე წლის წინათ უნივერსიტეტში გადმოვედი სამუშაოდ, ირანული ფილოლოგიის კათედრაზე. ამჯერად უკვე ერთ შენობაში აღმოვჩნდით, მეხუთე კორპუსში. ხშირად ვაკითხავ-



ჯ. სტაინბეკი, ი. აბაშიძე და ნიკო ყიასაშვილი. 1963

საქართველოს

დი მის მიერ დიდი სიყვარულით მოწყობილ შექსპირის კაბინეტში და ხშირადაც გვიწევდა ერთად წამოსვლა ნიკოს განუყრელ მეგობართან ნოდარ კაკაბაძესთან ერთად. ამ სანიმუშო მეგობრობას ურყევი საფუძველი ჰქონდა საერთო ინტერესებისა და პრინციპების სახით, მაგრამ ერთში კი საოცრად სხვაობდნენ. თუ ნოდარი სიარულსაც და საუბარსაც გემოს ატანდა, ტაატით მოსეირნობდა (მაშინ ფეხები არ აწუხებდა, მაგრამ მაინც ნელა სიარულს ამჯობინებდა), ნიკო ყოველთვის მიზანსწრაფული იყო და დროის ფუჭად ფლანგვის მოწინააღმდეგე. განსაკუთრებით ეშლებოდა ნერვები ნოდარის ბუნებრივად შერწყმულ ჩვევაზე, გაეჩერებინა ყოველი შემხვედრი, თუნდაც შორეული ნაცნობი, წვრილად გამოეკითხა მისი ამბები, ნათესავების, შორეული მოყვრების (ან კი საიდან ახსოვდა?) ვითარება და ა.შ. ნიკო თანდათან იწყებდა თუხთუხს (ხომ ვიცი, არ აინტერესებს, რას ეკითხება ნეტავი?), დუღილის ტემპერატურას რომ მიუახლოვდებოდა, აქ უკვე მე ჩავერეოდი, ან ნოდარს გადავუკეტავდი საინფორმაციო წყაროს (მგონი გერმანიაში შეარქვეს ("დერ გროსე ფრაგერ" - "დიდი შემკითხველი"), ან ნიკოს გავისტუმრებდი სასწრაფოდ შინ...

* * *

ბოლო წლებში ნიკო ჩვენთან ერთად აღარ ბრუნდებოდა, აღარც სამეცნიერო საბჭოს სხდომებს ესწრებოდა, კათედრაც სხვას გადაულოცა. და შეუდგა სიცოცხლის უკანასკნელ აღმართს, მთელი თავისი მოღვაწეობის დამაგვირგვინებელ მიზანს - "ულისეს" თარგმანის გასრულებას. ამიტომ გახდა მისთვის ყოველი წუთი კიდევ უფრო ძვირფასი, ვიდრე ოდესმე. გრძნობდა, დრო ცოტა რჩებოდა, გასაკეთებელი - ბევრი. თავის დაავადებაზე არ უყვარდა ლაპარაკი. მხოლოდ ერთხელ გადამიხსნა გული, როდესაც აღმოჩნდა, რომ შექსპიროლოგთა კონგრესზე ლოს ანჯელესში ყოფნის დროს შეიძლება მისთვის ოპერაცია გაეკეთებინათ. სათანადო ანალიზები ჩემს ვაჟს გავუგზავნე სტენფორდში, პასუხი დადებითი მოვიდა, თანახმა იყვნენ. ვერ მოასწრო. ნაღმი უფრო ადრე აფეთქდა...

* * *

მაგრამ "ულისეს" თარგმნა კი მოასწრო! როგორი გატაცებითა და პასუხისმგებლობის გრძნობით მუშაობდა! ერთი მონაკვეთის მიხედვით მქონდა ბედნიერება ამისთვის თვალყური მედევნებინა. სტილური ნაირგვარობა დედნისა უნდა აესახა ქართულ თარგმანში "შუშანიკიდან" დღემდე. "ვისრამიანთან" დაკავშირებით მე დავჭირდი და საოცრად სწრაფად გაერკვა მის დეტალებში, ძველ ქართულ ენასთან დაკავშირებით გურამ კარტოზია მიმაყვანინა მასთან, მოიძია ტექსტები, ლექსიკონები... დარწმუნებული ვარ, "მნათობში" გამოქვეყნებულ მეორე ნაწილს (მადლობა ეთქმის თამაზ ჭილაძეს) ისეთივე დიდი წარმატება ექნება, როგორც პირველს, მაგრამ ვაი, რომ ნიკო ამას ველარ იხილავს! ოღონდ გამოცემასაც უნდა თავის მობმა...

* * *

რამდენიმე დიდ საქმეს იყო შეჭიდებული და ყველგან დატოვა წარუშლელი კვალი. მახსოვს, როგორი ენთუზიაზმით შემოიკრიბა მრავალრიცხოვანი სპეციალისტები და მოკლე ხანში "ქართული შექსპირიანას" ტომები დაალაგა. როდესაც გაიგო, რომ თბილისში მცხოვრები სოფიო მარი, იური მარის, ცნობილი ირანისტის მეუღლე, დაინტერესებულია თემით "შექსპირი და აღმოსავლეთი", დამავალა, წერილი დამიწეროსო. არ მომეშვა, არ მოვეშვი, წერილი დაიწერა და გამოქვეყნდა კიდეც ერთ-ერთ მორიგ ტომში. ანდა რა საშვილიშვილო საქმე წამოიწყო, როდესაც შექსპირის ხუთტომეულის გამოცემა განიზრახა, ჩართო ახალი მთარგმნელები, ყოველ თხზულებას ახალი მხატვარი მიუჩინა... სამი შესანიშნავი ტომი გამოიცა, ნუთუ არ შეიძლება ორი დარჩენილი, გამზადებული ტომის გამოცემა?

* * *

ნიკო ცოცხალია, მისი სული ჩვენ შორის ტრიალებს. ახლახან ჟურნალ "არილში" გამოქვეყნდა "მაკბეტის" სპარსულად მთარგმნელის, აბდოლ რაჰიმ აჰმადის ძალზე საინტერესო წერილი. წერილის ქართულად მთარგმნელმა ინგა კალაძემ პუბლიკაციას ასეთი სიტყვები წარუმძღვარა: "პუბლიკაცია ეძღვნება "ქართული შექსპირიანას" სერიის ავტორის - ბატონი ნიკო ყიასაშვილის ნათელ ხსოვნას".

* * *

ნოდარ კაკაბაძისგან ვიცოდი, რომ თითქმის ყოველ დღე, მიუხედავად იმისა, შეხვდებოდნენ თუ არა, ისინი ტელეფონით ესაუბრებოდნენ ერთმანეთს და, ასე ვთქვათ, ანგარიშს აბარებდნენ. ახლა, როდესაც ყოველი ღამის 12 საათზე ჩემთან რეკავს ტელეფონი, ვიცი, რომ ეს ნოდარია, და ანგარიშისათვის ვემზადები (ამ საუბრებს "ძილისპირული" შევარქვით). და არ ყოფილა შემთხვევა, რომ ყურმილის აღების წინ არ გავიხსენო ჩვენთვის ყველასთვის ძვირფასი სახელი - ნიკო ყიასაშვილი!

შემოდგომა, 2001 წელი.

არილი





ფოტო სტენფორდიდან ერთად. 1982 და 1992 წლები.

ნოდარ კაკაბაძე

# ნახევარი საუკუნის მეგობრობა

მე და ნიკო, მართალია, ბავშვობის მეგობრები არ ვყოფილვართ, მაგრამ მაინც საკმაო ხანი მოგვიწია ერთად ყოფნამ, დაახლოებით ნახევარი საუკუნე ერთად ვიყავით, ერთად მოვდიოდით ცხოვრების გზაზე - ჩვენ სტუდენტობის მეგობრები გახლდით - ნამდვილი თანამოაზრენი და ახაბიები, თანამდგომები და თანამოსაგრეები. არასოდეს გვქონია მკვეთრი დაშორება რომელსამე სფეროში, პრინციპული უთანხმოება არაფერში მოგვსვლია. დაახლოებით ერთნაირი ესთეტიკური, ეთიკური და პოლიტიკური კრიტერიუმები და სიმპათია-ანტიპათიები გვქონდა და ეს აადვილებდა ჩვენს მეგობრობასა და ურთიერთობას. ნიკო ჩემი მესამე ძმა იყო ზურასთან და კუწასთან (მიშასთან) ერთად, რომელთა წასვლამ იმიერ ქვეყანაში ძალიან მატკინა გული (რომელთაგან, ფაქტობრივად, ერთი ღვიძლი ძმა იყო, მეორე - ბიძაშვილი, ხოლო მესამე - მეგობარი).

მე და ნიკოს ინტენსიურ და შეუწყვეტელ მეგობრობას სიმტკიცეს უნარჩუნებდა ყოველდღიური კონტაქტები, უშუალო შეხვედრები და სისტემატური სატელეფონო საუბრები...

ნიკო ყიასაშვილი ჭეშმარიტი პატრიოტი იყო თავისი ქვეყნისა, მაგრამ ვერ ეგუებოდა ვერც "სუფრის" ჰურა-პატრიოტიზმს, მკერდზე მჯიღის პათეტიკურ ბაგუნს და ვერც კუთხურ-რეგიონალურ მიკერძოებას, ამერისა და იმერის პრინციპულ განსხვავებას რომ უსვამს ხაზს. ნიკოს არ უყვარდა სენტიმენტალური ჭყლოპინი იმის თაობაზე, რომ რაც კარგები ვართ, ქართველები ვართ, მსოფლიოში ყველაზე ლამაზი ბუნება გვაქვს და ყველაზე ნიჭიერები ვართ მთელ დუნიაზე, სიზარმაცე რომ არ გვიშლიდეს ხელს, სასწაულებს მოვახდენდით და ქვეყანას გადავატრიალებდით... გულს ურევდა ქართული რასითა და გენით ტრაბახი, ეროვნული გამორჩეულობით გულზვიადობა და ქართული "მესიანიზმი".

მეორე მხრივ, ალერგია ჰქონდა ეროვნული ნიჰილიზმის მიმართაც, გადაჭარბებული კოსმოპოლიტიზმიც აღიზიანებდა და ნაციონარული განურჩევლობაც. ერთხელ ნიკო გულის სიღრმემდე შესძრა ერთი მსხვილი პარტიული ფუნქციონერის ცინიკურმა განცხადებამ. როდესაც ამ გაფუყულ და თეძოგანიერ, ფიზიკურად და სულიერად ჩაქონილ გვამს ჰკითხეს, თავის შვილს, რომელიც თან ახლდა, რომელ სკოლაში შეიყვანდა, ქართულში თუ რუსულში, მან წარბშეუხრელად უპასუხა: ეს ჩემი ბიჭი სასკოლო ასაკისა რომ გახდება, მაშინ, ალბათ, ქართული ენის სახსენებელიც აღარ იქნებაო! (სამწუხაროდ, მასის მეხსიერება მოკლეა და ეს მჟავანაძის პერიოდის "რუხი კარდინალი" ახლახან თავისი



ნიკო ყიასაშვილი და ნოდარ კაკაბაძე. 1995.

დროის ერთ-ერთ უდიდეს პატრიოტად და ჭეშმარიტ მწერლად გამოაცხადეს. ღმერთო ჩემო, რას არ მოისმენს კაცი ამ ჩვენს კურთხეულ საქართველოში!)

...მე პირადად, იშვიათად შემხვედრია ადამიანი, რომელიც ასე ვერ იტანდა გარეგნულ რიტუალებს, ფორმალურ ცერემონიებსა და წეს-ჩვეულებებს. მონოლითური პიროვნება იყო: რაც იყო, ის იყო. არ უყვარდა "რომანტიკულობისა" და "პოეტურობის", "მისტიკურობისა" და "ღრმამორწმუნეობის" თამაში (ირონიულ ღიმილს გვრიდა მავანთა შემდეგი ანალოგიური განცხადებანი: "მე გუშინ ღმერთი გამომეცხადა!", "ყოველმა ქართველმა თავის პირადობის მოწმობაში უნდა ჩაიწეროს, რომ ის მართლმადიდებელი ქრისტიანია!"; ერთმა საყოველთაოდ ცნობილმა "ქამელეონმა" საფლავთან წარმოთქმული სიტყვა ასე დაიწყო: "მე ღრმად მორწმუნე ვარ..."). ნიკოსთვის უცხო იყო ცრურწმენები და ცრუმორწმუნეობა, ტარტიუფიზმი და ფარისევლობა, თავს არ იტყუებდა სპირიტიზმითა და "სპირიტუალიზმით", ოკულტიზმითა და საკუთარი პიროვნების მისტიფიცირებით. საოცრად გულგრილი იყო ასტროლოგიური "გათვლებისა" და ჰოროსკოპების მიმართ.

...არასოდეს იტაცებდა სუფრის რომანტიკა, ქეიფის კულტი ყმაწვილობაშიც არა ჰქონია, ირონიულად უყურებდა დარდიმანდობას და ცრუ-რაინდულ პოზებს, სადღეგრძელოებში გამოთქმულ "სიბრძნეს" და სიყვარულს.

ზოგზე ცოტა უკარება კაცის, ცოტა გოროზის, ცოტა სნობის შთაბეჭდილებას ახდენდა. მაგრამ ეს იყო შორიდან მიღებული შთაბეჭდილება, ანდა ნიკოს მორალური შეუვალობით გაღიზიანება.

საერთოდ უაღრესად პრინციპული და სუბიექტურად პატიოსანი იყო, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით - მორალურად სუფთა, "უკანა" აზრების უქონელი, ყოველგვარი ხვანჯებისა და ინტრიგების უმეცარი, თუმცა მტრები, წვრილფეხა მოშურნალ-



სტუმრად რეზო მამულაშვილთან. 1986.

ეროვნული ბიბლიოთეკა



არტურ მილერთან ერთად

არასოდეს დამავიწყდება განთქმული ამერიკელი დრამატურგის არტურ მილერის სტუმრობა თბილისში ნიკოსთან. სუფრას ექვსნი ვუსხედით: არტურ მილერი თავის ახალ, მერილინ მონროს შემდეგდროინდელ ცოლთან, ავსტრიელ ფოტოგრაფსა და ჟურნალისტთან - ინგე მორატთან ერთად, ნიკო და მისი მეუღლე, ოჯახის დიასახლისი, ქალბატონი მერი ციციშვილი, რომელიც, სამწუხაროდ, აღარაა ჩვენს შორის, ჩემი ცოლი და მე. მე და ჩემს მეუღლეს ერთი სული გვქონდა, მერილინ მონროზე ჩამოგვეგდო საუბარი, მაგრამ ნიკოს წინასწარ სასტიკად ვყავდით გაფრთხილებული, კრინტი არ დაგვეძრა კინოვარსკვლავზე, მილერი ამ ქალთან ურთიერთობითა და შემდეგ განშორებით ტრავმირებულიაო (ერთი შეხედვით, არტურ მილერი უკარება, უჟმური, ჭირვეული, დიდებისგან გაზულუქებული ახირებული კაცი გეგონებოდათ, სუფრასთან და ვიწრო წრეში საოცრად გულითადი და გულგახსნილი გამოდგა).

ნი და მოლიზღარნი, მისი უკომპრომისობითა და პირში თქმისმოყვარეობით გალიზიანებული დაუჯერებელი ცილისწამებისათვის სწირავდნენ მას... ერთმა მორიელის ჯიშის მანიაკმა, რომლისთვისაც სიკეთის მეტი არაფერი გაუკეთებია, ნიკოს პირუთვნელობით დაბოღმილმა, ფანტასტიკური ინსინუაციით სცადა მორალურად მოეკლა იგი, მაგრამ ამაოდ... საბოლოოდ ეს ცილი ბუმერანგივით თვითონ ამ მანიაკს მიუბრუნდა უკან... ნიკოს ცხოვრების "ჭადრაკი" არასოდეს უთამაშია და უტილიტარულ მომგებიან სვლებზე არ უფიქრია, მაგრამ მაინც ბევრ უმადურებას წაწყდომია თავის სიცოცხლეში.

...არსებობენ "ცხოვრების ოსტატები", რომლებიც ყველა რეჟიმისა და ყველა მთავრობის დროს ახერხებენ ფავორში ყოფნას, მაგრამ, მეორე მხრივ, არიან ადამიანები, რომლებიც ყველა მთავრობისა და რეჟიმის დროს "ახერხებენ" ჩრდილში დგომას. ნიკო ყიასაშვილი ამ მეორე კატეგორიის ადამიანებს განეკუთვნებოდა. ჩვენ ვიცნობთ ორდენებისა და პრემიების მაძიებელთ, რომლებმაც თავის დროზე ლენინური, სტალინური და ყველანაირი ორდენები და პრემიები "გაკვაჭეს" და ახლაც ღირსებისა და სხვა ორდენებს გამოკრეს ხელი.

არიან ადამიანები, რომლებიც თავიანთ დამოკიდებულებას არსებული მთავრობისა და რეჟიმისადმი იმის მიხედვით აყალიბებენ, რა ხარისხითაც ეს მთავრობა და რეჟიმი მათ წყალობს - თუ მიიჩნიეს, რომ არსებული მთავრობა მათ სათანადო ყურადღებას არ აქცევს, ისინი ფრონდიორები და ოპოზიციონერები ხდებიან. ნიკო ირონიული ღიმილით უყურებდა ხოლმე ასეთ "მეამბოხეებს", ჩვენ ასეთ "ქამელეონებსაც" ვიცნობთ, რომლებიც სუკის ფარული აგენტები იყვნენ, ახლა კი კომუნისტური რეჟიმის კრიტიკოსებად მოაქვთ თავი.

...ნიკო არ ყოფილა ოხუნჯი და საგანგებოდ ენამოსწრებული, მაგრამ ინგლისურ ლიტერატურაზე აღზრდილს შინაგანი, შეფარული, დახვეწილი ჰუმორი ჰქონდა; ჰქონდა კომიზმის შემჩნევის მახვილი თვალი.

...არასოდეს კონფლიქტის, ჩხუბის წამომწყები არ ყოფილა, მაგრამ რა უცნაურადაც უნდა გეჩვენოთ, გასაოცრად გულადი, შეუდრეკელი იყო უსამართლობის წინაშე მდგარი. არაერთხელ შევსწრებივარ, თუ როგორ დაპირისპირებია ნიკო ფიზიკურად გაცილებით უფრო ძლიერ მოძალადეს და სულიერი მედგრობით, ნებისყოფით გაუტეხია იგი. განსაკუთრებით ვერ ეგუებოდა იგი ფიზიკურად სუსტებისა და ცხოველების წვალებას; სიცოცხლის ბოლო დღეებამდე არ დაუკარგავს აღშფოთების უნარი.

...ცალკე თემაა ნიკოს ურთიერთობა და მეგობრობა ინგლისელ და ამერიკელ მწერლებთან და თეატრალურ მოღვაწეებთან.

საქართველოში ყოფნისას თითქმის მუდმივად თან ახლდა ნიკო ჯონ სტაინბეკს.

განსაკუთრებულ ახლო მეგობრულ ურთიერთობაში იმყოფებოდა ნიკო ჩარლზ სნოუსა და მის მეუღლესთან, აგრეთვე ცნობილ მწერალ პამელა ჰენსფორდ ჯონსონთან, ალენ სილიტოუსთან და მის ცოლთან, აგრეთვე პოეტ რუთ ფეინლაიტთან, დიეგო რივერას მეუღლესთან, მხატვართან და მწერალთან, რუსული ჩამომავლობის მარევნასთან (მარევნას, როგორც ნიკოსგან ვიცოდი, ერთხანს თბილისშიც უცხოვრია - ბავშვობასა თუ ყმაწვილქალობაში. მარევნამ, თურმე, ნიკოს ერთხელ მოულოდნელად ძველთბილისური "ფოლკლორის" ერთ-ერთი ნიმუშის ცოდნა "გაუმხილა": "მე რად მინდა დუქანი, ქალი მინდა მსუქანი").

ნიკო სხვადასხვა დროს შეხვედრია და გარკვეული ურთიერთობა ჰქონია მწერლებთან: სომერსეტ მოემთან, უილიამ გოლდინგთან, გრემ გრინთან, ჯონ ბ.პრისტლისთან, ტომ სტოპარდთან, ჰაროლდ პინტერთან, ალენ გინზბერგთან, რობერტ გრეივზთან და მრავალ სხვა გამოჩენილ ინგლისურენოვან ავტორთან, რომელთა სრული ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანდა.

უნდა გავიხსენო აგრეთვე ამერიკაში ნიკოს სტუმრობა ღრმად მოხუცებულ, ერთ დროს ძალიან პოპულარულ კინორეჟისორთან რუბენ მამულიანთან, რომელსაც ნიკომ, ასე ვთქვათ, მისი მუხრანული და თბილისური "ფესვები" "შეურხია"...

...ნიკომ თითქმის მთელი ქართული პოეზია ზეპირად იცოდა. განსაკუთრებით უყვარდა გალაკტიონი, გოგლა, ტიციანი, ლადო ასათიანი... ერთხელ ნიკომ გიორგი ლეონიძე გაოცა მისივე ერთი ლექსის ზეპირად ცოდნით, რომელიც თვითონ პოეტს აღარ ახსოვდა.

ქართველ პროზაიკოსთაგან გამორჩეულად უყვარდა ოთარ ჭილაძე.

...ნიკო ყიასაშვილი ჩემთვის გასაოცარი სტოიციზმითა და სიმშვიდით ეგებებოდა სიკვდილს. მან დიდი ხანია იცოდა, რომ საბედისწერო, განუკურნებელი სენით იყო დაავადებული, მაგრამ თითქმის ოლიმპიური უშფოთველობით ითვლიდა გვერდებს, რომლებიც მას "ულისეს" გასრულებამდე დარჩენოდა...

სიკვდილის წინაშე მდგარს ერთი არ დაუჩივლია, ბედის სამდურავი არ წამოცდენია, თითქოს პრინციპული ფატალისტის აუღელვებლობით შეეგება თავის აღსასრულს...

არილი

**დავით ქართველიშვილი**

# ორმთავარკაციანი მოთხრობა

*მებადური მღეროდა იმას, რასაც ფიქრობდა*
*დემნა შენგელაია*

## შესავალი

მოთხრობა შოთაზეა და ჩემზე. ძირითადნი ჩვენა ვართ, ჩვენა ვტრიალებთ. ჩვენ - შოთა იათაშვილი და დავით ქართველიშვილი. სხვადასხვა შვილები. ისე, ამჯერად მეორეხარისხოვანი ხალხიც არიან. ალაგ-ალაგ გაიჭაჭანებენ, ზოგჯერ ფართოდაც კი გამოჩნდებიან. პროზა ცხოვრებასა ჰგავს, მეორეხარისხოვანი ხალხის გარეშე, უამხალხოდ მოსაწყენია.

მოთხრობას მალე დავიწყებთ.

ოღონდ ჯერ კი იმათ მოგმართავთ, ვინც პროზას შინაარსისთვის კითხულობთ. იქნებ ისეც მოხდეს, რო ეს ჩვენი მოთხრობა ხელთჩაგივარდეთ თქვენა ძვირფასებო, და რადგანაც ჩვენ ჰუმანისტნი გახლავართ (ყოველ შემთხვევაში), ვცდილობთ. არა გვსურს თქვენი მოღლა და თვალისჩინის წარხდენა ამ ჩვენი მოთხრობის თავიდან ბოლომდის წაკითხვით. ამიტომაც მოკლე შინაარსი დავჰსწერეთ და ამ, ჩვენი მოთხრობის ბოლოში მოვათავსეთ. ნახეთ ძვირფასებო ჩვენი მოთხრობის კუდი - P.S.

ახლა კი უკვე იწყება ჩვენი მოთხრობა.

მიმოვიფანტებით ხოლმე აგვისტოში. სხვადასხვა სიმაღლეებზე ავდივართ ზღვის დონიდან, მთებში, ანდა სულაც უცნაურ სახელებიან ზღვებში ვუსვამთ ხელებს (ნიჩბებს). ზოგს უშნოდ შერითმულ მთა-ზღვას მრავალხეიანი ტყეები ურჩევნია და სოკოს კრეფა. ჩვენი ენა ქართული კერკეტი რამეა. მიდი და გარითმე აბა სოკო და დათვი. ვერა, ვერ იზამ. აი, ის ზოგი კი სოკოს მკრეფელი საერთოდაც უგულვებელყოფს მერითმეობას და თბილისში ჩამობრუნებული დათვზე ნადირობის ამბავს ჰყვება. ვერლიბრად ალაგებს.

ზღვებიდან დაბრუნებულები რასაც ჰყვებიან ყველამ კარგად ვიცით. ჩვენ აქ რა თქმა უნდა, მამრებს ვგულისხმობთ, თორემ ზღვებზე ნამყოფი ქალთა კამპანიები მუდამაც საეჭვოდ სდუმან.

ახლა, მთები კიდევ რომანტიკაა.

აგვისტოურ თბილისში კი მათხოვრები არიან და ზამთარ-ზაფხულ გალსტუხიანი კაცები კანცელარიის.

ძირითადად ესენი.

ესე იგი: ბლომად ესენი და ცოტა საქმიანად დარჩენილი ოჯახისშვილები.

შოთა სხვა, მე სხვა საქმემ დაგვტოვა თბილისში.

ქვევით ოდნავ წავიფილოსოფოსებთ თქვენის ნებართვით.

მიწაზე მხოლოდ წყალია, ცაში კი სასუფეველი, პატარის. სხვა ყველაფერი უფროსებს ეკუთვნით, მოთხრობაში პირველი გამოჩენაც მათ შორის.

მაშ ასე, ჯერ

## შოთა

როგორია: მაღალი, ხმელ-ხმელი. ოდნავ მოჩინურო თვალები აქვს, ვიწრო, და ძროხული მიდრეკილებები - ძროხა კომპლიმენტია, ქათინაურია, ძროხა კეთილია, ძროხა მარჩენალია - ბალახზულახს ეტანება - ათასერთნაირი ფხალი კი ვიცით ქართველებმა - და ახალგაზრდა, ქორფა ავტორებს ბეჭდავს ფართოდ თავის გაზეთში.

200 წლის წინ შოთას ერქვა აბატი ჟანი და მძლავრად ცნობილი იმპერატორის კარზედ გავრცელებული ან-



ეკდოტის მთავარი პერსონა გახლდათ. ჯგიროდ იყო, კარგად. პური არ სჭირდებოდა და წყალი. ენისდორბლიანწვერებზე ეჯდა მუქთახორა არისტოკრატებს და იყო.

მერე ყავლი გაუვიდა და წავიდა. წაბრუნდა იქ, იმასთან, ვისთან შედარებითაც მძლავრი იმპერატორიც უფეხებო ტარაკანია. ის კეთილია, ყველას თავისთან იტოვებს. მთლად კარგად იყო იქ, უსახელოდ, უტიტულოდ. ბალახის ღეროზე ეძინა 1966 წლამდის. ჟამმა მოაწია. იმან უთხრა: ხარ შენ დღეიდან შოთა იათაშვილი, ქართველი პოეტი, საქართველოს მკვიდრი!

მიწაზე მოსულ, უკვე შოთას, ეს ამბავი მიავიწყდა. მთლად უარესი: იკლიკანტური წიგნების კითხვა დაიწყო და აერია ტვინი. ესე იგი: პროზის ამბებშიც გაერია და მცირედაც დაისაჯა - თმა გასცვივდა აქა-იქ.

ისე ერთი ღონიერი მოთხრობა კი აქვს - გულდასმითწამკითხველნი ტექსტის. მე ვფიქრობ.

აწმყოში კი შოთა ერთი ძალიან კარგი ვინმეა.

ეხლა

## მე

ვღელავ მეგობრებო! საკუთარ თავზე ლაპარაკი ძნელია. სუ კარგი გინდა სთქვა ოხერი. ამიტომაც გადავწყვიტე მოვიყვანო ამონარიდი (ცუდი სიტყვაა) პროფესორ დავით ქართველიშვილი დიდებული წიგნიდან: "ძვირფასი სილუეტი. დავით ქართველიშვილი, მითი და რეალობა".

ამონარიდი: (ცუდი სიტყვაა)

საშუალოა და ვიწრო. ხშირად წვერს ატარებს, მაგრამ, მუდამ წვერული არაა. უფროსთანასექტელებივით. ჩამოთვლა სწარმოებს წვერის სიგრძის მიხედვით: ზაზა შათირიშვილი, გიო ახვლედიანი, ზურაბ ქარუმიძე, გრეგორ ზამზა. სამნი მეპროზე და ერთი თეორეტიკი.

მოსწონს სამი ადგილობრივი გოგო. ერთი კინომცოდნე, ერთი მსახიობი, ესენი ხანდახან. და ერთიც ჟურნალისტი სულ (ალბათ იმიტომ, რომ იშვიათად ჰხედავს).

წარსული ბნელი აქვს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ 1905 წლის რევოლუციის მონაწილე უნდა იყოს (აქ სცდება ჩვენი პატივცემული პროფესორი).

კი, გადავშალოთ ენციკლოპედია ბრიტანიკა, მეთოთხმეტე ტომი:

ქართველიშვილი დავით - 1976 6.VII თბილისი - 1900 6.V თავრიზი. გადმოსვენებულ იქნა თბილისში 1860 წ. - ქართველი მწერალი, ავტორია რომანებისა "?" (1949, სტალინური პრემია 1948) "!" (1930, სახელმწი-

ფო პრემია 1929) "?!" (1920, დამოუკიდებელი საქართველოს კულტურის სამინისტროს პრემია 1919), "!?" (1907). 1904 წელს არჩეულ იქნა მეფის რუსეთის აკადემიის წევრად.

ქართველიშვილის პროზა გამოირჩევა სასვენი ნიშნების სიმრავლით.

გარდაიცვალა 1900 წელს ქალაქ თავრიზში მიგრენით. 1860 წელს ქართველმა ახალგაზრდებმა (ი.ჭავჭავაძე, აკ.წერეთელი და სხვები(1) ქართველიშვილის ნეშთი დიდის პატივით გადმოასვენეს ქ. ტფილისში.

ინგლისურიდან თარგმნა დ.ქართველიშვილმა

## უფალ შოთას თბილისში დარჩენის მიზეზი

მოკლედ ვიტყვით, მტვერს და ბუქს არ დავაყენებთ.

ბარაქიანი რემონტი გამართა შოთამ სახლში. ხელოსნები ოღრაში ხალხია. თავზე უნდა დაადგე. მიუთითო რალაცეები. ეგრე ქნა შოთამ. მანამდე კი ცოლ-შვილი (მაია და წყვილი გოგო მართლაცრო ცოდნინი იყვნენ იმ ურროების იმ რახარუხში) ქალაქსოდნავგარეთ მდგარ სახლში, ნუ გაპრანჭულად დაჩაზე, ხოლო მთლად ეჰელიტარულად აგარაკზე გახიზნა, ეკოლოგიურად წმინდა მუხათწყაროში.

ახლა შოთას ტვინში წავიფათუროთ. რას ჰფიქრობს რასა და ხალტურას. ხელოსნებს მივაგდებო, გარე-გარე ვივლიო. ჩემს ძველ ტრუხა ავანგარდისტ მეგობრებში ჩავჯდები, ესე იგი, ტუსოვკას გავაჩაღებო (ტუსოვკა - ტრუხა ავანგარდისტების(2) საყვარელი სიტყვა)

აჰანდე!

მიიღო შალაბანდი გადაპარსულ თავში. თბილისში მხოლოდ მე ვიყავი კაცი კაცო კაცური.

## კაცური კაცის თბილისში დარჩენის მიზეზი ანუ სერიალა

ტელესერიალების სცენარებს ბევრი წერს. მოდი და უკვდავყოთ ზოგიერთი. ან-ბან-გან-დონ-ენ-ვინ-ზენ-თან-ინკან-ლას-მან-ნარ-ონ-პან-ჟან-რაე-ს მიხედვით: ბართაია თამარ (ტელეფონით გვისაუბრია), ბულაძე ლაშა (ვარ!), გაგნიძე მარიკა (ქართველური გვარ-სახელია).

მეც მიმიწვიეს ამ საქმეზე. ჩამრთეს ქართველიშვილი დავით (sic)

ტელესერიალის ამბავი მარტივია. ვიღებთ ერთ ვიღაც პროლეტარ - კონკია გოგონას და იმის ამბავს ვყვებით. ესე იგი: როგორ გაისვრის მისთვის ავრორა, როგორ გამდიდრდება, როგორ გათხოვდება და ა.შ. მოკლედ ეს ჩვენი კონკია ტელესერიალის ბოლოსკენ ტიპიური, თბილისელი ჩათლაშკა ხდება და ამას ჰქვია Happy end-ი ცივილურს ენაზედ, ინგლისურად(3).

პროდიუსერებზე ჩემი შეხედულება მქონდა. ძირითადად უცხოური ფილმებიდან. ვფიქრობდი: აი, დამხვდება ეხლა ვიღაც გაბანტული პიჟონი, დადგამს სამოვარს და ვისაუბრებთ ხელოვნებაზე: ესე იგი: ტელესერიალებზე.

რას ერჩი - ნორმალური ვინმე გამოდგა პროდიუსერი, ნათლადმოსაუბრე. ჟარგონს იყენებდა ხშირად. მითხრა: დაგირეკავო. მე აბა, მობილური ტელეფონი საიდან, დავჯექი სახლში და დავიწყე ლოდინი.

ფული საჭირო რამეა აქ.

## უფალ შოთას და კაცური კაცის შეხვედრა

ამაზე იტყვის საქართველო მატიანებით. წავეხმარებით.

მოკლედ ვზივარ სახლში, არც არავინ რეკავს (რეკს) და გზაზეც არავინა სჩანს. ფოსტალიონი, შიკრიკი, მალემსრბოლი, გზა და ესენი არაფერ შუაში არიან. ზარს ველოდები. ანდაზურად რო მოვუქციო: სანეხვეზე ვაგდივარ და ბედს ველი. მზე თავზე მადგას.

ერთი, ორი, სამი დღე. მომწყინდა.

შოთასთან დავრეკე. ასეთი ჩვევა მაქვს, ჯერ შოთასთან ვრეკავ (ვრეკ) და მერე სხვებთან.

ტელეფონში ცივად ჟღერს ნებისმიერი სიტყვა რამ. გამოგივლი-მეთქი ვუთხარი.

ჩვენ სახლებს შორის სუფთა ტრასაა, ასფალტიანი, ზედ ორი თეთრი ზოლით, სწრაფად მივედი.

იქ კი, რახარუხია, ცემენტის ბუთხუზა ტომრები აწყვია და ბუქი სდგას. ხელოსნები ირჯებიან, მცირე ამქარია - სამი კაცი.

ეხლა ჩემი ტვინის სიბილწე ვნახოთ. მოკლედ, ვფიქრობ, ჩემებურად ვხარშავ ამბავს. კაცს ძმაო რემონტი აქვს გაჩაღებული, ესე იგი ფული უჭყავის, ფულით კიდევ ყველაფერს იყიდი.

მე ლუდი მინდოდა.

შოთა იოლი შესახვევია ესეთ ამბებში, ლუდი კიდევ ჰეროინი არაა, თავისუფლად იღება. ჩამოსასხმელი, ბოთლის.



კიროვის (კიროვი რევოლუციონერი იყო, 1936 წელს მოჰკლეს) პარკში ჩავსხედით. აუზში გედები სცურავდნენ, ჩვენ კი - ცაში. უცებ დავასკვენით რო ტექნიკური პროგრესი ღმერთის არსებობის დამადასტურებელი ყველაზე ძლიერი არგუმენტია (ამას ჰქვია ოჩოფეხა ქართული).

მერე შოთამ ამაღამ ჩემთან დარჩიო, - მითხრა.

- პივას იყიდი?(4)

- ჰო.

სცენარების ვატირე დედაც.

უმანკო ღამე გვქონდა მორწმუნეთა.

შოთა ადრე ჩაწვა, თეთრი ზეწარი გადაიფარა და წათვლიმა, ცხონებულს ჰგავდა.

მე ვიჯექი, ლუდს ვწრუპავდი და მსახიობ ჟერარ დეპარდიეს წერილებს ვკითხულობდი. ახლა ჩვენ ჟერარს როგორი აღნაგობა აქვს ვიცით. სუფთა ბეხლეწია, ჯანმრთელი ხელების ავად ქნევას კაცმა დაჯდომა და კალმის აღება ამჯობინა ჯანმრთელ მარჯვენაში... ბეხლეწებში ეს იშვიათი მოვლენაა, ამიტომაც ბატონებო უნდა დავაფასოთ ჟერარი ესე.

წერილების ადრესატნი სუ ნაცნობი ვინმეები იყვნენ: ბერტრან ბლიე, მარკო ფერერი, იზაბელა აჯან, კატრინ დენევ: (ოუ, როგორ მიყვარს! ბებიაჩემი: დედად გეკუთვნის, დედად, რას გადაეკიდე).

შუაღამეზე შოთა ადგა. ჩაი მოადუღა. ჩაისსმისას მე კარგა გრძლად ვილაპარაკე კატრინ დენევზე, ნუ, როგორ და რანაირად.

შოთამ კიდევ - ხვალ მუხათწყაროში ავიდეთო ერთი დღით.

კი ბატონო-მეთქი (სცენარების დედაც ვატირე).

შოთამ ჭიქები წყალს შეუდგა და საწოლისკენ წავიდა.

- ე, მართლა, მუშები? - მივაძახე.

- ხვალ ისვენებენ, - შოთა ჩაწვა, - დაიძინე, მიდი.

მოდიო რო ეთქვა, გაგრძელება მოგვიწევდა ამ თავის, ანუ ახსნა-განმარტებები და რალაცეები.




## 10 ლარი

ბევრგვარი საქმის ქნა შეიძლება 10 ლარად. აი, თუნდაც რამოდენიმე კეთილი, დავნუმროდ:

1. 10 ლარად შეგვიძლია ბესო ხვედელიძესთან ერთად დავლიოთ 2 ბოთლი არაყი და ვჭამოთ პური და მაიონეზი (ბესო ჩემზე კარგი მწერალია (5)).
2. 10 ლარად შეგვიძლია შალვა ბაკურაძესთან ვქნათ რამე. (შაკო დიდი პოეტია (6)).
3. 10 ლარად შეგვიძლია მალხაზ ხარბედიას ვუყიდოთ 800 გრამი ბახტინი (მახო რედაქტორთრედაქტორია).
4. 10 ლარად შეგვიძლია ლაშა ბუღაძესთან ერთად წავიდეთ ოპერაში.

მოკლედ, ყველას სიყვარულში გიტყდებით ბიჭებო, მაგრამ იმის დედა ვატირე, ჩვენ - შოთას და მე ჩვენი კეთილი საქმე გვქონდა. 10 ლარად ვერიდან წითელი ტაქსი ადის მუხათწყაროში.

## წითელ ტაქსში

წინ, რა თქმა უნდა, შოთა იჯდა.

ჩვენი მძღოლი ძველი ტრანსპორტნიკი იყო. მე ამათ რულის ჭერაზე ვცნობ - ძველ ტრანსპორტნიკებს. გულისდარდიც ვიცი მათი, ერთი გვაქვს. ვეუბნები: ეს ქალები როგორ მომრავლდნენ არა ტო, მანქანებზე?!

აქ ჩვენმა მძღოლმა რეჩი ჰკრა: თავის დედის ღრმა გინებებით და ოხვრა-კვნესებით. ჩასაწერი რა!

თბილის-ქალაქს გამოვცდით. სხვა საქართველო დაიწყო.

ქვევით პატრიოტული აბზაცია - სიმღერა სამშობლოზე - ნიჰილისტებმა თვალი მოარიდეთ.

ლენინს. სტალინს.

წყალუხვ მდინარეს ადარებენ ხშირად ჰისტორიას. თვალსადევნებენ მის დინებას და ცდილობენ სათავეები მოუძებნონ. საქართველოს ჰისტორია აბობოქრებული, მუდამ წყალსავსე მდინარეა. მისი სათავენი ჟამთა სრბოლის ჭაღარა შორეთში იკარგება. ძნელია თვალითა და აზრით გადასწვდე საქართველოს ათასწლეულებს. კიდევ უფრო ძნელია დახატო უკანასკნელი ათწლეულის ზუსტი და სრული სურათი - იმდენი შესანიშნავი მოვლენა დაუტევია ამ ათ წელიწადს, რთული საქმეა აღწერო ახალი საქართველოს ისტორია - ეროვნული ეკონომიკის, კულტურისა და მეცნიერების აყვავება. ძვირფასო მკითხველო, მოდი იყავი ჩვენი თანაავტორი.

სიმბოლოები, სიმბოლოები, რამდენი რამის თქმა შეუძლია თითოეულ მათგანს.

მთები. შეიძლება ვთქვათ, რომ ეს ქართული პეიზაჟის ძირითადი დეტალია და ა.შ. და ა.შ. (შოთა: არ გინდა რა ესეთი ჩანართები - ბანალურია).

რა დავაშავეთ ჩვენ?

წითელი ტაქსი ჭიშკართან გაჩერდა.

გადმოვლაგდით.

## კარ-მიდამო

შენ: სახლი რამდენსართულიანი იყო?

მე: ორი. ოღონდ ეგ კია, პირველ სართულს ჭერი დაბალი ჰქონდა.

შენ: რატომ ჰქონდა დაბალი ჭერი?

მე: ოჩანი კომუნისტების დროს ორსართულიანი სახლის აშენება აკრძალული იყო. ამიტომაც პირველი სართულის ჭერი დაბალი კეთდებოდა და როგორც სარდაფი, ისე ფორმდებოდა ქაღალდებში.

შენ: სახლში ტროიკა იდგა. პაბელკა გაკეთებული იყო? ტაფები, ქვაბები ჰქონდათ? ჭაღი?

მე: ხო იცი, ეგეთ რამეებს არ ვაქცევ ყურადღებას. ერთადერთი, რაც შევნიშნე, პინგ-პონგის მაგიდა იყო.

შენ: სხვა არაფერი?

მე: კიდევ წიგნები. ქართული, რუსული.

შენ: ფეხსადგილი ალბათ გარეთ იყო?

მე: ჰო. აგარაკებზე საერთოდ ეგრეა. მე ამან გუნება გამიფუჭა, მაგრამ ბოლოს გადავწყვიტე, რომ მოვითმენდი. მე ხომ ერთი დღით ვიყავი აქ ჩამოსული.

შენ: მოითმინე?

მე: თუ ძმა ხარ, თავი გამანებე! რა!

## უზარმაზარი

მუხათწყაროში ორი მთავარმოსახლეა. ერთი მუდმივი - ექო პაპა, რომელიც ვერ ვნახე. მხოლოდლა მისი ხმა გავიგონე და მეორე ზაფხულობითაა აქაური. ესე იგი დამსვენებელი ბატონი, გურამ დოჩანაშვილი. მას




კი ვესტუმრეთ.

შოთამ წარმადგინა: ბატონო გურამ, ეს არის დათო ქართველიშვილი, აი, თუ გახსოვთ, ზამთარში საშუალოთანხიანი პრემია რომ გადაეცით.

ბატონმა გურამმა გაიხსენა და დავსხედით.

მე საერთოდ ძუნწი არ ვარ ქათინაურების თქმაში, მაგრამ მართლა უკვე აღიარებული მწერლების (3-4 კაცი) ქება პირში ვერ გამომდის. კომპლექსი მაქვს. მგონია, რო ის, აღიარებული მწერალი თახსირ ოქროპირად ჩამთვლის. ნუ, მდაბიურად - პადხალიმიაო იტყვის. ამიტომაც ჩუმად ვიჯექი. სიგარეტს ფუჰ, ფუჰ, ვაფუილებდი.

ბატონ გურამს ცისფერი თვალები აქვს და გრძელი თითები. სიგარეტს მუნდშტუკით ეწევა. რათქმაუნდა, მისი მუნდშტუკი ვერაფრით შეედრება ბატონ ოტია იოსელიანის (8) ცნობილ მუნდშტუკს, ვერც სიგრძით, ვერც ნაკეთობით.

ერთხანს ჟურნალისტური თემები გვქონდა: ცხოვრება, პოლიტიკა.

მერედა ლიტერატურას მივადექით. ვისაუბრეთ ჩინუა აჩებეზე, ოტერო სილვაზე, ლიოსაზე.

ეგრეა რა ცხოვრება: გიზის ცხვირწინ დიდი მწერალი და ვითომც არაფერი, აქ არი, შენიანია. ის, სხვები კი, მათკენ იწევ. იმათ ეტენები. ეს შენიანი კი ვითომც არაფერი. არი და მორჩა.

ქველებური ფილოსოფიაა - ამიტომაც მართალი.

მაგრამ ამ მოთხრობის ძირითადი გმირები ჩვენ ვართ - შოთა და მე.

წამოვედით მერე. ბოლოს.

ნელა მოვდიოდით. ხელები ჯიბეებში გვეწყო.

## პინგ-პონგი

პინგ-პონგი ყველაზე გრძელი თავი იქნებოდა ამ ჩვენი მოთხრობისა, მე რომ მომეგო. ნუ როგორ ლაღად, ნუ როგორ ჰაეროვნად აღვწერდი ყველაფერს. აი, ჩოგანი როგორ მეჭირა. ჩინურად თუ ევროპულად. როგორი ჩაწოდებები მეხერხება, სწორი და მძლავრი, თუ მიხვეულმოხვეული. როგორი დიდი არტისტი ვარ თამაშისას, როგორი პლასტიური, მოქნილი, შებერტყილი. მოკლედ, ბევრ რამეს ვიტყოდი, რჩევებს მივცემდი ახალგაზრდებს. ტრაქტატივით იქნებოდა ეს თავი.

ეჰ, არ არის ბედი!

ყველა პარტია შოთამ მოიგო. მიმამყნო.

ამიტომაც მხოლოდ ერთ რამეს ვიტყვი - მაგარი უაზრო თამაშია ეს პინგ-პონგი.

მხოლოდ ერთ რამეს ვიტყვი - კალკია აი-ია.

## საღამო

საღამოს მეზობლებმა იწყეს მოდენა, ანუ, ქალებმა მოიტანეს კარტი, ფურცლები და ბატის ფრთა. მელანი და ყავა აქ დახვდათ და ჩასხდნენ. ჯერ კარტი მიმოშალეს, იმკითხავეს წარსულში, მოსულში, შენს გულში. ყველგან ხეირიანად იყო საქმე, ამბავი.

მერედა მოჯოკრეს.

ეს თამაში წმინდაწყლის ქალური რამეა. ორუჯრედიანი ტვინი სრულიად კმარა გენიალური მოთამაშისთვის. ქალებს კი, როგორც ვიცით, ტვინში უჯრედნახევარი უმუშავებთ საშუალოდ, ამიტომაც დიდად ფიქრიანად უჭირავთ კარტი და ჰაზარტშიც არიან ჩაცვენილები (რას ვერჩი ამ ქალებს?).

ჩვენ კი, შოთა და მე აივანზე ვისხედით. მუხათწყაროული საღამო გრილი რამ მოვლენაა.

ვისხედით ოდნავ მობუზულები და ვდუმდით.

რათქმაუნდა, მოგვწყინდა ერთმანეთი.

## შიგნიტიკური ღამე

შიგნიტიკური - ფილოსოფიური
(ი.გრიშაშვილი: ქალაქური ლექსიკონი)

ღამის ჩაის სუ სხვა გემო აქვს. სამზარეულოში ვჩაიობდით. პირველ სართულზე. სად ჩაი და სად სიკვდილი, მაგრამ მაინც.

მე: შოთა ე, სიკვდილზე ხშირად ფიქრობ?

შოთამ ჩაი მოსვა, გაიცინა:

- როცა ვწერ, მაშინ.

- ესე იგი პროფესიონალურად უდგები საკითხს.

- ეგრე გამოდის. და შენ?

- მე ხო მკვდარი ვარ.

ჩაისმა მოვათავეთ. მაღლა ავედით.

მაიას ნატა (უმცროსი შვილი) ეჭირა ხელში და მიმოდიოდა ოთახში.

მაია: არ იძინებს.

- ანგელოზებს არასდროს სძინავთ - ვთქვი მე და ტახტზე გავწექი. სტუმრად მუდამ ტანსაცმლიანად მძინავს.

## წამოსვლა

ჩვეულებრივი დილა გათენდა. არაფერი ისეთი. აი. უბრალო.

ვისაუზმეთ და ავიბარგეთ.

- ნახვამდის, აბა ჰე, - ვთქვი მე.

- ნახვამდის, აბა ჰე, - მომაძახა ექო პაპამ, მუხათწყაროს მუდმივმა მკვიდრმა.

არსად სჩანდა.

## მიძღვნა

ჩვენ შეგვეძლო ეს მოთხრობა მრავალი ვინმესთვის მიგვეძღვნა. ესე იგი, წერტილები ერთისთვის, მძიმეები სხვებისთვის, ორი წერტილი კი აუცილებლად კ.გამსახურდიასთვის (უყვარდა ცხონებულს) და ა.შ.

მაგრამ არ დავწვრილმანდებით.

შოთა იათაშვილს ეძღვნება ეს მოთხრობა სუმთლიანად.

**P.S.** თქვენთვის ძვირფასებო, ვინც პროზას შინაარსისთვის კითხულობთ,

## მოკლე შინაარსი

შესავალი - შოთა - მე - უფალ შოთას თბილისში დარჩენის მიზეზი - კაცური კაცის თბილისში დარჩენის მიზეზი ანუ სერიალა - 10 ლარი - წითელ ტაქსში - კარმიდამო - უზარმაზარი - პინგ-პონგი - საღამო - შიგნი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიკური ღამე - წამოსვლა - მიძღვნა - P.S. თქვენთვის ძვირფასებო, ვინც პროზა შინაარსისთვის კითხულობთ, მოკლე შინაარსი.

ახლა კი ესე სთქვით: ვაიმე, ფანტასტიური მოთხრობაა, არა?

2001 წ.

## უფალ შოთას შენიშვნები

(1) 1860 წელს არც ილია, არც აკაკი არ ყოფილან საქართველოში, პეტერბურგში სწავლობდნენ.

(2) ჩვენ არ მოგვწონს ეს სიტყვა თუ განსაზღვრება - ტრუხა ავანგარდისტები. ამ ხალხს (ე.წ. ტრუხა ავანგარდისტებს) დიდი წვლილი აქვთ შეტანილი ქართული არტის განვითარებაში.

(3) ინგლისური ცივილური კი არა, საერთაშორისო ენაა.

(4) აქ აშკარად ჩანს როგორი მუქთაა დ.ქართველიშვილი.

(5) დარწმუნებულნი ვართ დ.ქართველიშვილი ასე არ ფიქრობს, უბრალოდ პოზიორობს. ეგოისტია.

(6) შალვა ბაკურაძის დიდი პოეტობა დ.ქართველიშვილის პირადი აზრია.

(7) სიგარეტი ბატონ გურამს ეკუთვნოდა. აქ მეორედ ვხედავთ, როგორი მუქთაა დ.ქართველიშვილი.

(8) ოტია იოსელიანი - ქართველი მწერალი, "დაჩის ზღაპრების" ავტორი.

2001 წ.

## კაცურის კაცის შენიშვნები შენიშვნებზე

(1) 1860 წელს ილია და აკაკი მართლაც პეტერბურგში იყვნენ.

(2) უფალ შოთას შეიძლება მართლა არ მოსწონს ეს განსაზღვრება - ტრუხა ავანგარდისტები - მაგრამ აქა ვდგავართ და სხვაგვარად არ ძალგვიძს.

(3) შევთანხმდეთ უფალო შოთა - ინგლისური ენაა.

(4) მართლაც მუქთა ვარ.

(5) მართლაც ვპოზიორობ. ეგოისტი ვარ.

(6) შალვა ბაკურაძე დიდი პოეტია.

(7) სიგარეტი მართლაც ბატონ გურამს ეკუთვნოდა.

(8) ოტია იოსელიანი - ქართველი მწერალი, "დაჩის ზღაპრების" ავტორი.

*2001 წ.*

არილი



თემურ ჩხეტიანი



# აღმოსავლეთის ექსპრესი

რა ხანია, აქეთ აღარ ვყოფილვარ...
აქ, სოფლიდან მოშორებით,
ვენახებს შორის,
სახნავ-სათეს ადგილებს შორის,
ალაგ-ალაგ ბუჩქნარიც რომ გამოერევა,
რკინიგზა გადის -
რკინიგზის ხაზი,
რომელიც სხვისთვის
იქნებ დიდი არაფერია,
მაგრამ ჩემთვის რაღაცას ნიშნავს.

გაზაფხული აქაც იგრძნობა -
არა მარტო თვალით, ყველაფრით:
ყვავის ხეხილი,
დასტყობია მიწას სიმწვანე
და ძალმოცემულ მზისგან უკვე
რელსებიც თბებიან.

1
ეს არ არის
დიდი სატრანზიტო მაგისტრალი
მისი თანმხლები სიჩქარით და დაძაბულობით;
პერსპექტივებით, მიმზიდველად რომ გვიხატავენ
ტელეეკრანზე თუ პრესის ფურცლებიდან.
ამ ლიანდაგებზე
არ მიგრუხუნებენ ნავთობის ცისტერნები
და არც ბამბა გადაიზიდება;
არც დამსვენებელთა ნაკადი მიედინება -
ზღვისკენ.

ეს არ არის გზა ევროპისკენ,
არც "აბრეშუმის გზა" არ არის -

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადგილობრივი მნიშვნელობის რკინიგზა გახლავთ:
ფუნქციადაკარგული
და თითქმის გაუქმებული რკინიგზა,
სადაც ახლა ათასში ერთხელ
თუ გაივლის შემთხვევითი შემადგენლობა
და მხოლოდ მაშინ თუ შეიშმუშნებიან
თვალებამოღამებული
პატარა სადგურები...

ეს გზა თითქმის აღარ არსებობს,
ჩვენ კი აქა ვართ;
ჩვენ, ვინც უკვე სრულად ვიწვნიეთ
თუ რა არის გარდამავალ დროში ცხოვრება.

2
ძველია ეს გზა,
ძველია და შორიდან მოდის -
ნიკოლოზისდროინდელია;
სულ ახლახან წმინდანად შერაცხული
იმპერატორის დროისა, როცა
ეს ქვეყანა რუსულ დავთრებში
გუბერნიებად და მაზრებად იწერებოდა.

გამიგონია, წამიკითხავს...
და ნაამბობიც მაგონდება, ცხონებული ბებიაჩემი
იმ შორეულ დროს იხსენებდა:

- ერთხელ სოფელში ხმა დაირხა,
"უცხენო" - ანუ მატარებელი - ამოივლისო
(მაშინ, პირველად,
ჯერ რომ არ ენახათ,
სახელიც რომ არ იცოდნენ
რა ერქვა ან რა უნდა დაერქმიათ).

მთელი სოფელი სანახავად გამოვეფინეთ;
დიდ-პატარა თითქმის მთელ დღეს ველოდებოდით,
მაგრამ არ მახსოვს იმ "უცხენომ"
ამოიარა თუ არაო -
ძალზე პატარა ვიყავი და დამძინებოდა
ლოდინშიო, - ასე ყვებოდა.

3
და იქიდან მოყოლებული
(და საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე)
ეს გზა იყო ამ კუთხისთვის გზა სამყაროში -

ომი იყო თუ მშვიდობა იყო,
ზამთარი იყო თუ ზაფხული,
მატარებელს ხალხი არ აკლდა
და გზა, როგორც სხეულში ძარღვი,
ისე ფეთქავდა.

და თუმცა ის, "კახეთის მატარებელი",
(თავის დროზე ტიკებით და ხურჯინებით დამშვენებული)
თავის სიხანტით ანეკდოტის თემაც გამხდარა,
ასე თუ ისე, ასრულებდა მოვალეობას.

ხალხი ადვილად ეგუებოდა
ერთად ყოფნას და სივიწროვეს,
ხოლო გზაში ადევნებულ მოწყენილობას
დროებით მაინც აქარვებდა
სასაცილოდ ნათქვამი ამბავი,
მარჯვე ხელით გაშლილი კარტი,
სახელდახელოდ გაშლილი სუფრა...

და ბორბლების რიტმულ ხმაურში
დროც მიდიოდა.

4
სადგურებში ხომ ყოველთვის ფუსფუსი იყო:
მიდიოდნენ ან ჩამოდიოდნენ;
აცილებდნენ, ელოდებოდნენ...
წასაღები მიდიოდა,
მოსატანი შემოდიოდა
და ამინდის მიუხედავად
ტვირთის დიდხანს შეფერხება არ იქნებოდა.

ახლა ალბათ უცნაურად მოგეჩვენებათ,
მაგრამ დროდადრო,
რამდენიმე დღით,
სათადარიგო ლიანდაგზე - განცალკევებით
ჩერდებოდა რაღაც ვაგონი,
სათანადოდ მოწყობილი და მიმზიდველი:
"ვაგონი - მაღაზია",
"ვაგონი - კლუბი"...
და ახლო-მახლო მოსახლეთა გახალისებას
მეტი არც უნდოდა!..

მაგრამ ერთხელ იმ ვაგონ-კლუბში
(აქვე, ჩვენთან, ჩემს ბავშვობაში)
ტრაგედიაც დატრიალდა, ხანძარი გაჩნდა!..

გარეთ ყველამ ვერ გამოასწრო
და იმათგანაც, ვინც ცოცხალი გამოიყვანეს,
ბევრი ისე მძიმედ იყო,
ვეღარ გადარჩა...

5
მე და მამა შინ ვბრუნდებოდით.
კარგა ხანი იყო გასული,
რაც მე სახლში არ ვყოფილიყავ
და ახლა შინ მამას მოვყავდი.
ასე, შვიდი წლის ვიქნებოდი და მიხაროდა:
მიხაროდა მატარებელი
და სახლისკენ მომიხაროდა.

ერთხანს ვიარეთ,
მაგრამ მერე სადღაც გავჩერდით;
გავჩერდით და დიდხანს ვიდექით.
ღამდებოდა. უფროსები უკვე ბრაზობდნენ,
პატარებმაც მოვიწყინეთ. ბოლოს კი, მგონი,
ორთქლმავალი შეგვიცვალეს და დავიძარით.

ჩვენს სადგურზე რომ ჩამოვედით,
ბნელოდა და კიდეც ციოდა.
მამამ მხარზე შემისვა და გზას შევუყევით:
მას ერთი ხელით ბარგი მოჰქონდა
და მეორეს მე მაშველებდა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე კი, მის თავზე ხელმოხვეული,
მის ჯერ კიდევ შავ თმას ფრთხილად ვეხუტებოდი.
...და უკვე თვლემა მერეოდა,
როცა ჩვენი ჭიშკარი შევაღეთ.

დედა ძალიან თბილი იყო,
ოთახშიც თბილოდა.
მგონი, მაშინაც ლამპა გვენთო - მე შინ ვიყავი!
ჩემს ტიტინა დაიკოს კი უკვე ეძინა,
ეძინა ლურჯად შეღებილ პატარა საწო ში,
ჩემეულ საწოლში.

6
დრო მიდიოდა,
იცვლებოდა სარკინიგზო შემადგენლობა;
ჩვენც ვიცვლებოდით
და, განახლების მცდელობების მიუხედავად,
გზა ძველდებოდა,
ძველდებოდა და ერთადერთი
და შეუცვლელი რომ არ იყო,
თანდათან ვხვდებოდით.

თუმც ბოლო დრომდე
ეს რკინიგზა
და ის, დღისა თუ საღამოს მატარებელი
ხელსაყრელი იყო ყველასთვის:
ვინ სამსახურში მიდიოდა დილაადრიან;
ვინ ბაზრიდან ბრუნდებოდა
ხელდაცლილი და კმაყოფილი;
სტუმარიც ხომ არასდროს გვაკლდა
და აქაური გოგო-ბიჭებიც
(ბევრ რამეზე უკვე თვალებახელილები)
სწორედ ამ გზით მიდიოდნენ დედაქალაქში.

...არცთუ სწრაფი,
მაგრამ მართლა იაფი იყო.
ჩვენ იქნებ კიდეც გვბეზრდებოდა
მისი ზოზინი,
მაგრამ, რა ვიცი,
მაინცდამაინც, მგონი, არსად გვეჩქარებოდა.

ასე იყო აგერ, აქამდე -
ჩვენთვის ვაი-ვაგლახით გასულ
საუკუნის 90-იან წლებამდე,
მერე კი ის მატარებელი
(ბოლო დროს ჩვენი წარსულივით
ქვებნასროლი და შელანძღული)
ასწლეულთან ერთად წავიდა!..

7
ზამთარი იყო. მე მეორე კურსზე ვიყავი,
ჩემი ძმა კი თორმეტი წლის თუ იქნებოდა.
თოვლი იყო, კიდევაც თოვდა -
მაშინ თოვლს უფრო ლამაზად ვხედავდით.
მე ქალაქში მივდიოდი, ის - მაცილებდა,
ორივენი მის ციგაზე მოვთავსდით და ისე დავეშვით;
გზაში კიდეც ამოვტრიალდით
და ასე, კოტრიალ-კოტრიალში,
სიცილ-სიცილში
ჩავაღწიეთ - დროზე მივედით.

მატარებელი რომ დაიძრა,
ძმა სოფლისკენ შეტრიალდა თავჩაქინდრული -
მიდიოდა და თან ციგას მიიყოლებდა...

ხალვათობა იყო ვაგონში.
ასეც მერჩია -
სარკმელთან ჩემთვის ვიჯექი და წიგნს ვკითხულობდი
(აგატა კრისტი რომ არ იყო, ნამდვილად მახსოვს);
ვკითხულობდი
და თბილისში ჩასვლამდე მეც სხვაგან ვიყავი,
სადღაც, კენტის საგრაფოში, თუ ეგვიპტეში -
სხვა დროში, სხვა სამყაროში... გარეთ კი თოვდა,
ზამთრის ღამეშიც თბილი იყო მატარებელი,
მიდიოდა, თან თავისი აჰქონდა სინათლე.

8
ეს გზა ახლა არსაით მიდის.
ეს ფუნქციადაკარგული
და თითქმის გაუქმებული რკინიგზაა,
სადაც მხოლოდ ათასში ერთხელ
თუ გაივლის შემთხვევითი შემადგენლობა
და მხოლოდ მაშინ თუ შეიშმუშნებიან
თვალებამოღამებული
პატარა სადგურები.

...და ამ სადგურსაც
სიმბოლური მორიგეღა შემორჩენია.

**P.S. ჩემი შეჩვეული ცალხაზიანი ფურცლები კარგა ხანია გამითავდა. მიყვარს, როცა პარალელურ ხაზებს მივაყოლებ სათქმელს და სტრიქონებს. ამ ოპუსს მე თაბახის ფურცლებზე ვწერდი. ვწერდი რაღაც ორიენტაციადაკარგული. იქნებ რამე შემეშალა?.. იქნებ...**

სხვა რაღა გითხრათ?
ჩვენთან, ასე ვთქვათ, მშვიდობაა,
სიმშვიდეა ლიანდაგებზეც
და შპალებს შორის
უფრო თამამად ამოდის ბალახი.

**არილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

## თამრი ფხაკაძე

# მოლოდინი



სექტემბრის ბოლოდან "ზონის" N108 პატიმარს ხველება დააწყებინა, ჩამოდნა, თვალები ამოუღამდა. ფიქრთა მდინარებაც შეეცვალა. ადრე სულ აქედან გასვლის შემდგომ ცხოვრებაზე ფიქრობდა... ახლა მოგონებებში ჩაიძირა. აქ მოსვლამდელ ცხოვრებაზე უფრო ეფიქრებოდა...

ახველებდა და ფიქრობდა...

ფიქრობდა და ახველებდა...

ხრიოკი, მორუხო-მოყვითალო მთები მის ავადმყოფურად მოდუნებულ მზერას თავისუფლების მინავლებულ წყურვილს ურწყულებდნენ.

რომ ახველებდა, ეჩვენებოდა თითქოს ეს ბებერი მთები ექოს გამოსცემდნენ და თითქოს... თითქოს ისინიც, მასავით მორუხო-მოყვითალო ფერისანი, მასავით ახველებდნენ და მასავით წარსულის მოგონებებში იძირებოდნენ...

როცა ღონიერი, სილიანი ქარი მთების ნაპრალებში დაგუგუნობდა, N108-ს უცნაური, ველური ფორიაქი იპყრობდა... ქარის აწყვეტილობა გადაედებოდა და იწყებოდა ფიქრთა დამღლელი, თან ლაღი თარეში განვლილი ცხოვრების ლაბირინთებში. იქ, სადაც ხან იების, ხან არყის, ხან პურის, ხან დენთის, ხან სისხლის და ხან საყვარელი ქალის თმის სურნელი იდგა...

ახველებდა და ფიქრობდა.

ფიქრობდა და ახველებდა.

იტანჯებოდა. მერე თავის ტანჯვას ახსნა მოუნახა.

ეს არაქათისგამომცლელი ხველა N108-მ ციხის კედლებზე ბევრად უფრო ზევითა სასჯელად მიიღო და თავი ლამის რჩეულადაც ჩათვალა...

ეს ხველა მისი ტყვე სიცოცხლის, თითქმის, სიამაყედ იქცა. იმიტომ რომ, თითქოს, აი ეხლა კი, ნაღდს იხდიდა. ნაღდ სასჯელს. და ვინ იცის, როდემდე...

ოქტომბრის ბოლოს ექიმებმა გასინჯეს და იქვე, ორშარის გადაღმა "ტუბ.ზონაში" გადაიყვანეს.

იქ ყველა ახველებდა. ხველა ჩვეულებრიობას წარმოადგენდა.

N108-ემ თავი ახლა უბრალოდ, სნეულად იგრძნო. ერთ ჩვეულებრივ ავადმყოფად. და უდრტვინველობაც სადღაც გაქრა...

გიჟურმა ამბოხმა აიტანა. მოუნდა სიცოცხლე, მოუნდა თავისუფლება, მოუნდა ამ ხველისგან თავის დაღწევა... გიჟურად... გიჟურად მოუნდა!

ფიქრობდა და ახველებდა...

ახველებდა და ფიქრობდა...

"ჯერ ახალგაზრდა კაცი ვარ... განა მორჩა ცხოვრება! რათ მორჩა! ალმასივით ბიჭი მეზრდება... ანგელოზივით ცოლი მიცდის გულისფანცქალით წელიწადიცა და! წელიწადი რაღაა...

დედაჩემია უფრო ცოდო... ხანშია. ისა ეხლა, უნდა დასვა და სიბერის დღეები სიტკბოში გაალეინო...

გავიდე...

ესენი ხო და, - ნოდარა მენატრება. რო აღარ გაიძლება!

რაც ეგ ჩემი ცოლისძმაა, უძმობა აღარ გამიგია... ბარე ბევრი ძმა ვერ გაწევს ეგეთ ძმობასა...

აბა, გაიოზას ბიჭებსა ძმები ჰქვიათ? დაჭამეს ლამისაა ერთმანეთი მტკაველა მიწისთვინა...

ან რამდენიც გინდა, კაცო!

ანიკოს მაზლიშვილებსა... ბადრია და ბადურა რო არიან, ძმები ჰქვიათ მაგათა? სად რასა ყბედობენ ერთმანეთზე, სად რასა ჩმახავენ..." აუტყდება ხველა... უსაშველო...

"შეჭამა გული... გული შეჭამა ამ ხველებამა! მარა არ შევეჭმეინები! დედას ვუტირებ.

გავიდე აქედანა...

ნოდარაზე არა ვფიქრობდი? ნოდარაზე ვფიქრობდი, ჰო...

აი, ხო მიყვარს ჩემი ლალი არაა, და იმის ძმობითა კიდე, ათმაგათ მიყვარს.

ეხლა რო, ნოდარა ჩემ აესეთ ხველებას შესწრებოდა არაა, ლამის თავის ჯიგარს ამოიღებდა და მე ჩამიდგამდა, ისეთია. ისეთი გულისაა...

რო აქ წამომიყვანეს და, აეგრე დამარტყა ხელი ბეჭზე და როგორა თქვა? ძმაოო, მე შენი მსაჯული არა ვარ. ჩემთვინ, რა ძმაც იყავი, ის ძმა დარჩები ციმბირს იქითაც რო გაგიშვანო. შენი ოჯახობის დარდი არა გქონდეს, აქა ვაარ მეო და კაცობის ამბავი იყო, ალბათ და კაცობის ამბავში შენი მჯერაო. ალბათ, ეგრე იყო საჭიროო და შენ ადგილზე არაა, იქნება მე უარესიც მექნაო...

ეგეთს რო გაგაგონებს და ზურგს კი რო არ შემოგაქცევს ჭირიანივითა, ეგა პატარა ამბავია?

გავიდე აქედანა...

აუტყდება ხველა...

დავიღრჩე, ლამისაა... ამის...

გავიდე აქედანა...

რო დავიჭერთ მე და ნოდარა ბადეებსა და წავალთ მტკვარზე... წავიყვანთ ბიჭსა.

საღამოზე, დავხარშავთ მარილწყალში ნაბადურევსა. გამოალაგებს ჩემი ლალი ჭიქა-საინებს... ცხელ-ცხელ პურებს, მწვანილს... ღვინოს...

მივიჯენ ჩემ მოხუცებულ დედასა გვერდით და...

ნოდარა რო იმღერებს!

ნოდარა რო მღერის, კაცო, უცნაურობა მჭირს. ჯერა, მგონია რო მთელი სადარდელი შემომესია თქო... მერეა და, უცებ, მგონია რო, პირიქით... რაც სადარდელი იყო, თავი დამანება-თქო. რო უსმენ ნოდარას სიმღერასა არაა, ვერ გამიგია, ვდარდობ თუ პირიქით, აღარა ვდარდობ... აბა უცნაურობა არაა? აღდგომას აქეთია...

აუტყდება ხველა...

- აღდგომას აქეთია, აღარ ამოსულა...

აუტყდება ხველა...

მომკალი ბარემ და დამასვენე შე ოხერო! დამეგლიჯა გული! ამდენი ხველება აღარ გამიგია, კაცო...

ჩემ ბიჭს როგორ უყვარს?! ნოდარა ძია და ნოდარა ძია...

ნოდარა ძია და ნოდარა ძია...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღმერთო, მალირსე აქედან გასვლა...

ღმერთო გადამახდევინე ამოდენა სიკეთე და ძმობა...

ნუ მომკლავ აქა...

აუტყდება ხველა...

ვერ მომერევი, შენი! ვერა! იმდენი რამე გადამარჩენს როო...

ჯერ მარტო, რო, გავალ აქედანა და რო ჩავისუნთქავ!..

აქა, ჰაერიც პატიმარია. არ გერგება, ჯანში არ მიდის...

აი, რო გავწვები მტკვრის პირზე... რო ავხედავ ლურჯ ცასა... ჩემი რო იქნება... ჩემი რო იქნება ყველაფერი... მტკვარიც... ცაცა და...

რო მოვიჯენ გვერდზე ჩემ ბიჭსა.

- მამი, ის რათაა ისე?

- მამი, ეს რათაა ასე?..

ეგრე იქნება? ეგრე იქნება, ნეტა? მომეჩვევა? ციხის კარზე რა მამაშვილობის გემო ვნახეთ ან მე და ან იმანა! ისე გაიზარდა, გვერდში არა ვყოლივარ. მეცხრე წელშია. ცოტაა? მაგისთვინ კი ცოტაა მარა, ჩემთვინ?

ნოდარა რო არა ჰყოლოდა!

ნოდარას რო არა...

აუტყდება ხველა...

ღმერთო! ხო არ გამწირავ? ხო არ მომიღებ ამ ოხრით ბოლოსა? როგორაც მაშინ მიშველე, ი ოხერი გოდერძა რო გადაარჩინე, ცოცხალი დატოვე, - და კაცისმკვლელი რო არ გამხადე, ახლაც მიშველე ღმერთო...

ცხვარს დაგიკლავ ჯვარზე!

ნუ მომკლავ აქა!.. ტყუილად ხო არ დაალოდინე ამდენ ხანს ჩემი საწყალი ოჯახობა?

თუ მომკლავ და, შენი ნებაა, ღმერთო!

ჩემი ჯვარიც ეგა ყოფილა...

მაშინ, არაა, მაშინ მინდა ჩემო ნოდარა, შენი ძმობა და კაცობა, ძმაო...

ფიქრობდა და ახველებდა...

ახველებდა და ფიქრობდა...

მეტს და მეტს ოცნებობდა...

მეტად და მეტად ეხვეწებოდა ღმერთს...

პატიმარი N108

* * *

- ბაბო, რით ველარ მივედით...

-რა ვი, ბაბო, კაკლიმუხლუხოსავით მილოლავს ე ავტობუსი და რას მივიდოდით... დაიღალე, ბაბოს მზეო?

- არა... ისე ვთქვი.

- ცოტაცა, ბაბო და მივალთ.

- ბაბო, დახე, რამოდენა აკიდოებსა ჰყიდიან! რამოდენებია, ქალო!..

- ეგა სუ თურქულებია, ბაბო... სათვალოები... გემოზე განა ჩვენსას სჯობია...

სიჩუმე...

- ტაროები ხო არ დაგრჩა?

- არა, ბაბო. ქვაბითვე ჩავდე, ცხელ-ცხელები...

სიჩუმე...

- ლობიანები ხო არ დაგრჩა!

- არა, ბაბო ჩავდე ყველაფერი, ჩემო მალხაზო.

სიჩუმე...

- რათ მოიწყინე, ბაბოს ბიჭო?

- ისე...

- რათ ისე, ბაბო?..

- შენ რაღათ ტირი.

- არა ვტირი, მზემ დამაჭყიტა თვალებზე და...

- ტირი!

- აჰა. აღარა ვტირი, ჩემო სიცოცხლე.

- იტირებ და, ცხვირ-პირი დაგიწითლდება... შეგატყობს მამაჩემი.

- უი, არა ბაბო. აგე, აღარა ვტირი... აბა შემომხედე!

სიჩუმე...

- აგე, გამოჩნდა! აგე, აგე! აქით ციხე, იქით - საავადმყოფო! ხედავ?

- ხო, ბაბოს ბიჭო... ვხედავ, მაშ!

სიჩუმე...

- მე არ შემოვალ შიგნითა...

- უი, რათა ბიჭო?

- რომ მკითხოს ნოდარა ძიაზე რამე...

- გკითხავს, მაშ არ გკითხავს?! ხო დაგარიგეთ შინა, ჩემო მალხაზო. ვაჟკაცობა უნდა გამოიჩინო. ყოჩაღად უნდა დადგე. არაფერი არ შეგატყოს, ბაბოო...

- შემატყობს.

- არა, ბაბო! ვერ უნდა შეგატყოს, ავათაა, ბაბო, ცოდოა. იმან რო ნოდარა ძიას სიკვდილი გაიგოს, იმან რო ეგ გაიგოს... შვილოო...

- ნუ ტირი. თვალები დაგიწითლდება...

სიჩუმე...

- რო მკითხოს, ნოდარა ძიამ ჩემთან რა დაგაბარაო?..

- ვაჟკაცობა გამოიჩინე, ბაბო... კაცი ხარ უკვე. უთხარი, - დამაბარა, ცოტაც გაუძელ-თქო... ოჯახობის დარდი არ გქონდეს-თქო.

- ნუ ტირი!

სიჩუმე...

- ბაბო, შემოვალ შიგნითა. ვერ შემატყობს.

- ეგრე, გენაცვალე, ეგრე, აბა შენ იცი...

სიჩუმე...

- ბაბო...

- ჰო, ბაბოს მზეო...

- იცი, როგორ მიყვარდა ნოდარა ძია?..

- ვიცი, შვილო...

- მამაჩემიც მიყვარს...

* * *

პატიმარი N108 გისოსებს იქით მტვრიან შარას გასცქეროდა და შორს... შორს უკვე ხედავდა კიდეც ყვითელ ავტობუსს.

ელოდა და ახველებდა.

ახველებდა და ელოდა.

აგვისტოს ცხელი, მტვრიანი ქარი ხრიოკ მთებში დათარეშობდა...

თითქოს ღონიერი, ნამდვილი თავისუფლებით ტკბებოდა.

*2001 წ.*



პრილი



ეროვნული ბიბლიოთეკა

ანდრო ბუაჩიძე

# დავითაშვილის ქუჩა

## ესკიზი გაყვითლებული რვეულიდან

ეს იყო სოლოლაკში, კარგა ხნის წინათ. არ ვიცი რატომ ხდებოდა ასე, ვისი საიდუმლო სურვილით თუ ნებით. არ ვიცი რატომ იყო იქ რაღაცნაირი ღრმა ნაღველი ვიწრო ქუჩების გადაკვეთილ კიდეებზე, ხეებქვეშ ჩაფენილი, რომელიც გამუდმებით ცახცახებდა და აქა-იქ ძალაგამოცლილ სხივებს იქსოვდა სიღრმეში. ვის ჭირდებოდა ეს ან რატომ მოხდა ასე. რატომ აღმოვჩნდი მე ამ დაქსაქსულ სინათლეში, ნაღვლიანი ფანჯრების გასწვრივ, გრძელ დღეებში, ჩვეულებრივი და უცნაური საღამოების ანაბარა, საკუთარი თავის ანაბარა, ყველაფრის ანაბარა, რაც შეიძლება ცხოვრებამ მოულოდნელად მოგიტანოს და მერე ნელ-ნელა წაგართვას შეუმჩნევლად, ისე, როგორც ღამე ჰკრეფს გაფანტულ სინათლეებს ჩამუქებული ქვაფენილებიდან და უშველებელი სადარბაზოების შეუღწეველი წიაღებიდან. არ ვიცი რატომ ხდება, რომ რაღაც გაკვესავს სიცარიელეს, აინთება და თანდათან თვითონვე ჩაქრება. ვინ ანთებს სინათლეს და ვინ აქრობს, ვისი ნებასურვილით ანთებს და ვისი ნება-სურვილით აქრობს.

ეს იყო სოლოლაკში, დიდი ხნის წინათ. მახსოვრობასაც აჩნდება ხოლმე დრო გაცვეთილი ბეჭედივით. და ეს ბეჭედი ჰგავს ძველი შენობების კედლებს, რომელთაც რაღაც უცნაური სიძველის ფერი ედება, ფერი მღვრიეა და ღრმა, დღეების და ღამეების სიმრავლით გაჟღენთილი და გაქვავებული, როგორც სარკეში არეკლილი ჩამოღამებული ოთახის სივრცე.

ახლა რომ ვიხსენებ, მაგონდება, რომ რაღაცნაირად ნელა ვმოძრაობდი მე იმ დროში. ნელა ვცხოვრობდი, ნელა დავდიოდი, ნელა ვფიქრობდი. და დროც ნელა მოედინებოდა ჩემთან ერთად. მე მას ყველგან ვხედავდი. ვხედავდი უმიზეზოდ გამოღებული განჯინის ბნელ სიღრმეში, კედლებზე და აქერცლილ იატაკებზე, ნაწვიმარ აკაციის ხეებქვეშ, ბებიაჩემის და ბაბუაჩემის ხელებზე და სახეებზე, და სულ უცხო ადამიანების ზურგებზე, ნელა რომ აუყვებოდნენ აღმართს ჩვენი ფანჯრების ქვეშ, წვიმიან დღეებში. მე არ მიკვირდა, მაგრამ მიხაროდა, როცა ვხედავდი დროს, რომელიც სინათლესავით სათუთად ედებოდა ათასგვარ ნივთებს და ადამიანების გლუვ, ჩაღრმავებულ, აბურცულ, მეტყველ და უმეტყველო სხეულებს და სახეებს.

მე არ ვიცოდი, რა იყო ეს ან საიდან დაიწყო. შეიძლება იქიდან, ჩვენი ეზოს ერთ-ერთ კიბეზე რომ ვიჯექი და ვტიროდი. ვტიროდი, რადგან ქუჩიდან უშველებელი წითელი, საშინელი სახანძრო მანქანების მშფოთვარე გნიასი აღწევდა. უსულო მანქანები ადამიანებივით ყვიროდნენ, ადამიანები კი გარბოდნენ სახლებისკენ და გამალებულები შერბოდნენ სახლებში. მე ვიჯექი და ვტიროდი. და თუმცა სახლთან ვიყავი, ვგრძნობდი უსახლკარობას, უნუგეშობას, უაზრობას, შიშს. ვგრძნობდი, რომ ქვეყანა დიდი იყო და საშინელი, მე მის შიგნით ვიყავი და გასაქცევი უკვე აღარსად მქონდა. ვგრძნობდი, რომ სხვებმაც იცოდნენ ეს და ამიტომაც მკიდებდნენ ხელს და შევყავდი სახლში.

არ ვიცი, იქნებ აქედან დაიწყო დრო. იქნებ აქედან დაიწყო და აქედან უნდა დაწყებულიყო ჩემი თავის შეგრძნება უშველებელ სიცარიელეში. ყოველ შემთხვევაში, მერე და მერე ყველაფერი უფრო მშვიდად გაგრძელდა და უკვე წამოზრდილი, როცა ნაშუადღევს სკოლიდან ვბრუნდებოდი, მე ვხედავდი დროს, რომლის კეთილისმყოფელი და უწყინარი სახე, ყველგან და ყველაფერზე ირეკლებოდა, როგორც მზის სუსტი სინათლე თავსხმა წვიმის შემდეგ.



მე ნელა ვმოძრაობდი. ნელა, ფეხათრევით მივდიოდი სახლისკენ. მე ვგრძნობდი სახლს, სახლის მზემოფიცხებულ უზარმაზარ გრილ კედლებს. არც ქუჩები იყო უცხო ჩემთვის.

ეს იყო სოლოლაკში, დიდი ხნის წინათ, სადაც ვიწრო ქუჩებია და დიდი სადარბაზოები. ღრუბლიან დღეებში სადარბაზოები ნაღვლიანი ბურუსით ივსება. შეგიძლია შეხვიდე ამ სადარბაზოებში და შენ იგრძნობ, როგორ შეგიწოვს ბურუსის ნაღვლიანი სინოტივე, შენ მოხვდები ხმების, ბგერების, გრძელი სხივების პანოპტიკუმში. სულ ახლოს, ალაყაფის კართან, მზით განათებულ ტროტუარზე ბავშვები ჩაირბენენ. ხმაური წამით შეარხევს ბურუსიან ნოტიო მდუმარებას, სადარბაზოში გრგვინვით შემოვარდება ხალისიანი, სიცოცხლის ჟინით გაგიჟებული ბგერები და მერე გაქრება. ნუთუ ასე ქრება ყველაფერი. ასე ეშვება და ქრება. ეს შენ არ იცი, არ იცი და რომ იცოდე, ვერც გაიგებ, ვერც დაიჯერებ.

შენ ბავშვი ხარ და არ იცი, რომ არსებობს სიკვდილი. შენ არ იცი, რომ სიკვდილს თავის ფერი და სუნი აქვს, შენ არ იცი, რომ სიკვდილი ნიშნავს ყველაფერს, მაგრამ შენ იცი, რომ რაღაცეები ქრება და უჩინარდება სიცარიელეში, რაღაცეები ქრება, და ვისი ნება-სურვილით ქრება, ვერავინ გეტყვის, ვერავინ გეტყვის, ვისი ნებასურვილია მუდმივი ქრობის ურჩი წინამძღვარი.

შენ ბრუნდები სკოლიდან სახლში. ბრუნდები დაღლილი, მოშვებული, ენერგიადაცლილი, და ფეხსაცმლის ჭვინტით მოაგორებ ცარიელ ასანთის კოლოფს ან კონსერვის დაჭეჭყილ ქილას. შუადღეა და დავითაშვილის ქუჩა ცარიელია. მხოლოდ გასტრონომს ზემოთ, გაზეთების ჯიხურის ირგვლივ იკრიბება მოყაყა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნე ადამიანების პატარა ჯგუფი, პატარა წრე, რომელიც შეჩქვიფდება და აზუზუნდება, მერე დაქუცმაცდება და ასისინდება ნაშუადღევის შეუსაბამოდ ნაზ და ლირიკული დიდებებით სავსე, ოქროსფრად გადაცრეცილ ჰაერში, ჰაერში ოდნავ შერხეული, ოდნავ მტოკვარე დაჭიმული სინაზის სიმია გაბმული და აკაციის ხეებქვეშ, ნაადრევად ჩამოცვენილ წვრილ ფოთლებზე დაუდევრად მიმოისვრის ჩრდილოვან ტალღებს. შენ გრძნობ მთელი არსებით ოქროსფერი ნაშუადღევით გაჯერებულ ჰაერში ჩამოქონილ უხილავ წვეთებს, ნაზ რხევებს, სხივებით მოჭვილი ქამელეონის ასხლეტას და გაუჩინარებას აკაციების უკვე შებღალულ კენწეროებთან. შენ სავსე ხარ ნაშუადღევის ნებისმიერ გარემოსთან თანხმობის და შერიგების მონოლილი სურვილით, მოთენთილობით და ტკბილი სიზანტით, დაქსელილ ძარღვებში რომ გივლის და თვლემას გგვრის. ნახევრად თვლემ კიდეც, მარტო შენ კი არა, მთელი ქუჩა, მთელი სოლოლაკი, უზარმაზარი, უშველებელი ქვეყნიერების ერთი პაწია ნაგლეჯი, ქალაქის განაპირა კიდეში მაღალი მთის კლდოვან თხემებქვეშ ჩამოზიდული პატარა ნირვანა, პატარა ტერიტორია, რომელიც სავსეა ჩიხებით და გასასვლელებით, ტეხილი ქუჩებით და სახეებზე ჩამოკონწიალებული აივნებით, მიწაში ჩამძვრალი სარდაფებით და ჩამობურულ ეზოებში შემავალი ალაყაფის ჭიშკრებით. ათასი ხმით, ათასი გადატეხილი ბგერით, ბგერის უმცირესი ნამსხვრევებით, გაცვეთილი ფერების და მიმწყდარი შეძახილების ვიბრირებით, ხეებში ჩამოღწეული სინათლეების და მოძრავი ჩრდილების გაუთავებელი, მთრთოლვარე ტოკვით და ერთი წუთითაც არ გტოვებს იმის განცდა, რომ ეს მხოლოდ მცირე ნაწილია დიდი ქვეყნიერების, იმ ქვეყნიერების, სადაც რაღაც ხდება, რაღაც საშინელი, რაღაც სასტიკი, ვიღაცას იჭერენ, ვიღაცას კლავენ, ვიღაცას იტაცებენ, ვიღაცას უსპობენ სიცოცხლეს. ოღონდ შენი გულუბრყვილო აზრით, ეს ყველაფერი შორს ხდება, იქ, იმ დიდი ქვეყნიერების ნაწილში და არა აქ, სადაც არაფერი არ შეიძლება მოხდეს, ისე ნელა მიედინება დრო და ისეთი სიწყნარეა ჩაფენილი თხელი ბურუსით გაჟღენთილ სადარბაზოებში.

და არ იცი რატომ აღმოჩნდი აქ, მაინცდამაინც აქ. საიდან დაიწყო ყველაფერი და სად უნდა დამთავრდეს, ან უნდა დამთავრდეს კი საერთოდ? იწყება აქ, ამ სინათლით მოქსოვილ ქვეფენილების ხლართებში რამე ან მთავრდება? ნუთუ მთავრდება კიდეც? ყველაფერი ძალიან ნელა მოძრაობს და შენც ნელა მოძრაობ ამ ყველაფრის არაფრისმთქმელ წიაღში. ეს ადამიანებიც, გაზეთების ჯიხურთან და ლუდის წერტთან რომ დგანან, დიდი ხანია შენს ბავშვურ ცნობიერებაში ნაშუადღევის დაუბოლოვებელ ზიგზაგებს შეერწყნენ და დაკარგეს თავიანთი სახე. შენ არ იცი, რომ ესენი ჩვეულებრივი გზააბნეული ძე-ცთომილები არიან, როგორიც ათასია ანდა მილიონი, ქალაქის კლოაკებში მოფუთფუთე მათხოვრები და ნაციხარები - ქუჩის დამტვერილ კიდეებზე მიხვეტილი ჭუჭყი - ლოთები, მანანწალები, მუქთახორები, უდიდესი ბედისწერის ანაბარა მიგდებული გლახები, ბინძური მოხალისეები დღე და ღამე რომ ტრიალებენ იქ, სადაც მათი საარსებო სარჩო მოიძევება, მდარე, უგემური, მაგრამ მუდმივი და დაუყვედრებელი, მათივე უაზრო სიცოცხლესავით უაზროდ გაჩენილი და ამიტომ მათთვისვე განკუთვნილი. აქვე არიან სხვებიც: შოფრები, სადაზღვევო უწყების მუშაკები, მაკლერები, ყასბები, ხელოსნები, სოფლიდან ჩამოთესლილი უსაქმური გლეხები, სამუდამოდ მოწყვეტილნი კარმიდამოს და ქალაქის სარდაფებს მიტმასნილნი, უსახლკარო ნაბიჭვრები და სახიჩარები, ბედისმაძიებელი გაუმაძღრები და სამუდამოდ ხელჩაქნეული უბედურები. შენ არ იცი, შენ ვერ ხედავ მათი ცხოვრების ტლანქი დანით დასერილ სახეებს. ეს სახეები მიწისფერია და უხეში ნაოჭების სქელი ბადით დაქსელილი, რადგან ისინიც შენსავით შემთხვევით მოხვდნენ ამ მზით გადაფენილ ქვაფენილებზე, რატომ და რისთვის, არც მათ იციან, მაგრამ ის კი ახსოვთ, რომ ვიდრე აქამდე მოაღწევდნენ, გრძელი გზა გამოიარეს და ამ გზამ თავის მკაცრი ბეჭედი დაასვა მათ ისედაც უილბლო არსებობას. აქაც პატარა კლოაკაა, ნაშუადღევის უდრტვინველ, მშვიდობისმომფენელ სხივებში გამოხვეული პაწია სამყარო, რომლის წრეშიც ბაქტერიებივით ტრიალებენ პირზე დუჟმომდგარი, ლუდისკათხამომარჯვებული კაცები. ისინიც ცლიან კათხებს და ერთდროულად აწყობენ აყროლებულ დახლზე. მერე ხმაშეწყობით, მოყაყანე ერთფეროვნებით ჰყვებიან ათასნაირ ამბებს, რომელთაც მოსაღამოვებამდე გასდით ყავლი და დღის სინათლეზევე იფანტებიან უსიცოცხლო სხივებივით.

ქუჩის გადაღმა მაღალი ფანჯრებია, ფეხისწვერებზე ვიწევი და ფანჯრებში ვიჭვრიტები. ამ ფანჯრებს შიგნითაც ისეთივე ბლანტი ბურუსია, როგორიც ყველგან: სადარბაზოების მაღალ კიბეებზე, ეზოების შესასვლელებში, გრილი ბინების ოთახებში. მხოლოდ აქ გარაჟია და მანქანები დგანან. ყოველ ფანჯარაში მანქანაა. ფანჯარა თხელი ბადით არის დაცული და სიღრმიდან ბენზინის და მანქანის რაღაცნაირი ნაცნობი სუნი აღწევს. მანქანებიც რაღაცნაირად დგანან ამ დიდ ოთახებში, მკაცრად გარინდულნი, ცარიელნი, თითქოს ყველასაგან მოსროლილნი და მიტოვებულნი. მანქანების შიგნითაც სქელი ბურუსია ჩამდგარი, მხოლოდ მინებში, უკანა მხრიდან მზის სხივი იჭრება და ტყდება შიგნით, აქაც დრო მიედინება ნელა და მდოვრედ. მიტოვებული მანქანები დროში დგანან და მე შემიძლია შევიჭვრიტო თითოეულ ფანჯარაში და დავინახო დროის ფრთხილი, უხმაურო დინება გარინდებული მანქანების წიაღში. ვინ მოვა და ვინ შეიჭვრიტება აქ, ვინ დაინახავს როგორ მიცოცავს გადამტყდარი მზის სხივი მანქანის უკანა სკამის გადაცვეთილ საზურგეზე. გარაჟებში სრული სიწყნარეა, მხოლოდ ზოგჯერ მეტალის წკირი გაიტკაცუნებს, თითქოს რაღაც ჩატყდაო მანქანაში. ესეც დრო არის, გადამტყდარი წამებია.

ყოველდღიური მომქანცველი სვლა სკოლაში და უკანდაბრუნება, წყნარი რიტუალია, რომელსაც მე უპროტესტოდ ვასრულებ თალმუდისტივით. ის ჩემს ნებაზე არ არის დამოკიდებული. ჩემი ნების გარეშე არსებული ვითარება მკარნახობს ნაშუადღევის გრძელი გზა გამოვიარო და შეიძლება სწორედ იძულება მაგრძნობინებს დროის უჩინარი დინების რიტმს. გარაჟის ზემოთ პურის მაღაზიაა, მწვანე აბრაზე მსუყე ყვითელი ასოებით არის წარწერილი "პური" და ყოველივე იმდენად ნაცნობია, რომ თვალის ნაზი ბადურა ძალდაუტანებლად იჭერს ათასგზის აღქმულ შეფერილობებს, ტონალობებს და მრგვალი ასოების მოხაზულობებს. თუ სადმე ტეხილია ან ხარვეზი, ის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

იც შეუმჩნევლად თავსდება მხედველობის ფაქიზ მატერიაში, ისე, რომ მე ვერც ვამჩნევ მის არსებობას. თითქოს ეს თავის თავში მცხოვრები საგნები თვითონვე პოულობენ გზას, რათა ჩემს არსებაში სამუდამოდ დასახლდნენ, სამუდამოდ, დაიმკვიდრონ დროსთან ერთად ადგილი, რომელსაც მერე დროც ვერასგზით ვეღარ ამოშლის. ეს საგნები განმარტოებით არ ცხოვრობენ, მათ უერთდება ჰაერში გაფანტული სიფრიფანა ქსელი ხმების, ფერების, აუხსნელი ნაწილაკების და უთქმელი ნიშნების. ყოველივე კი სიცოცხლის ეთერული ფარდაა, ჩემს მიერ ათასჯერ შერხეული და ჩემს არსებასთან უკვე განუშორებლად შემკვრივებული.

მე ნელა ვეშვები მენავთის სარდაფში. აქ ყველაფერი ნავთის სუნით არის გაჟღენთილი. საკმარისია ასანთის ერთი გაკვრა და ნავთით სავსე მიწური გაქრება. მენავთე დაბალი და სქელი კაცია. მსხვილი ნავთისფერი ულვაშები აქვს და ულვაშებსზემოდან ვიწროდ მოწკურული თვალები კეთილად უციმციმებს. მე წყლიან თვალებში შევყურებ და მეჩვენება, რომ იქიდანაც საზარელი ნავთის შავი წვეთები ბზინავს. მენავთე იღიმება, რადგან მიცნობს და რაღაცას მეკითხება, მაგრამ მე არაფერი არ მესმის, ხმა იკარგება ნავთით გავსებულ ბიდონებს შორის. გარშემო ყველგან სხვადასხვა ზომის და მოცულობის თავახდილი ჭურჭელი დგას. შავი ზედაპირი ლივლივებს და შიგ დღის ელექტროშუქიდან არეკლილი სხივები დაცურავს. ამ შავი ზედაპირის დანახვისთანავე შემზარავი გრძნობა მეუფლება: "აი, ეს არის ნავთი", ნავთი, ნავთი, ნავთი, ყველაფერი ნავთით არის გაჟღენთილი, ყველაფერს ნავთის სუნი აქვს, მენავთე იღიმება და ახლა უკვე მესმის მისი ხმა: "ნავთი ხომ არ დაგაბარეს?", "ნავთზე ხომ არ გამოგგზავნეს?" ბიდონებს უკან სარეცხის საპნების უშველებელი გროვა აწყვია. სარდაფის სიღრმეში სიმეტრიულად დაწყობილ საპნის უხეშ ნაჭრებზე თხელი ნავთისფერი ბურუსია ჩამოწოლილი და აქაც საიდანღაც იპარება დღის ჯიუტი სინათლე. სადღაც ჭერსა და მიწურ იატაკს შორის სხლტება შემთხვევით მოხვედრილი სხივი და შეხუთულ ჰაერში იბნევა. ვიწრო სივრცე ოდნავ ნათდება და უფრო მკაფიოდ იკვეთება მენავთის ლურჯი, დანაოჭებული ხალათი, სქელი ნაცრისფერი ულვაშები და განუწყვეტელი ღიმილი, რომელსაც მოელვარე, უეცრად მოვარდნილი დღის სინათლე კვეთს და მე ვხედავ, რომ აქაც დრო დაცურავს, დრო ეტმასნება სინათლის სხივებთან ერთად ნავთისგან დასველებულ კედლებს და მენავთის ნავთიან, გაღიმებულ სახეს.

ყოველდღე ერთიდაიგივე მეორდებოდა - მე ვუახლოვდებოდი ალაყაფის მძიმე კარს. ქვის კიბის რამდენიმე საფეხურს ავივლიდი და ზარის ღილაკს თითს ვაჭერდი. კარი იღებოდა გამობმული ფარატინა თოკის გამოქაჩვით. კარის გამღები კიბის თავზე იდგა და სვეტზე გამობმული თოკის ბოლო ეჭირა. ეს ადამიანი მეტწილად ბებო იყო. კარის გაღებას თან საყვედურიან ტუქსვას მოაყოლებდა და უმალვე შებრუნდებოდა სამზარეულოში. მე კი ჩანთას იქვე მივაგდებდი, ვეშვებოდი კიბის საფეხურზე და დიდხანს ვიჯექი გაშტერებული. კარს ზემოთ, სალებავებით გასვრილი მინიდან ზღვა სინათლე იღვრებოდა წითელ კიბეებზე. კიბის გვერდით ცარიელ ადგილას ძველისძველი შავი სკივრი იდგა. სკივრზეც იღვრებოდა სინათლე და სინათლეში მობზრიალე მტვრის გრძელი სვეტი. მე არ ვიცოდი საიდან მოქროდა ჰაერში მოძრავი უმცირესი მტვრის ნამცეცები, მაგრამ მათ მოძრაობაში ვხედავდი დროის წრიულ ზიგზაგებს, ბრუნვებს, ტეხილებს. დღე უკვე საღამოსკენ იყო გადახრილი და თითქოს დროის სახეც უფრო ხელშესახებად იკვეთებოდა ყველა საგანზე. შემოსასვლელის პატარა, მაგრამ საკმაოდ ტევადი სივრცეც დროის ჩამუქებული ხსნარით იყო შეფერილი. კიბის პირველ, ბრტყელ საფეხურზე უფორმო ჩრდილი ტყდებოდა და იატაკს უერთდებოდა. მე მესმოდა ქუჩიდან აკრეფილი ჟრიამული როგორ იკარგებოდა მოახლოებული საღამოს უშველებელ სიცარიელეში. მერე კიდევ ერთხელ შემახსენებდა თავს ბებიაჩემის საყვედურნარევი ტუქსვა და ავდიოდი ოთახებში, სადაც უზარმაზარ ფანჯრებზე ჩამოფარებულ ფარდებს აკაციის ხეების მოძრავი სილუეტები დასთრევდა.

საწოლ ოთახში დიდედა კატო იწვა. ის მისუსტებული ხმით ლაპარაკობდა და უხმოდ ხუჭავდა თვალებს. ჩალურჯებულ თვალის უპეებს ვარდისფერი ზოლი აჩნდა და თვალის უპეებზე ალბეჭდილი ფერთა სიმკვეთრე მდუმარე სიცოცხლისუნარიანობას ამჟღავნებდა. დიდედა კატო უმთავრესად დუმდა. და თითქოს მისი დუმილი უფრო მეტყველი იყო, ვიდრე საუბარი. მის სახეს აჩნდა დაღლილობა, რომელიც არ შეიძლებოდა დროთა განმავლობაში გაქარწყლებულიყო, რადგან ეს მხოლოდ დაღლილობა კი არ იყო, არამედ ხანგრძლივი და მტანჯველი ჟამთა სიავის მღვრიე ანარეკლი, რადგან არსებობს დაღლილობა, რომელიც წარუშლელია და აღმოუფხვრელი...

ეს იყო სოლოლაკში, დავითაშვილის ქუჩაზე, კარგა ხნის წინათ. არ ვიცი რატომ ხდებოდა ასე, ვისი საიდუმლო სურვილით თუ ნებით. არ ვიცი რატომ იყო იქ რაღაცნაირი ღრმა ნაღველი ვიწრო ქუჩების გადაცვეთილ კიდეებზე, ხეებქვეშ ჩაფენილი. რატომ აღმოვჩნდი მე ამ დაქსაქსულ სინათლეში, ნაღვლიანი ფანჯრების გასწვრივ, გრძელ დღეებში, ჩვეულებრივი და უცნაური საღამოების ანაბარა, რაც შეიძლება ცხოვრებამ მოულოდნელად მოგიტანოს და მერე ნელნელა წაგართვას...

არილი



ეროვნული ბიბლიოთეკა

## თომას ბერნჰარდი



# ქუდი

წინასწარმეტყველება გამართლდა, ჩემმა ძმამ მართლაც ბრწყინვალე კარიერას გამოჰკრა ხელი. მისი მოხსენებები თუ გამოკვლევები ნუტაციის სფეროში წარმატებით იკითხებოდა არა მარტო ამერიკის შეერთებული შტატების წამყვან უნივერსიტეტებში, არამედ ევროპაშიც. მე კი ამ დროს ფსიქიურად დაავადებულ ადამიანთათვის განკუთვნილ ინსტიტუტებში სირბილით გადავილალე. დასვენება მჭირდებოდა. ვიცოდი ჩემს ძმას დაღუპული მეუღლისგან დარჩენილი, მიტოვებული სახლი ჰქონდა და ვთხოვე, თუ შეიძლება რამდენიმე ხნით ამ სახლში ვიცხოვრებ-მეთქი. უარი არ უთქვამს და მეც მადლიერი დავრჩი. ჩემი ძმის მეუღლე თვალით არასოდეს მინახავს, მაგრამ ახლა ამ ქალის გემოვნებითა და სიყვარულით გაწყობილი ოთახები ჩემთვის არეულ-დარეული ცხოვრებისაგან გაქცევამოწადინებულისთვის, ერთადერთი თავშესაფარი გახდა.

სახლი მდინარესთან სრულიად განმარტოებით იდგა. აქ გატარებულმა პირველმა ორმა კვირამ უკვე მაგრძნობინა, რომ ჯერ კიდევ ცოცხალი ვიყავი და სუნთქვა შემეძლო. თქვენ წარმოიდგინეთ, უჩვეულოდ გამახალისებელ აკრობატიკასაც კი მივყავი ხელი... თქვენ, ჯანსაღებს ეგებ სასაცილოდაც მოგეჩვენოთ, მაგრამ ჩემთვის, ჩემი ავადმყოფი გონების პატრონისთვის, სწორედ რომ მისწრება იყო.

აქ, უნთერახში, ჩემი ძმის სახლში საშუალება მომეცა განვმარტოებულიყავი, გამეანალიზებინა უკვე ჩვეულებად ქცეული ყოფა და საკუთარი მიგნებებითა თუ წარმოსახვებით სათანადო დასკვნები გამომეტანა. თუმცა ერთი კია, აქ მეცნიერულ მუშაობას ველარ ვახერხებდი. აღარ შემეძლო განუწყვეტელი ქექვა ხაბულასის, დიპოლდის, ჰაიზენბერგის, ჰილფისა თუ ნიუტონის ნაშრომებში. ამათ გარეშე კი წარმოუდგენელი იყო მეტყველობათმცოდნეობაში რაიმე წინსვლა. ჩემი სნებაშეყრილი გონება ვეღარ იტევდა ამდენ რამეს, უნარი აღარ შესწევდა ღრმად ჩასწვდომოდა მოვლენებსა თუ ფერთა ისტორიას და უმრავლესობიდან უმცირესობის გამორიცხვის მეთოდით რაიმე ღირებულს ჩაბღაუჭებოდა. ავადმყოფურმა გონებამ თვითკრიტიკისა და თვითდათრგუნვის აუტანელ ზღვრამდე მიმიყვანა. ვითომდა გამოსავალს ვეძებდი, არადა ამ გამოსავლის ძიებაში, თვით გამოსავალსაც კი ძირიძირობამდე ვუკირკიტებდი. ასე გაგრძელება აღარ შეიძლებოდა. გადამღალა ამ ცხოველურმა არსებობამ, მთლიანად მატერიამ. ვლამობდი, როგორმე მოვშორებოდი, გავთავისუფლებულიყავი გარე სამყაროსგან და იქამდეც კი მივედი, რომ სახლიდან ყველა მოსამსახურე დავითხოვე. ვუბრძანე, ჩემი ძმის ჩამოსვლამდე აღარ დაბრუნებულიყვნენ. თან იმისაც მეშინოდა, თავი არ გამომემჟღავნებინა, ჩემს სულიერ წონასწორობაში არ შეპარვოდათ ეჭვი. ერთი სიტყვით, ყველას კარგად გადავუხადე და გავისტუმრე. უკვე შემეძლო თავისუფლად მემოქმედა, თავშეკავება აღარ მმართებდა. ვიგრძენი, ამ ორ კვირაში ჩემმა ავადმყოფობამ კიდევ უფრო ღრმად გაიდგა ფესვები. სახლის წინა მხარეს ყველა ჟალუზი თუ დარაბა დავგმანე, ვინმეს რომ არ შემოეხედა. უკანა მხარეს კი ფანჯრების დაგმანვას აზრი არ ჰქონდა. ამ მხრიდან უღრანი ტყე ერტყა სახლს და ფანჯრებში კიდევ უფრო მეტი წყვდიადი შემოდიოდა, ვიდრე იმ დარაბებჩარაზულ ოთახებში. მხოლოდ საძინებელში დავტოვე სარკმელი ღიად, რომ არ დავმხრჩვალიყავი. თავი დავიმარტოხელე თუ არა, შევეცადე, დოქტორ მანუელის მოძღვრებას ჩავჯდომოდი, თუმცა წინასწარვე ხომ ნათელი იყო, ჩემი ძალისხმევა რომ ფიასკოთი დასრულდებოდა. გონება ამდენს ვერ გაუძლებდა. კატასტროფამდე, უკვე თითქმის შეშლილობამდე ვიყავი მისული. ძმას არაფერს ვატყობინებდი, პირიქით ვწერდი: თავს მშვენივრად ვგრძნობ, მეცნიერულ მუშაობაშიც წარმატებები მაქვს, ძალიან მომწონს შენი სახლი-მეთქი. სინამდვილეში კი, უნთერახში ყოველი მოახლოებული მწუხრის ჟამი შიშის ზარს მცემდა. მეშინოდა ბინდის, აუტანელი წყვდიადი რომ მოჰქონდა. საქმე თვით სიბნელეს კი არ ეხება, არამედ შეგრძნებებს, რასაც ღამის წყვდიადი აღმიძრავდა. წყვდიადი, როგორც გადაულახავი გამოცანა მე სულაც არ მაინტერესებდა. ამისი არც უნარი შემწევდა, არც სურვილი გამაჩნდა და სხვათა შორის - არც დრო. მე მხოლოდ ჩემი თავით, ჩემი ავადმყოფობით ვიყავი მოცული. არ შემეძლო, მშვიდად ვმჯდარიყავი სახლში და დავლოდებოდი შებინდებას, იმ მუქარით აღვსილ წყვდიადს, შებინდებას რომ სდევდა თან. ამიტომაც შებინდდებოდა თუ არა, თავქუდმოგლეჯილი გავრბოდი სახლიდან. სამი გზა მქონდა: ან პარშალენისკენ უნდა გავქცეულიყავი, ან ბურგაუსკენ, ან კიდევ მონდზეესკენ, თუმცა ამ უკანასკნელს ყოველთვის თავს ვარიდებდი. ძირითადად ბურგაუსკენ გავრბოდი (ოთხი წელია უკვე ამ ავადმყოფობით Cephalagie-თი ვიტანჯები), მაგრამ დღეს ჩვეულებას გადავუხვიე და ამ საზიზღარ პარშალენისკენ ავიღე გეზი. ეს მხარე სასაკლაოებით იყო სავსე, სულ ასამდე მოსახლე თუ იქ-



21952

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებოდა.

ძილი მომერია, მინდოდა დამეძინა, მაგრამ არა, რა დროს ძილია, ძილზე ლაპარაკიც კი ზედმეტია, აუცილებლად უნდა დავწერო რამე ამ დაუძლურებულ პარშალენელებზე და ბურგაუელებზე. ერთი სიტყვით, როგორც უკვე ზემოთ ვთქვი, დღეს პარშალენისკენ გამოვიქეცი. აქ უნთერახში ჩემმა ავადმყოფობამ სიგიჟის ზღვარს მიაღწია. შიშები დამჩემდა, თავის მოკვლაც კი მინდოდა. საყვარელ ძმაზე აღარც ვფიქრობდი. ხან თავის ჩამოხრჩობა ვიფიქრე, ხან მდინარეში გადავარდები-მეთქი. ყინულის საფარველიც შეთხელებული იყო, საბედნიეროდ არც ცურვა ვიცოდი, უმალვე ჩავიძირებოდი. მაგრამ თვითმკვლელობაზე ფიქრი ერთია და განხორციელება მეორე. გამბედაობა არ მყოფნიდა. გაბედვა იქით იყოს და რატომღაც აკვიატებული მქონდა, რომ სიკვდილიც აუცილებლად გამიჯანჯლდებოდა და საშინლად გავწამდებოდი: ხეზეც კაი ხანს ვეკიდებოდი სულთმობრძავი, წყალშიც ან ჩავიძირებოდი, ან არა. ეს უსუსურობა და უძლურება სულ უფრო მაგიჟებდა. არა და თითქოს ხეებიც, მდინარეც მაცდურად მიხმობდნენო თავისკენ. მაგრამ მე გავრბოდი, უკანმოუხედავად, შეუჩერებლად გავრბოდი და ყურადღებასაც არ ვაქცევდი მათ. არა, ხეების სურვილს ვერ დავემორჩილები. მე მეშინია მათი. მე ყველაფრის მეშინია. წარმოიდგინეთ, აუტანელი სიცივე იყო, მე კი უპალტოოდ, უჟილეტოდ, თხელი შარვლისა და პერანგის ამარა გავრბოდი. მაგრამ არ მციოდა, სულაც არ ვიყინებოდი, პირიქით, შიგნიდან ცეცხლი მეკიდა, სიცხისგან ვიწვოდი. გიჟივით მივქროდი პარშალენისკენ. უფრო სწორად სიგიჟეს გავურბოდი. რომ არ გავქცეულიყავი, მართლაც გავგიჟდებოდი. თუმცა, ვინ იცის, ეგებ გაგიჟება ჯობდა კიდეც. მაგრამ დარწმუნებული ვარ, თვით გაგიჟების პროცესიც გამიჭიანურდებოდა. სიგიჟე შიშს მგვრის, მაგრამ მაინც გაგიჟება მერჩივნა. აკი ერთმა პროფესორმა მიწინასწარმეტყველა კიდეც, უახლოეს მომავალში ჭკუიდან გადახვალო. მას მერე ორმა წელმა განვლო და ჯერ კიდევ არ შევშლილვარ. მაგრამ წარმოვიდგენ თუ არა წყვდიადს, სახლში ველარ ვჩერდები. თვალთაც მიბნელდება, ყურებიც მეხშობა. ვერც ვეღარაფერს ვხედავ და არც აღარაფერი მესმის... ვერ ვიტან ჩემს ოთახში შემოჭრილ ამ აუტანელ სიბნელეს, უკუნს. და რომ არ გავიქცე, მართლა შევიშლები. სახლიდან გამოსვლისას, ჩემს უკან ყველა კარს ვრაზავ, გასაღებების მთელ ასხმას ნაჩქარევად ვიდებ ჯიბეში და ქუჩაში გავრბივარ. სირბილისას წვეტიანი გასაღებები ხან თეძოში მერჭობა, ხან ბარძაყში. არც ისაა გამორიცხული, ყინულზე დამისხლტეს ფეხი, და დავეცე. მთელი მუცელი სულ დაიარავებული მაქვს. ბურგაუსკენ მიმავალი გზა 100-ჯერ მაინც მაქვს გადათელილი, მაგრამ მაინც ვეცემი. ჯერ მარტო გუშინწინ ოთხჯერ წავიქეცი, მთელ კვირაში კი თოთხმეტჯერ. შინ დაბრუნებისას, სარკეში რომ ვაკვირდებოდი საკუთარ თავს, შევნიშნე, რომ ნიკაპზეც მქონდა ჭრილობა, თანაც ღრმა. სხვა ჩემს ადგილზე ალბათ ექიმს მიმართავდა, მაგრამ მე არც მიფიქრია. საერთოდ ექიმების მეშინია. არც სისხლით დალაქავებული დედისერთა შარვლისთვის მიმიხედავს. მერე რა, რომ სისხლიანია, ეს მე ვიცი მხოლოდ. მაინც სულ სიბნელეში დავდივარ და ვინ დამინახავს. გადაღლილობისგან ისე მტკიოდა თავი, სხვა აღარაფერი მახსოვდა. სარკიდან სისხლით დაღლაბნილი კომიკური სახე მიმზერდა, შარვალიც დამხეოდა – გამეცინა. ტკივილმა სულ დამიმანჭა სახე. მაგრამ არა უჭირს, მაინც უკანასკნელი კვირაა. თუმცა მთავარი ეს როდია, საქმე იმაშია, რომ სულ სხვა რამ მინდა გითხრათ: პარშალენისკენ მიმავალ გზაზე ქუდი ვიპოვე. ახლაც, როცა ამ ყველაფერს ვწერ, თავზე მახურავს. დიახ, მე ქუდი ვიპოვე, ნაცრისფერი ჭუჭყისგან გაპოხილი და გახევებული ქუდი. კაი ხანია რაც თავზე მახურავს, უკვე



ჩემი სუნიც კი უდის. შინ დაბრუნებისთანავე შევეცადე ქუდი სადმე საგულდაგულოდ დამემალა, ხან ჩემს ოთახში შევვარდი, ხან წინკარში, ადგილი რომ ვერ მოვუნახე, თავზე დავიკოსე. ვიფიქრე, ასე თვალში მაინც აღარ გამომეჩხირება-მეთქი. გადაგდება არ შემეძლო; სულ რამდენიმე საათია, რაც თავზე მახურავს ეს ქუდი და ერთადერთი ფიქრიღა მაქვს: თავზე ქუდი მახურავს. ვშიშობ ჩემი მდგომარეობა ქუდით, თუ უქუდოდ, განუწყვეტელი ფიქრით მოვიხსნა თუ არა, ესეც ალბათ ჩემი ავადმყოფური გონებიდან გამომდინარეობს. ავადმყოფობიდან, რომლის ახსნაც ვერც ერთმა ექიმმა ვერ შეძლო. თითქმის რვა ექიმთან ვიყავი, წარმოუდგენლად ძვირიც დამიჯდა, ზოგიერთთან მოხვედრაც კი პრობლემა იყო, მაგრამ ყველა ერთნაირი არამზადა გამოდგა.

თუმცა ამ წუთას ჩემი საფიქრალი სულ სხვა რამაა: მთელი საღამოა ეს ქუდი მახურავს და არც კი ვიცი, რატომ. თავზე მძიმე ტვირთად მაწვა, მაგრამ ვერ ვიხდიდი, თითქოს მჭედელმა დამაჭედაო. თუმცა ყველაფერი ეს მეორეხარისხოვანია, მთავარი ისაა, სად და როგორ ვიპოვე ქუდი და რატომ მახურავს ახლაც თავზე... ამის სათქმელად, ალბათ ერთი წინადადებაც იკმარებდა, საერთოდაც, ყველაფრის თქმა შეიძლება ერთი წინადადებით, მაგრამ არავის ეპიტნავება ეს. გუშინ ამ დროს ამ ქუდის არსებობის შესახებ ჯერ არაფერი ვიცოდი, ახლა კი მთლიანად ქუდი მფლობს... საუბარია ერთ ყოველდღიურად სახმარ, გაქუცულ, ჭუჭყისგან გაპოხილ, ასიათასობით სხვა ქუდის მსგავს ქუდზე. მაგრამ ახლა ჩემი ყოველი ფიქრი თუ ქმედება, ჩემი არსებობაც აქ, უნთერახში ამ ქუდს უკავშირდება. ქუდს, რომელიც ამ მხარეში ყოველ ყასაბსა თუ ხის მჭრელს, ყოველ გლეხს ახურავს. აქ ყველა ასეთ ქუდს ატარებს...

სათქმელთან უფრო ახლოს რომ მივიდე, მინდა მოგითხროთ, როგორ დაიწყო ეს ამბავი. უკვე გითხარით, რომ დღეს პარშალენისკენ ავიღე გეზი. დიდხანს ვორჭოფობდი, საით წავსულიყავი, არ ვიცოდი და ბოლოს ისევ პარშალენმა გადამძლია. მართალია, ბურგაუ თავისი მაცხოვრებლებიანად მახინჯი და გულმიუსვლელი იყო, ამ მხრივ პარშალენს უპირატესობა ჰქონდა, მაგრამ ჩემნაირი ავადმყოფისთვის, მაინც ბურგაუში სიარული ჯობდა. ერთი სიტყვით, პარშალენის ქუჩებში დავრბოდი, რომ უცბად რაღაცას წამოვკარი ფეხი. შემეშინდა, რადგან როცა ბნელში რაიმე რბილ საგანს ვადგამ ფეხს, ყოველთვის მკვდარი ვირთხა ან კატა მგონია. უკან გადავხტი, მერე ფეხის წვერით ფრთხილად გავწიე გვერდზე საგანი და როცა დავრწმუნდი, რომ არ იყო არც მკვდარი ვირთხა და არც კატა, დავმშვიდდი. აქეთ-იქით მიმოვიხედე, ხომ არავინ მიყურებს-მეთქი, გული დავიარხეინე და დავიხარე, ხელში ქუდი შემრჩა. ასეთი ქუდი ამ მხარეში

ხომ ყველას ახურავს: ყასაბს, ხის მჭრელს თუ გლეხს. რა ვუყო ახლა ამ ქუდს? გავიფიქრე და საფუძვლიანად შევათვალიერე. თავზე მოვისინჯე, რატომღაც მომეწონა. მგონი, ურიგო არ უნდა იყოს ასეთი ქუდის ტარება. მაგრამ მე რა უფლება მაქვს ამ ქუდზე. მე ხომ არც ყასაბი ვარ, არც ხის მჭრელი და არც გლეხი. ნეტავი ვინ დაკარგა? ან რა ფერისაა? მწვანეა თუ შავი? იქნებ ნაცრისფერია? - ავფორიაქდი უცებ. ისე, მეტწილად, ასეთი ქუდები ნაცრისფერი, მწვანე ან შავია. ნეტავი რამდენი ხანია, რაც აქ გდია? კაცმა რომ თქვას, მშვიდად კი ვგრძნობ ამ ქუდში თავს?! ვინმეს რომ შემოეხედა, მეც ხის მჭრელი, ყასაბი ან გლეხი ვეგონებოდი. ადამიანები თავიანთი ჩაცმულობით აღიქმებიან, რადგან ვიზუალურად მხოლოდ ტანსაცმელი ჩანს, რომელშიც კაცია შეყუჟული. თუნდაც ახლა, მე რომ ეს ქუდი მეხურა, ხომ შეიძლებოდა ვინმეს ყასაბი, ხის მჭრელი ან გლეხი ვგონებოდი. მოდი და მერე დააჯერე, რომ არც ყასაბი ხარ, არც გლეხი, არც ხის მჭრელი, რომ მეცნიერი ბრძანდები, თუმცა რაღა მეცნიერი, უბრალოდ ერთი საცოდავი, სულით ავადმყოფი. 3 წელია, რაც მეცნიერულ მოღვაწეობას შევეშვი. 3 წელია, რაც მივატოვე ჩემი ლაბორატორია და ერთი ხელის მოსმით მოვუღე ბოლო ყოველგვარ კონტაქტებსა და მიღწევებს. ყველასა და ყველაფრისგან უკან დავიხიე და საკუთარ დაავადებულ თავს შევეწირე მსხვერპლად. მეცნიერებას შევეშვი და თავის ქალის სპეციალისტებს ჩავუვარდი ხელში. ერთი კლინიკიდან მეორეში დამარბენინებდნენ. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ბოლო სამი წლის განმავლობაში ექიმებთან სირბილის მეტი სხვა არც არაფერი მიკეთებია. ექიმების ხელში აღმოვჩნდი და დღესაც მათი რჩევებით მიდგას პირში სული. ექიმებთან აღარ დავდივარ, მაგრამ მათ გამოწერილ წამლებს განუწყვეტლივ ვსვამ, ჯიბითაც კი დავატარებ. მე ვერ ვიარსებებ ამ წამლების, ამ ნემსების გარეშე. ერთი სიტყვით, სიმართლე უნდა ვაღიარო, 25 წლის ასაკში უკვე არარაობად ვიქეცი. ალბათ ამიტომაც მომეწონა ეს ქუდი, სწორედ რომ ზედგამოჭრილი იყო ჩემნაირი ავადმყოფისთვის. მაგრამ ფიქრმა, რომ ქუდზეც კი არანაირი უფლება არ მქონდა, მოსვენება დამიკარგა. რა მოვუხერხო ახლა ამ ქუდს? - ვეკითხებოდი საკუთარ თავს. დავიტოვო? - ეს ხომ იგივე ქურდობაა, სხვისი ნივთის მითვისება. არ დავიტოვო და გამოდის, უარს ვამბობ ამ ქუდის ტარებაზე. ერთი გზაღა დამრჩენია - პატრონი უნდა ვიპოვო! მთელ პარშალენს შემოვირბენ და ყოველ მაცხოვრებელს ვკითხავ, ქუდი ხომ არ დაგიკარგავთ-მეთქი. ჯერ ყასბებისგან დავიწყებ, მერე ხის მჭრელებთან და გლეხებთანაც მივალ. უკვე წარმოვიდგინე, რა გადამღლელი იქნებოდა ყველა პარშალენელის სათითაოდ გამოკითხვა, მაგრამ სხვა რა გზა მქონდა. ყველა სახლიდან შუქი გამოდიოდა, ეზოები, სასაკლაოები, ბოსლებიც კი გაეჩირაღდნებინათ. ქუდით ხელში ერთ კარს მივადექი, დიდხანს ვაკაკუნე, შინ კი იყვნენ, მაგრამ ეტყობა, ვერ გავაგონე. როგორც იქნა, ნაბიჯების ხმა გაისმა და კარიც გაიღო: "რა გნებავთ?" - "იცით, ეს ქუდი ვიპოვე, აი ეს ქუდი", - ვთქვი მე და მაშინღა აღმოვაჩინე, რომ ქუდი ნაცრისფერი იყო. ისიც შევნიშნე, რომ კარში მდგომსაც თავზე მსგავსი ქუდი ეხურა... "თუმცა თქვენ... თქვენ, როგორც ჩანს, არ დაგიკარგავთ, ბოდიშს გიხდით". ეტყობა, ვიღაც არამზადა ვეგონე, აღმაცერად გადმომხედა და პირდაპირ ცხვირწინ მომიჯახუნა კარი. ისე, ნიკაპზე ჩემი ჭრილობის გამო მართლაც საეჭვოდ გამოვიყურებოდი, მაგრამ უკან დახევა არ მინდოდა და ახლა მეორე კარს მივადექი; აქაც ვიღაც კაცმა გამიღო კარი. მასაც მსგავსი ნაცრისფერი ქუდი ეხურა. ჩემი შეკითხვა რომ გაიგო, უხეშად მკრა ხელი და ღამის წყვდიადში გამომისროლა. ეტყობა, ქურდი ვეგონე, რომელიც ამ ხრიკით სახლში შეჭრას ცდილობდა. ქალაქურმა კილომაც გაალიზიანა ალბათ (რატომღაც ეს კაცი ყასაბის კვალობაზე ცოტა გამხდარი მეჩვენა, მაგრამ ნამდვილმა ყასაბმა თავის გაფრთხილებაც იცის). მესამე, მეოთხე სახლთანაც იგივე განმეორდა. მაგრამ არ ვნებდებოდი. არ მინდოდა ჩემი ნაპოვნი ქუდი სულმდაბლურად, თუნდაც გადაგდებით მომეშორებინა. შეუპოვრად განვაგრძობდი გზას. ყასბებთან რომ მოვათავე, ახლა ხის მჭრელებსა და გლეხებს მივადექი. მაგრამ ყველას ასეთი ქუდი ეხურა. ერთი ბინძური პარშალენელის უკმეხად ნათქვამმა ბურგაუში წასვლაც კი მაიძულა. მისგან გავიგე, რომ დღეს პარშალენში 8 ბურგაუელი ყოფილა ღორების შესასყიდად (ბურგაუელები და პარშალენელები ერთი-მეორეში სარფიანად ვაჭრობდნენ). ამ ბინძური კაცის ნათქვამს ჩავეჭიდე და გადავწყვიტე, ბურგაუშიც მეძებნა ქუდის პატრონი, სხვა რა გამოსავალი მქონდა. უკანმოუხედავად მივრბოდი. ყურები მიწიოდა: ქურდო, ქუდის ქურდო!

ბურგაუში რომ ჩავედი, ფეხებს ძლივსღა დავათრევდი. ყასბების სახლები ერთიმეორის გვერდით, ახლო-ახლოს იდგა. პირველივე სახლთან გამოსულ კაცს მსგავსივე ქუდი რომ შევნიშნე, შიშმა ამიტანა, უსიტყვოდ გამოვბრუნდი უკან. მეორე კარს მივადექი, აქაც იგივე... ქუდის შესახებ კითხვა ველარც გავუბედე. "ხომ ვერ მეტყვით, რომელი საათია?" - ამოვიღუღლუღე სასომიხდილმა. "რვა საათია, იდიოტოო", - მომაძახა უხეშად და კარი მომიჯახუნა. ბურგაუელებსაც მსგავსი ქუდი ახურავთ! ყველას, ყველას ერთნაირი ქუდი ახურავს - გავიფიქრე გაოგნებულმა და ვერც შევნიშნე, როგორ გავიქეცი უნთერახისკენ. "მაგრამ ქუდის პატრონი რა იქნა? ვიღაცამ ხომ ნამდვილად დაკარგა ეს ქუდი? ხომ უნდა დავუბრუნო უკან? - მოსვენებას არ მაძლევდა ამგვარი კითხვები. შინ მისვლამდე დურგლები და მჭედლები შემომხვდნენ, მათაც ასეთივე ქუდები ეხურათ. ვინ იცის, ეგებ ზემო ავსტრიის რომელიმე პროვინციის მცხოვრებმა დაკარგა ეს ქუდი. ნეტავ კიდევ რამდენი ათას კაცს უნდა ვკითხო: ქუდი ხომ არ დაგიკარგავთ-მეთქი? არასოდეს მიგრძვნია თავი ასე სიქაგამოცლილად, როგორც დღეს. გამოსავალი არ ჩანდა. ქუდი ჩემთან უნდა დამეტოვებინა. "ყველას ერთნაირი ქუდი ახურავს!" - ამ ფიქრმა კიდევ უფრო გამიძლიერა თავის მოკვლის სურვილი. შიშისგან ვძრწოდი, მზარავდა ცივი, გამოცარიელებული, გაყინული ოთახები. საკუთარი თავიც მზარავდა, არადა, სიკვდილისაც მეშინოდა. რა ვქნა ახლა, რა ვიღონო, რა მოვუხერხო ამ დაავადებულ თავს. ეგებ წერამ მიშველოს? ხო, უნდა დავწერო! ამიტომაც მივუჯექი მაგიდას და კალამი მოვიმარჯვე. მაგრამ წერის დროსაც განუწყვეტლივ ერთი აზრი მიტრიალებდა თავში: "როგორც კი დავასრულებ წერას, უეჭველად რაიმე თბილ კერძს მოვიმზადებ და შევჭამ. თანაც, წერისას ისე გავიყინე, ქუდშიც უკეთ შევიყუჟები. ყველას ასეთი ქუდი ახურავს. ყველას, ყველას ერთნაირი ქუდი ახურავს..."

ველარც წერას ველეოდი. ვწერდი, ვწერდი...

გერმანულიდან თარგმნა მაია მირიანაშვილმა



ეროვნული ბიბლიოთეკა



*მიხაელ როსენი ინგლისელი პოეტია, ცნობილია აგრეთვე, როგორც რადიონამყვანი.*
*იგი საგანმანათლებლო და ანტირასისტული კამპანიების აქტიური მონაწილეა. როგორც თავად წერს, სინაგოგაში სულ ორჯერაა ნამყოფი - ერთხელ საკუთარ ქორწილში და ერთხელაც პოეზიის საღამოზე, მაგრამ არავის უნახავს იქ მლოცველი.*
*წარმოდგენილი ლექსები გამოქვეყნებულია მის წიგნში "შენ ხარ, არა?"*

## მიხაელ როსენი

### მოდი ვითამაშოთ ტირანობანა

მოდი აიღე მსოფლიო რუკა
აიღე მოდი ლურჯი ფანქარი
და მოინიშნე მოინიშნე სახელმწიფოები

და დაეხმარე მათ წინსვლაში
სახელმწიფოებს დაეხმარე წინსვლაში
და გამარჯვებებში და წინსვლაში

სიკეთე ჰქმენ და იღაღადე ჰუმანიზმზე
მოხერხებულად გაასაღე მათი ლიდერები
დააქილერე

და შეურჩიე მათ ბედნიერებს გენერლები
და გაუმრავლე პოლკოვნიკები
და საჰაერო მეთაურები

ასესხე მერე მათ მწვანე ფული
სტერლინგებიც ასესხე მათ და
მარკებიც კიდევ რაღა თქმა უნდა

მიჰყიდე მერე მათ რაკეტები
ტანკები და თვითმფრინავები
გაუჩალიჩე ბოევიკებიც
და წამალსაც ნუღარ მოაკლებ

გამოწვრთენი მათი ჯარები
და გამოჯეკე მათი ფოლადის არწივები
გააფოლადე მათი საიდუმლო სამსახურები

და წაასხი ისინი მერე რიო ტინტო ზინკისკენ
ანგლო-ამერიკას ჩააჩუტე
სხვაგან და სხვაგან გადაისროლე
შორსაც ახლოსაც

და შეაწერე მერე მათ ყველას ალუმინი
და ნედლეული შეაწერე სახელმწიფოებს
გაზიც ნავთობიც

და აწარმოე დაკვირვება მერე მათ ხალხებზე
დააკვირდი მათ ახალგაზრდებს დღეშემოკლებულთ
იცან კაიფი მახეებში გახლართულების.

და დააკვირდი როგორ ულეწავენ
როგორ ულეწავენ ერთმანეთს ცხვირ-პირს
პოლკოვნიკები და გენერლები
დაამუღამე ეს დიადი სანახაობა

ნახე ბომბების ფეიერვერკები
ნახე ტანკების დნობა-ალუფხვა
თვითმფრინავების ჩამოღვენთება

ნახე გაქრობა ძეხორციელთა
ნახე სოფლები გადახანძრული
ქალაქები იავარქმნილი

კვლავ გაბარიგდი მერე გაყიდე
გაყიდე მეტი ნაღმტყორცნები
გაყიდე მეტი ჯავშნოსნები
და გამოჩეკე მეტზე მეტი ჯარისკაცები

მაგრამ რა ხდება ვერ აკონტროლებ
შენს გენერლებს და შენს პოლკოვნიკებს
რას ბჟუტურობენ რას ბაზრობენ
რას ღადაობენ

და ჰა, გამოხდა ჟამი ნანატრი
კვლავ ჰქმნა სიკეთე
და იღაღადო დემოკრატიაზე და დამოუკიდებლობაზე
კაცთმოყვარეობაზე და სამოქალაქო საზოგადოებაზე

და გამოიყვანო მწყობრიდან ბომბდამშენი
და კრეისერები გამოიყვანო მწყობრიდან
და ლაზერები გამოიყვანო მწყობრიდან

რათა მერე ისევ თავიდან ითამაშო
ჩახოცო ხალხი თავიანთ სოფლებში
ჩახოცო ხალხი თავიანთ ქალაქებში
მინდვრებში ლოგინებში ბაღებში

რათა მათ ჰქონდეთ თავისუფლება ჭეშმარიტი
რათა მათ ჰქონდეთ დემოკრატია ჭეშმარიტი
რათა ისინი აწ და მარადის
განთავისუფლდნენ ტირანებისგან

ინგლისურიდან თარგმნა ზურაბ ოდიშარია

ეროვნული ბიბლიოთეკა

## შარანსკი

გახსოვს შარანსკი - თავისუფლების მებაირაღე?
ებრაელი, შეყინული რუსეთის თაღებს.

საკუთარ თავზე:
ჩემსავე სახლში მე მაქვს ლტოლვილის ტკივილი,
ვნება.
მაჩუქეთ ნება წავიდე ისრაელს,
ჩემს ერს აჩუქეთ მიწის ძახილის ნება.
ის ურეკავდა მთელს მსოფლიოს:
არავისა აქვს დრო, გამცეს პასუხი?
არ გსურთ გაიგოთ ჩვენი ყივანა თავისუფლება?

საბოლოოდ ნება აჩუქეს...

არც კი აცალეს დაბრუნება,
რომ უცნობები მიესივნენ:
ჩვენ პალესტინის გეწვიეთ ნება,
ჩვენსავე სახლში ჩვენ გვაქვს ლტოლვილის ტკივილი,
ვნება.
არავისა აქვს დრო აიღოს სმენის ყურმილი?
არ გსურთ გაიგოთ ჩვენი ყივანა თავისუფლება?

- თავისუფლება?
- თავისუფლება?
თითქოს ბოდიში ორჯერ დაბადა;
- იცით ბიჭებო, ეს არ გაძლევთ ყველაფრისნებას...
და მოიხურა ვერნუგეშისფერი ლაბადა.

## ახალმოსახლეები

გუშინ
მამაჩემი ჩამოვიდა ინგლისში სხვა ქვეყნიდან,
გუშინწინ
მამაჩემის დედა ჩამოვიდა ინგლისში სხვა ქვეყნიდან,
მაგრამ, გუშინწინ
მამაჩემის მამა დარჩა წარსულში.

ე.ი. ჩემს მამიკოს მამას არ უნახავს სველი კუნძული
და მე კი თვითონ არ მინახავს ბაბუ საერთოდ.

გაზაფხულის დღემ
რამდენიმე საჩუქარი გამომირიყა:
ცოტა ქაღალდი ძველი და ბაცი,
ცოტა სურათი წარსული თვლებით,
და - დიახ, - სულაც არ გეხუმრებით,
ბომბორა, მძიმე, სქლად კუბოკრული ქურთუკი კაცის,
მე რომ მინდოდა დამეძახა მისთვის "ბაბუააააააა",
კაცი, რომელიც დარჩა წარსულში.

მაგრამ მე მისი ხსოვნა ვცვითე ქურთუკთან ერთად,
მე ის ვატარე,
მე ის მეცვა,
მე ის ვატარე,
მანამდე, ვიდრე არ შემცივდა გარღვეულ ზურგზე.

## ებრაელი ვარ

იმიტომ რომ მე დედ-მამამ მითხრა
შენ ხარ
იმიტომ რომ არ მწამს ღმერთი
იმიტომ რომ დამარიგეს
კი ხარ მაგრამ ასე მაგრად ნუ იქნები

იმიტომ რომ დედაჩემმა მე მომიგო თხრობით შვება
1936, კაბლის ქუჩა, მუსლიმანთა შეწყვეტილი მარშირება

იმიტომ რომ მამის მამამ ერთხელ ასე უიგავა
თუ აიღებ 1-ღერ ასანთს მოახერხებ გადატეხო
იმიტომ რომ არის ერთი,
თუ აიღებ 2-ღერ ასანთს მოახერხებ დაამტვრიო
იმიტომ რომ არის ერთი,
თუ აიღებ 3-ღერ ასანთს შეგიძლია დაამსხვრიო
ისიც არის რადგან ერთი,
მაგრამ კონით სავსე ყუთი თვითონ გაგტეხს -
იმიტომ, რომ ერთებისგან შექმნილია კონა მთელი.

იმიტომ რომ შენ მითხარი რომ სუყველა ებრაელი
უ-ბრალოა
როცა ვიცი უ-ბრალობას კენტად ვბერავ და მოვგავარ
რომის ბოლო მთავრის მკერავს
იმიტომ რომ შევათავსე სამარიტელთ იგავის და
კრენტილების ცხობის ტრფობა
იმიტომ რომ არასოდეს გამიგია ყურისხლებით ისრაელის
წმინდა ვენის
იმიტომ რომ არ არსებობს ებრაული თეთრი შავი
ინგლისური
ჩემი-შენი რასის მსგავსი ფენომენი
იმიტომ რომ დავინახე ორი ბიჭი დასცინოდა მლოცველ
ხასიდს
იმიტომ რომ დილით სამჯერ მომაძახეს ნაგავი და
შებილწული ებრაელი
იმიტომ რომ ჩემს ტელეფონს ვერ მოძებნი ალფავიტით
იმიტომ რომ მომახალეს სიხარულის მკვდარი ჩიტი
ებრაელით სრულებითაც არ ვწუხდებით მაგრამ მაღალ
სავარძლებში ასე ბევრი ნუ იქნებით
იმიტომ რომ წინასწარ ვუცქერ დროს და მაღალ სკამებს
მოვახსენებ თქვენ იქ ქრებით

ინგლისურიდან თარგმნა **ზვიად დევდარიანმა**

არილი



ნოდარ გურაბანიძე

# სამყარო თეატრალის თვალით



I

## გროტესკული გარდასახვანი

ისინიც კი, რომელთაც ბოსხისა და ბრეიგელის არა თუ ორიგინალები, არამედ მათი რეპროდუქციებიც კი ხეირიანად არ უნახავთ, გვიმტკიცებენ, რომ რობერტ სტრურუას თეატრალურ სამყაროში ამ ორი დიდი მხატვრის გროტესკული პანორამების ერთგვარი გამოძახილი იგრძნობა.

მართლაც, თუ კარგად დავაკვირდებით, შევნიშნავთ, რომ არა თუ ატმოსფეროა აქ საცნაური, არამედ ცალკეული ფრაგმენტები და დეტალებიც კი ძალზე უახლოვდებიან ან, ზოგჯერ, პირდაპირ იმეორებენ ფერწერული შედევრების ამა თუ იმ საგნებს, ჰალუცინაციურ ვიზიონებს.



ჯერ კიდევ ადრე, თავის პირველ შედევრში ("ყვარყვარე") ორი სცენური კომპოზიცია აშკარად შთაგონებული იყო ორი ცნობილი ნამუშევრით. პირველი, ეს იყო ივანოვის "ქრისტეს გამოცხადების" პათეტიკური სცენა, მეორე კი, რეპლიკა მიქელანჯელოს სიქსტეს კაპელის მონუმენტური ფრესკიდან - "სამყაროს შესაქმე".

მაგრამ, როგორც ეს საერთოდ სჩვევია რ. სტურუას, ყველაფერი უკუღმა იყო წარმოდგენილი, გადატრიალებული, პაროდირებული - ფორმის მხრივ და გროტესკული, შინაარსის თვალსაზრისით.

...დანგრეულ ეკლესიაში, რომლის კედლები ანგელოზისა და რეალისტური პორტრეტებით იყო მოხატული, საშინელი ჭექა-ქუხილის დროს შეშინებულ, ძირს დამხობილ ხალხს ქრისტეს კვართში გახვეული, ფეხშიშველი, თეთრად შეფეთქილი სახით ეცხადებოდა ანტიქრისტე - ყვარყვარე, წინ გაწვდილი ხელით (კანონიკური, დამწყალობელი ჟესტი) და მოჩვენებითი სიბრალულით მიმართავდა სცენაზე თავმოყრილ, ჭექა-ქუხილისაგან ზარდაცემულ ხალხს: "რა დაგემართათ თქვე გლახაკებო? სულ ასე უნდა იწანწალოთ, უთაურებო? თქვენი კაცად გახდომა რომ ვერ მოვახერხე?" (პიესაში ამ სიტყვებს ყვარყვარე ეუბნება კაკუტასა და ქუჩარას)...

ხოლო მეორე, უსიტყვო ეპიზოდი გამოხატავდა ყვარყვარეს "გადასვლას" სხვა განზომილებაში - ნაცარქექიის კერიიდან - სოციალური კატაკლიზმების სამყაროში.



ეროვნული ბიბლიოთეკა





ღრუბელზე ნახევრად წამოწოლილი მიქელანჯელოს ადამის მსგავს პოზაში გარინდულ ყვაყვარეს სოციალისტი სევასტი ხელის მტევნის ერთი შეხებით გარდაქმნიდა "ახალ ადამიანად", აჩენდა ახალი ცხოვრების პირველ შვილს. იქვე იდგა სევასტის სატრფო - გულთამზე, ორსული, სასაცილოდ გამობერილი ვეება მუცლის ცოტა ზემოთ წითელი ბაფთით. მასაც ახალი ადამიანი უნდა მოევლინა ამ ქვეყნად.

კლასიკოსთა პიესების (შექსპირი, კალდერონი) საფუძველზე შექმნილ სპექტაკლებში უკვე ევროპული, კათოლიკური სამყაროსათვის დამახასიათებელი კარნავალურ-გროტესკული რიტუალების საგნები და ელემენტები პირდაპირ "გვეცხადებიან" ბოსხისა და ბრეიგელის "გავლით". ესენია ურმის თვლები, სახრჩობელები, ორთითები, ურიკები, ყვავები, რომლებიც სცენაზე მეტაფორულ აზრს შეიცავენ. განსაკუთრებით ეს იგრძნობა "რიჩარდში", რომლის სცენური სივრცე სწორედ მეტაფორული თუ სიმბოლური საგნებითაა შექმნილი. მაგალითად, პატარა ბორბლებზე შემდგარი კუბო და უცნაური ფორმის სკამი (ტახტი?) ბრეიგელის სურათების - "სიკვდილის ტრიუმფის" (პრადო, მადრიდი) და "კარნავალის ბრძოლა დიდმარხვასთან" (ხელოვნების ისტორიის მუზეუმი. ვენა) - კომპოზიციის ცენტრშია მოთავსებული. სწორედ ასეთი "ბრეიგელის კუბოთი" მოასვენებს ლედი ანა რიჩარდის მიერ მოკლულ მეუღლეს, მეფე ჰენრის სხეულს, წმინდა პეტრეს ტაძარში განსასვენებლად. ეს რიტუალურ-საკრალური საგანი (კუბო) კარნავალურადაა გათამაშებულ-დამდაბლებული სპექტაკლში. მასზე ხან რიჩარდი ჩამოჯდება მიცვალებულის ფეხებთან, ხან საბურველს ახდის სახიდან მიცვალებულს და ცინიკურად აცხადებს: "დიახ, მე მოვკალი მეფე ჰენრი", ბოლოს კი, ანას ცდუნების სცენაში, კუბოს საფარად იყენებს, როცა ანას ზემოდან დაისვამს და, ვითომ დამორცხვებული, ღრჭიალით გამოაგორებს, ასაფარებლად.

"რიჩარდში" თითქმის ზუსტი ასლია ბრეიგელის სურათში "კარნავალის ბრძოლა დიდმარხვასთან" გამოსახული სკამისა (ტახტი!), მაგრამ აქაც შენაცვლებულია ფიგურები.

თუ ბრეიგელის "ბრძოლის" ტახტზე შიმშილისაგან ჩონჩხად ქცეული მარხვის კლეგოზიული ფიგურა ზის (თავზე მოწნული, კონუსის ფორმის კალათა ახურავს), აქ, სპექტაკლში ეს სკამი მეფე ედვარდის, ამ უაღრესად ხორციელ, უზომოდ გასუქებული და ღორმუცელობას გადაყოლილი კაცის სამეფო ხელისუფლების ინსიგნაციაა და ყველა ცოდვილი (რიჩარდი, ჰესტინგსი) ამ სკამისკენ მიილტვის.

სხვათა შორის, მანამდე ამ სკამს (ტახტს!), რომელიც მთელი სპექტაკლის მანძილზე სცენაზე დგას, როგორც ხელისუფლების სიმბოლო, რიჩარდი ვნებიანად იკრავს გულში, რათა ლედი ანას უჩვენოს თუ სექსუალობის რა ცეცხლში გახვევა შეუძლია მას და რა ნეტარება ელის ქალს მის მკლავებში ("ახლა, როცა შენი მშვენება ასე მწყურია").

სპექტაკლში "ცხოვრება სიზმარია" (კალდერონი) ერთი ასეთი, ძალზე ფერწერული სცენა იყო - ცხადია, გროტესკულად გათამაშებული. უფლისწულ სეხისმუნდოსთან მოდიან ქალაქის მდაბიონი, სახიჩრები, ავადმყოფები და შეჰღაღადებენ - "სახალხო აჯანყებას" ჩაუდექი სათავეში და ტახტიდან გადავაგდოთ მამაშენი, მეფე ბასილიოო. ეს პერსონაჟები თითქოს ბრეიგელის სურათებიდან - "იგავი ბრმების შესახებ" (ეროვნული მუზეუმი, ნეაპოლი) და "ხეიბრები" (ლუვრი. პარიზი) - იყვნენ გადმოსულნი. მაგრამ თუ მხატვრის ბრმები პირდაპირ ორმოსკენ მიეშურებიან, სტურუას თვალხილული მოქალაქეები ამასვე სჩადიან გაუაზრებლად, სოციალური ინსტინქტების კარნახით. ორივე შემთხვევაში კატასტროფა გარდაუვალია. ახლო წარსულის ქართული სინამდვილის რეალიებთან ასოციაციების გარდა, აქ უნდა გავიხსენო სათანადო ადგილები ლუკასა და მათეს სახარებიდან, საიდანაც ჰპოვა შთაგონება ბრეიგელის ამ ნახატებმაც:

ლუკა: "განა შეუძლია ბრმას ბრმის მეგზურობა. განა ორივენი ორმოში არ ჩაცვივდებიან?"

მათე: "მოეშვით მათ, ბრმები არიან და ბრმათა წინამძღოლნი. ხოლო თუ ბრმას ბრმა მიჰყავს, ორივენი ორმოში ჩავარდებიან".

საგნის პირდაპირ გადმოტანას და მის გახვევას პაროდირებულ თავგადასავალში ვხედავთ რ.სტურუას ბოლო სპექტაკლში "მეთორმეტე ღამე".

როგორც ცნობილია, პიტერ შტაინის მოსკოვურ სპექტაკლში ჰამლეტი საქსაფონს ვერ იშორებს (იხ.ჩემი წერილი "არილი" N12.2001 წ.) ამ ინსტრუმენტის მელოდიით გამოხატავს თავის სიხარულს, ამით იქარვებს სევდას და ვარამს. მისი მელოდია ისმის საფინალო სცენაში, როგორც რექვიემი ვერაგულად მოკლული ჰამლეტის სულისა.

"მეთორმეტე ღამეში" ლაღი და ირონიული სტურუა თავს ხუმრობის ნებას აძლევს და დიდი გერმანელი რეჟისორის ეს ჰამლეტისეული ინსტრუმენტი შექსპირის საშობაო კომედიაში ამოჰყოფს თავს. საქსაფონი სულ მუდამ გულზე ჰკიდია უქნარა, ცანცარა, ყვითელთმიან სერ ენდრიუსს. შეიძლება, რ.სტურუას მაინცდამაინც არ სურდა პარალელის გავლება მოჩერჩეტო, უიმედოთ შეყვარებულ სერ ენდრიუსა და ბრძენ, სევდიან ჰამლეტს შორის, მაგრამ თავშესაქცევი პაროდია, მისდაუნებურად, მაინც გამოუვიდა.

შტაინის "ჰამლეტში" და სტურუას "მეთორმეტე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღამეში" სხვა პერსონაჟები ამაოდ ცდილობენ ამ საქსაფონზე დაკვრას. ჰამლეტის მოღალატე მეგობრები გილდესტენი და როზენკრაეცი ჯერ საერთოდ უარს ამბობენ დაკვრაზე ("ისიც არ ვიცი, ხელი როგორ მოვკიდო", - ამბობს გილდესტერნი), მაგრამ, მერე იძულებულნი არიან ხელში აიღონ ინსტურმენტი - ამაოდ! თუმცა, "ეს ისე ადვილია, როგორც სიცრუის თქმა... თქვენ გინდათ, რომ მე თქვენი საკრავი ვიყო, ჩემი ხელში დაჭერა ადვილად მიგაჩნიათ, გინდათ ჩემს საიდუმლოს გული ამოაცალოთ და ჩემი სულის სიმებს სათითაოდ ხმა ამოაღებინოთ, ამ მცირე მუსიკის საკრავს კი, რომელიც წყაროა ჰარმონიისა, ამბობთ, ხმას ვერ ამოვაღებინებთო?" ("ჰამლეტი" ივანე მაჩაბელის თარგმანი) რ.სტურუასთან კი ეს საქსაფონი ხუმრობის საგნადაა ქცეული. ჯერ ერთი, თვით სერ ენდრიუ, შტაინის ჰამლეტისაგან განსხვავებით, ხეირიანად ვერ უკრავს ამ ინსტრუმენტზე და სხვებიც, რაც ძალა და ღონე აქვთ, უბერავენ, შუაზე იფხრიწებიან, მაგრამ ქშუილის გარდა არაფერი ისმის.

როგორც ვხედავთ, აქაც, ეს საგანი კარნავალური ხუმრობის ატმოსფეროსა და პაროდიასთვისაა მოხმობილი და პერსონაჟის კომიკური ბუნების გახსნას უწყობს ხელს.

## II

## "იქ რა იქნება, იმ ბნელსა და უცნობ მხარეს..."

*("ჰამლეტი")*

კოსმონავტი იური ბატურინი, მრავალმხრივ განათლებული სწავლული, შესანიშნავად დაწერილი "კოსმოსური დღიურების" და წარუშლელი შთაბეჭდილების მომხდენი კოსმოსის ფოტოების ავტორი (მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გაიმართა ამ ფოტოების გამოფენა) წერს, რომ მხოლოდ კოსმოსში გრძნობ, თუ რა ხანმოკლეა, თვალის ერთი დაფახულებაა, ადამიანის "შეხვედრა" დედამიწასთან (თუ გავითვალისწინებთ, რომ მას ძალზე მცირე დრო აქვს მოცემული განგებისაგან მიწაზე სტუმრობისათვის). უაღრესად სიმბოლურიაო ეს სურათები, როცა ილუმინატორიდან ერთდროულად შეგიძლია თვალი ადევნო დღესა და ღამეს. "Темнота видима"-ო წერს ბატურინი. "იგი უსინათლობა კი არ არის, არამედ თვითსრული, ქმედითი ელემენტია. ზოგჯერ დედამიწის ჩრდილი ისე ღრმაა, რომ მთების უძირო უფსკრულისაგან ვერ გაარჩევ. ისეთი გრძნობა გეუფლება, რომ შენს თვალწინ სიცოცხლე (და დედამიწა) "არყოფნიდან" ამოცენდება, რათა მერე ისევ "არარაობაში" დაიკარგოს.

ეს სურათი, თითქოს, ჰამლეტის "ყოფნა-არყოფნის" დილემის რაღაც განსაცვიფრებელი გამოძახილია.

ბატურინის კოსმიურ სიმარტოვესთან ერთად უგრძვნია სამყაროს "შუაში" ყოფნა: "ირგვლივაც" შენ ხარ და, ამავე დროს, "ცენტრშიაც" შენ ხარ. "და როდესაც წარმოიდგენ, რომ "არყოფნისაგან" განცალკევებს მხოლოდ თხელი მეტალის კორპუსი, განსაკუთრებული პატივისცემით იმსჭვალები ამ კორპუსის მიმართ".

...მართლაც გენიალურია შექსპირი. მისი ბრძენი ჭაბუკი ჰამლეტი სწორედ ამგვარ განცდებს შეუპყრია: "ოჰ, ღმერთო ჩემო! მე თუნდაც კაკლის ნაჭუჭში მომწყვდეული ვიყო, ჩემი თავი დაუსრულებელი სივრცის მფლობელი მეგონებოდა". ეს სიტყვები პასუხია როზენკრანცის რეპლიკისა: "ეს ქვეყანა მეტად ვიწროა თქვენის ფართო სულისათვის".



დავით ანდრიაძე

# თოჯინები და ანგელოზი

იმპროვიზაციები ზურაბ ნიჟარაძის ოპუსების თემებზე

"თუკი სიზმარს ჩემთვის ბედნიერება მოაქვს, ხოლო გამოფხიზლებას - უბედურება, მე შემიძლია ვიძინო და არასოდეს გამოვფხიზლდე"

ლ.არიოსტო, "შმაგი ორლანდო"

## პეპლების კონცერტი

მაინც, რით მხიბლავს ნიჟარაძე? ჩემგან ნუ გაიკვირვებთ და უპირველეს ყოვლისა, იმით, რომ იგი ზედმეტად არაფერს ართულებს. საოცრად ტაქტიანი მხატვარია. ტაქტიანთან და კორექტულთან კი - სხვა გზა არაა, - შენც ტაქტიანი უნდა იყო. ნიჟარაძე ახერხებს, იყოს, ასე ვთქვათ, ჩვენი "ყველა", თანაც მხოლობით რიცხვში. ამ ჩემს ტექსტში ნათარგმნი ინტონაცია თავადვე დავიჭირე, თუმცა თარგმნადობა არც ნიჟარაძისთვისაა მთლად უცხო!

ახლა განვაგრძოთ... "არიან მხატვრები, რომლებიც ჩვენს "შესახებ" არ არიან (სტილში ნუ შემედავებით - ჩემი საქმისა მე ვიცი!)" ნიჟარაძეში კი სწორედაც ჩვენს საკუთარ თავს ვცნობთ, იგი ჩვენს განცდებს ეხმიანება. ჭკუისა არ იყოს, "გაზომილი" აქვს ჩვენი გრძნობები, იცის მისი "ზუსტი", ანუ მგრძნობიარე წერტილები, ეროგენული ზონები. იცის, როგორადაც გამოიწვიოს თანაგრძნობა, სად გააბას ესთეზისის მაინტრიგებელი ძაფი და სად გაწყვიტოს, სად აუწიოს ხმას, სად დაუწიოს (მეც ხომ ვიცი?!).

ვინა სთქვა, თითქოს მისი ფერწერა უშუალო იყოს? უშუალო კი არა, ეს უფრო "ახალი გულწრფელობაა". ამგვარი მხატვრობა თავდაცვითი ხასიათისაა. ეს არის საკუთარ ნიჟარაში შეყუჟვა. ამასთან, გზაა უხეში მატერიის წინააღმდეგ მიმართული, სიმძიმის წინააღმდგომი გზა, იმ სიმძიმისა, რომელიც გარდუვალადაც კი უნდა საჭიროებდეს ფერწერისაგან რეალიზაციასა და ფორმას. მაგრამ დგება დრო, როცა მხატვარი გამოდის ნიჟა-



ეროვნული ბიბლიოთეკა



ვახუშტი კოტეტიშვილის კოლექციიდან

რიდან და ფერწერულად განცდილი, ანუ შემსუბუქებული რეფ-
ლექსიის თავისუფალ პროცესს აღ-გვიწერს. მის ფერწერას არ
ახლავს ოსტატობის კაენისეული დამღა. თუმცა, ამგვარი დის-
კურსი არც სალიერიზმთან აშკარად დაპირისპირებულ მოცარ-
ტიზმად ჩაითვლება... ემოც-არტისტიზმად, კი ბატონო!

ეს ეთერული (ოღონდ, არამც და არამც - იმაგინაციური) პო-
ეტი-ფერმწერი, რა ხანია იშვიათი მაესტრიით აზდენს ჰაეროვნე-
ბის კულტივირებას. საგანში მძიმე სტატიკას კი არა, მსუბუქ თა-
მაშს გადმოსცემს, ხავერდის მტრედისფერი ჭავლი გლისანდოსა-
ვით გადაირბენს მისი ტილოების ტექსტურაზე და... დროებით
ჩერდება. ამასობაში ჰაერის ნაკლებობა ცხოვრებას კიდევ უფრო
მწარეს ხომ არ ხდის, სიყვარულის ტექსტიც ხომ არ იფლითება?!
თუმცა ეს მაინც ამაო ეჭვებია, ალბათ. თვით ნიჟარაძე არაა ეჭვი-
ანი, მაგრამ არც მთლად უამისობა იქნება.

ასეა თუ ისე, ამ მშვენიერ სამყაროს სწორედაც ლაჟვარდოვა-
ნი მდინარეები "ჩამორეცხავენ", ილუზორულად ეშვებიან ძირს,
ქალაქში, რომლის სახელი და ტოპოლოგია მხატვარმაც არ უწ-
ყის... იქ კი, ზევით - სამყარო თმის ღერის სიმსხოდ ნატიფდება...

ასე მწკრივდებიან ჰაეროვანი თაღები, ჟღერენ არფები, ბუკ-
სა და ნაღარას სცემენ ჯადოსნურ ხალიჩაზე მფრინავი არტსეკუ-
ლარიზებული ანგელოზები, იღვრება სუფთა, აუმღვრეველი,
თბილი ლაჟვარდი...

ასე იბადება ტრანსტექსტუალური (პირველი?) სიყვარული,
რომლის გასაზიარებლადაც ჯადოსნური ფლეიტის მალენიავში
მოფრინავენ ლურჯი ანგელოზები, ეს ეთერული პეპლები, უცნა-
ურ კონცერტს რომ აწყობენ. მერე შეუმჩნევლად ღამდება, "შე-
ღამების ქნარი" ფარვანების მოფრენის მაუწყებელია, მოფრენისა
და მერე ისევ გაუჩინარების - გაუჩინარებისა, უცხო მხარეში; და
ეს სრულებითაც არაა ლიტერატურა.

## თოჯინების "მე"

ზურაბ ნიჟარაძე სამყაროს ილუზიების გარეშე უცქერის... ეს
ვინ, ნიჟარაძე? - იკითხავს მისი მხატვრობის ზერელე პერლუსტ-
რატორი, რომელიც ამ მხატვრის სიმპათიურ სამყაროში, ალბათ,
ყოფიერების ილუზიურ, სპეციფიკურად გულგრილ, ინდიფერენ-
ტულ, თუნდაც ზერელე ჭვრეტას აფიქსირებს; და შეიძლება მარ-
თალიც იყოს. მე კი მაინც მგონია, რომ ნიჟარაძე მთლიანობისა-
კენ ისწრაფვის, მთლიანობისაკენ თავის მოტყუების გარეშე,
თუნდაც ეს მთლიანობა თოჯინური, სათამაშო იყოს. თითქოს სად
რილკე და სად ნიჟარაძე, მაგრამ არასრულყოფილ ნახევარპი-
როვნებებს, ანუ როგორც მერაბ მამარდაშვილი იტყოდა, ნახევ-
რადდაბადებულებს, ჩვენი მხატვარი ხშირად ისევ მთლიანი თო-
ჯინების "მე"-ს ამჯობინებს. თოჯინების "მე"-ო? კი მაგრამ, თო-
ჯინების "მე" ვინ გაიგონა, ანდა სადა აქვთ მარიონეტებს "შერ-
ბა"? აქვთ, დამიჯერეთ, აქვთ! ყოველ შემთხვევაში, თუ ჩემი არ
გჯერათ, ნიჟარაძეს დაუჯერეთ...

თოჯინა და ანგელოზი კი როგორც მხატვრის(?!) პერსონა-
ლური მონოლოგიის პროტაგონისტები ისევ თამაშობენ, ისევ უპ-
ირისპირდებიან ადამიანს, როგორც სრულყოფილებანი - სრულ-
ყოფილებანი, როგორც სულიერი, ისე სხეულებრივი გაგებით...

ისევ რილკე მახსენდება, ის რილკე, კლაისტის კვალად რომ
გვიმეორებს, გამჩანაგებელი რეფლექსიისათვის მიუწვდომელი
გრაცია ან ღმერთის, ან უსასრულო აზროვნების პრივილეგიაა,
ანდა მარიონეტისა - მარიონეტისა, მისი ავტომატიზმითო. ხე-
დავთ?! თოჯინა და ანგელოზი ისევ ერთად არიან, ისევ ერთად
თამაშობენ ყოფიერების თეატრში. სინთეზი სწორედ ამგვარ თე-
ატრში მიიღწევა, თოჯინურ თეატრში; მარიონეტული ესთეზისი
ანესთეზიასაც მოასწავებს. უხეშ სინამდვილესთან შეხებისას ეს
სინთეზური მთლიანობა ისევე იმსხვრევა, როგორც ფაიფურის
ნაკეთობა - გარდუვალი დასასრულის ტრაგიკულ წინათგრძნო-
ბაში... ესაა წინათგრძნობა, რომელსაც სიკვდილი ჰქვია. სიკვდი-
ლი, რომელსაც სიცოცხლემდე ატარებს ადამიანი - ჯერ კიდევ
დაუბადებელი, გაუჩენელი ადამიანი; ატარებს, როგორც პატარა
ლამაზ კენჭს. ერთხელაც იქნება და ადამიანმა ეს კენჭი წყალში
უნდა გადააგდოს, მშვიდსა და აუმღვრეველ წყალში (და არა მი-
წაში ჩაფლას), ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ზოგიერთის მიერ
წყალში მოსროლილი კენჭი კითხვის ნიშნის მაგვარ კონფიგურა-
ციებს შემოწერს, ზოგისა კი - უბრალო წრეებს... სხვაფრივ: ზო-
გის კენჭი სულში უფრო ხანგრძლივად მჟღერ კითხვა-მელოდი-
ას ახმოვანებს, კითხვას, რომელსაც ჰქვია "რატომ" ("რატომ",
"რატომ", "რატომ"..?)... ზოგის კენჭი კი ერთხელ გაიჟღერებს
ყურის ნიჟარაში; "ტყაპ"... და გათავდა...

## თამაშის გაგრძელება

თოჯინა და ანგელოზი კი კვლავაც ვირტუოზულად თამაშო-
ბენ ონტოლოგიურ თეატრში. თამაშობენ დამდგმელი რეჟისო-
რის იდუმალი ხელის კარნახით, თამაშობენ ხელოვანის მკაცრი
კონტროლით... თუმცა აბსოლუტური კონტროლი შეუძლებე-
ლია, რადგან მაგიური ჯაჭვის რომელიმე რგოლში მაინც იჩენს
თავს ადამიანური არსება, თავს იჩენს იმისათვის, რომ მექანიზმე-
ბის კოორდინირება შეეძლოს და მაყურებლის თვალით აღიქვას
იგი. აი, ამ მომენტში კი მარიონეტი ცოცხლდება და... შე-ცდება;
შეცბება კიდეც...

ყველაფერი თავიდან უნდა დაიწყოს. ეს თვით წარმოდგენის
მარიონეტიზაციის დასაწყისიცაა, რომლის პროცესში "სპექტაკ-
ლის" ცოცხალი რეალობა მექანიკურში გადაიზრდება. რაც შეე-
ხება ფერწერულ წარმოდგენას, აქ მარიონეტული მექანიკურო-
ბა ილუზორულ სინამდვილედ, თანაც ესთეტურად ცოცხალ სი-
ნამდვილედ გვეცხადება.

ქართულ ფერწერაში ნიჟარაძისეული მარიონეტების თეატ-
რის "არქეტიპი" ალექსანდრე ბაჟბეუქ-მელიქოვის 20-30-იანი
წლების ოპუსებია. ამ დიდი მაესტროს ადრეული სურათების პერ-
სონაჟები, თავის მხრივ კუბიზმის პრიზმაში გარდატეხილი კლა-
სიკური ფერწერის (ჯორჯონე, ტიციანი, რუბენსი, ველასკესი)
პროტაგონისტები არიან. ბაჟბეუქ-მელიქოვისეულად დეციტი-
რებულ ფიგურებში ტანის ყველა ღერძი პერპენდიკულარულად
"ირითმება": მხრები - კისერთან, მკერდი - ტორსთან, მათი სიმი-
ვით დაჭიმული სხეულები უცნაურ ხმებს გამოსცემენ და ლამის
აუდიოვიზუალურად მუზიცირებენ. კორსაჟების ხაზულობებიც
ფარული ბაჟბეუქისეული ციტატებია, ოღონდ ნიჟარაძისეული
ქალების ტანი განძარცვულია კრისტალიზებული სტრუქტური-
საგან, ფაქტურის ვიბრაციაც "ხელოვნურადაა" დაყოვნებული...
ერთი კია, თავის "თეატრში" ნიჟარაძეც მარიონეტების მეოხე-
ბით გაათამაშებს სცენებს, ოღონდ ეს უკვე "ძველი ოსტატების"
სურათებიდან ასხლეტილი რემინისცენციები კი არა, მეოცე საუ-
კუნის ევროპული ფერწერის რეპერტუარიდან ნასესხები ალუ-
ზიებია. ეს უკვე "სხვა" დიალოგია. მეტიც, თავისებური უკანონო
ქორწინებაა პიკასოსი შაგალთან - ქორწინება იტალიურად,
გათამაშებული ნიჟარაძის ჟანრულ თეატრში. სხვათა შო-
რის, თბილისის რიტუალების სასახლის მოხატულობა ამგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა


ოთარ ჭილაძის პორტრეტი

ვარი ქორწინების პლაც-პარადია. რაც შეეხება თვით პერსონაჟთა დიალოგს, მათი "ჟანრი" უფრო "ქარაფშუტული" დიატრიბაა, ვიდრე რეფლექტორული სოლილოკვიუმი.

## LIDUM SERIUM

ნიჟარაძისეული დისკურსი "მატყუარაა". ერთი შეხედვით, აღსაქმელად რთული არ არის. მისი სურათების სააზროვნო სარჩულიც აბრეშუმივით მსუბუქია, სამაგიეროდ, არც თუ მარტივია ის ასოციაციური ტექსტურა, მისი ოპუსების პოეტურ-ფენომენალურ ქსოვილს რომ ქმნის, სწორედაც ქსოვილს, თავის მხრივ ინტერტექსტუალურ გირლიანდებად რომ "ნაოჭდება".

ნიჟარაძის მხატვრობის ძლიერი მხარე პოეტურ-ფერწერული აზროვნებისა (თუ ორაზროვნების) თვალშეუდგამი, წრიული პროცესია. ესაა გემოვნებიანი ფერწერა, რომლითაც "გურმანები" ფენოვანი ნამცხვარივით იკოკლოზინებენ პირს. მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ ნიჟარაძის მხატვრობა მხოლოდ ამგვარი "მომხმარებლისათვის" იყოს განკუთვნილი. ისიც სათქმელია, რომ ნიჟარაძისათვის ფერწერის, როგორც პროცესის ჩვენება, უკვე კარგა ხანია აღარაა თვითმიზანი.

ის მაინც ფერწერული თამაშის მაესტროდ რჩება, თავის პერსონაჟებს კარნავალური სიმსუბუქით რომ ეპყრობა და ეს სიმსუბუქე სერიოზული ფერწერით მიიღწევა. ეს ერთგვარი ნეორენესანსული სერიოზული თამაშიცაა - ის Lidum serium-ია, პიკო დე ლა მირანდოლა ეკლოგებისა თუ პოემების მთხზველთაგან რომ მოითხოვდა. ეს ის პიკოა, რომელიც 1484 წელს მედიჩის, ერთ-ერთ ეპისტოლეში უცხადებდა რა პიეტეტს, იმასაც სწერდა, რომ მას აღაფრთოვანებს არა მარტო ის, რაც გამოგონილია ლორენცოს ტექსტებში, არამედ ისიც, რაც აღმოცენებულია მატერიისაგან, რითაც მისი სულია დაკავებული. მივაქციოთ ყურადღება - "ის, რაც აღმოცენებულია მატერიისაგან". თითქოსდა რა კავშირი უნდა ჰქონდეს ლორენცოს ნიჟარაძესთან, მაგრამ ამ უკანასკნელთანაც - რომელი პიკო დე ლა მირანდოლა მე ვარ (თუმცა "ის ძველი" პიკო არც ნიჟარაძეა) - სწორედ ისაა აღმაფრთოვანებელი თუ არა, მოსაწონი მაინც, რომ მისი ოპუსები მატერიისაგან აღმოცენებულის შთაბეჭდილებას ახდენს. მატერიაში კი, ცხადია, ქრომატულ კონსისტენციას ვგულისხმობ. ფერწერა ხომ ნიჟარაძისათვის ამ მატერიის გაცოცხლების დღესასწაულია.

რენესანსი და რენესანსულობა ჩვენს მხატვარში სხვა ასპექტებითაც ვლინდება, თუნდაც ჰედონიზმით, არკადიანული ჰარმონიისაკენ სწრაფვით, გონებამახვილობით. თუმცა ამ უკანასკნელიდან ერთი ნაბიჯია ბაროკალური "კონჩეტოს" ესთეტიკამდე.

ნიჟარაძისეული ოპუსები თითქოსდა პეტრარკასა და კავალკანტის სონეტებივით თუ კანცონებივით ნატიფია და მედიდურიც. აქაც ტაქტიანადაა დაქორწინებული "La gravita e la dolcezza", ანუ "სერიოზული მნიშვნელოვნება" და "სიტკბოება". დიახაც, სიტკბოება, რომელიც სინატიფის მეორე სახელია...

მისი სამყაროს მთლიანობას გამჭოლი ინტონაციური "ქარგა" განსაზღვრავს. ამ ინტონაციას კი ირონიაც ქმნის. ირონია, რომელიც წინ მიდენის ფერწერულ ოქტავათა ტალღებს. თუმცა, სიტყვა "მიდენის" - საქონლის მხატველებს უფრო შეჰფერის... ნიჟარაძის ნახევრად სერიოზული, ნახევრად ლაზღანდარულ-სახუმარო ტონი თვით კომპოზიციის ფუნქციაა. ამბივალენტური ინტონაცია მოქმედების მსვლელობას შეესატყვისება. ღიმილი კი ზუსტად იმდენად გვაუცხოებს მხატვრის მიერ შემოთავაზებულ სამყაროსთან, რამდენადაც ეს აუცილებელია, რათა ფერწერული "ქაოსი" განიმსჭვალოს ავტორის ფხიზელი ნებელობით... გაუცხოება თავგადასავალთა სამყაროს კი არ ანგრევს, არამედ საჭირო მანძილით გადასწევს უკან. აქედან გაცილებით ხელსაყრელია საცქერლად, უფრო ზუსტად, საამო არის საცქერლად ("დიაცის უბესავითა"?), ხოლო ხელსაყრელი - გან-სახილველად.

და მაინც, ყველაფერი მუსიკაში წყდება - მუსიკაში და მუსიკით. დიახაც, არა ფერწერაში, არამედ ბგერწერაში, ანუ იმ მოუხელთებელ მუსიკურ სტიქიაში, თვით სამყაროს რომ წარმოგვიდგენს თავ-გადასავლად. ესაა ჰორიზონტს მიღმა სწრაფვის რენესანსული გეოგრაფიული "პათოსი", რომელიც სივრცულ ღიაობას გამოიხმობს, ამ უკანასკნელს კი ხდომილობითი თუ ინფორმაციული ღიაობის მოტივთან აზავებს. ღია ფერწერული დისკურსი ამგვარი თვალსაწიერითაა გამთლიანებული, ხოლო ახლომხედველ მხატვართა ხარბი პასტოზი აპლომბური ტექნოლოგიური მატრაკვეცობაა და მეტი არაფერი.

## სახე და ნიღაბი

ნიჟარაძის საუკეთესო ოპუსებში ამოუცნობი (თუ აუხსნელი) მიმზიდველობაა, იდუმალი (აუტანელი ტერმინია!) მაგნეტიზმი... ჩვენს მხატვარს ვერ ვაკადრებდი ისეთ ტრივიალურ გამოთქმას, როგორიცაა "სულიერი სიღრმე" - ამ ტერმინს თავისი მუშტრები ჰყავს. ნიჟარაძე პრინციპულად "ზედაპირული" მხატვარია და ამ "ზედაპირულობით" არის ღრმა. ამგვარი სიღრმე ახლავს "ლელა პატარიძის პორტრეტს", ... ენკაუსტიკის ამ უცნაურად საცნაურ დეციტაციას...

მხატვრის რენომე ბევრწილად განისაზღვრება მისი, როგორც პორტრეტისტის კულტურით. ნიჟარაძე მოდელთან მრავალსეანსიანი ფლირტის ოსტატია. რაც უფრო ახანგრძლივებს ამგვარ "დიალოგს", მით უფრო მეტ სახასიათოს "იჭერს" მოდელში და მით უფრო ანზოგადებს, მე ვიტყოდი, "ამრგვალებს" ჟანრულ ანდა კვაზიჟანრულ სცენამდე. ყოველი ოპუსის უკან კი ისევ და ისევ ირონიული ღიმილია ჩასაფრებული, ღიმილი, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, "ავტორის" არსებობისკენაა მიმართული.

ძნელი სათქმელია, ღიმილი სახეს მიეწერა თუ ნიღაბს. ნიჟარაძე თავის მოდელებს, აქტიორებს თვით "აიძულებს" (აი, როდისაა იგი უზურპატორი!) მიმართონ გრძნობადი გამომსახველობის, როგორც მიმესისური უმანკოების დაკარგვისა თუ სხეულის დამატებითი იდენტიფიკაციისას წარმოშობილი სირთულეების კომპენსაციას. ამგვარი კომპენსაციის თოკი ისევ და ისევ მხატვარ-რეჟისორს უკავია, მოკლედ ბერკეტები მის ხელთაა. ასე ძლიერდება პერსონაჟების თეატრალური დისკურსი და სხეულების სივრცული გაფორმებულობა.

ნიჟარაძისეულ მოდელებს ("გმირობა" მათ ნაკლებად შეჰფერით) შეუმჩნეველი ნიღბები უფარავენ პირ-სახეს. მსუბუქად დაფარულ უძრავ პირ-სახესა და მოძრაობაში მყოფ ტანს შორის ოპოზიცია ნიღბის ტარების ძირეული ესთეტიკური იმპლიკაციაა. იქნებ, ნიღაბი სულაც არ გამოსახავს პირ-სახეს, არც გადაფარავს, უბრალოდ (თუმცა, რაღა "უბრალოდ"?!) მიმიკას აღბეჭდავს და ყურადღების კონცენტრირებას ახდენს სახეზე, როგორც "სხვის" ტანზე. ამიტომ ხომ არ მიმართავს მხატვარი ნეიტრალურ (თუ ნახევარ) ნიღაბს; ნიღაბს, რომელიც იგულისხმება და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოდელის სახეს კი არა, როგორც უკვე მივანიშნე, "სხვის" ტანს ფარავს; ტანსაც და კანსაც...

ადამიანი უნდა დახატო როგორც პეიზაჟი; პირ-სახე - თითქოსდა, "ქვეყანაა შორი ჰორიზონტით". ძნელი სათქმელია, ნიჟარაძე რამდენად ამართლებს რილკეს ამ პოეტურ თეზისს (ანკი ვინ დაავალდებულა?!), იმას კი ვგრძნობ, რომ ესეც - ნიღაბ-პორტრეტის ლანდშაფტიზირებისაკენ მიმავალი ერთ-ერთი თემშარაა. ლანდშაფტს თავისი ნიღაბი აქვს, მაგრამ ამ თემას ჩემი ესეისტური პორტრეტის მოდელთან კავშირი არა აქვს.

## ნასესხები აურა

ნიჟარაძისეული ხატები განწყობილებათა მრავალპლანიანობით სუნთქავენ. სწორედაც სუნთქავენ, თანაც არა ჟანგბადის ბალიშებით, არამედ იმ აურით, რომელიც ხშირად პროცენტიანი სესხითა აქვს აღებული. ოღონდ - ღმერთო ჩემო! - როგორი გალანტურობითაა ნასესხები ეს ყველაფერი. კიდევ მეტი, ეს აურაა დეციტირებული. აურის დეციტაცია - ესეც, ნიჟარაძის ინტერტექსტუალური სამყაროს კიდევ ერთი პარადოქსი! თამაშის სტიქია ჩვენს მხატვარს ძვალ-რბილში აქვს გამჯდარი, ყოფითი სცენა შეუმჩნეველი პედალირებით გადაჰყავს "ცხოვრება-თეატრის" სამყაროში. უცებ, იქნებ მხატვრისათვის მოულოდნელადაც კი, ჩვეულებრივი "ისტორია" სცენაზე აღმოჩნდება, კულისებს "შემოკრებს" და ვირტუალური რამპით განათებულ სინამდვილედ წარმოგვიდგება. ანალოგიურ მეტამორფოზას განიცდიან მისი მოდელებიც.

ნიჟარაძე "პორტრეტისტი" უფროა, ვიდრე პორტრეტისტი. ეგრეთ წოდებული ფსიქოლოგიური ტიპისა თუ ხასიათის დიალექტიკურობისადმი იგი ინდიფერენტულია. მას არ იზიდავს მოდელის ქარაქტეროლოგიურ წვრილმანებში ჩხირკედელაობა - ხასიათის მთლიანობა აინტერესებს, რაც განწყობილებათა მუსიკითაა წარმოჩენილი. თუმცა ხასიათის მკაფიობა, შინაგანი სიცხადე და გარკვეულობა მაინც "სახეზეა". მხატვარი, რომ იტყვიან, ხშირად წერტილს არ სვამს i-ის თავზე. ყოველგვარი "თავის მოხვევის" გარეშე გვიტყუებს თავის (იმავე მოდელის "მე"-ს) სამყაროში. ქვეტექსტებში შემოინახავს დეტალამდე დაწნეხილ, ერთი შეხედვით, სასხვათაშორისოდ მოსროლილ ფერწერულ ფრაზას, როგორც დაუდევარი მონასმით აღბეჭდილ გასაღებს. მიდი და, თუ ბიჭი ხარ, ეძებე! სურათის სივრცე სწორედ ამგვარი გასაღებებით იხსნება. ნაწერის არარეპრეზენტაციულობა, უხეში ტექნიკური პირობითობების პედალირებისაგან თავშეკავება, უფრო ზუსტად, დროული პედალირება - აი, ნიჟარაძის არისტოკრატული ხელწერის მომხიბლავი თვისებები, მისივე ტოლერანტული ნატურის ანაბეჭდები.

## VARIETA

რენესანსს მაინც ვერ ვეშვები... ერთი ცნება - ხატი მახსენდება - Varieta, ანუ მრავალსახოვნება რომ ჰქვია. ეს ძნელად მოსახელთებელი ესსემა "ძველ იტალიაში" ორი მნიშვნელობით მოიხმობოდა.

ჯერ პირველი ვთქვათ: ყოველი ადამიანი "ბუნებისგან" ან "ცითგან", ანდა "ფორტუნასაგან" ფლობს მიდრეკილებებს, ძალისხმევას, ნიჭიერებას. აქედან გამომდინარე უნდა გაზომოს ადამიანმა საკუთარი თავი და დაიკავოს თავისი ადგილი. ესაა Varieta, როგორც ინდივიდებს [illegible]ის განსხვავება.

მეორეც: ყველა უნდა ეცადოს, საკუთარ თავში განავითაროს და მოიპოვოს ყოველმხრივი ცოდნა, ინტერესები, ჩვევები, ცისქვეშეთში არსებული ყოველგვარი განსჯის უნარი. მოკლედ, "უნივერსალურ ადამიანად" ჩამოყალიბდეს. ეს უკვე მსოფლიო Varieta-ა, როგორც ინდივიდის შიგნით განსხვავება - საკუთარ თავში ჩაღრმავებული, გონებითა და მიკროკოსმოსით, ფანტაზიით გამრავალფეროვნებული...

არ მინდა ისე გავიჯირითო რენესანსულ სამყაროში, რომ ჩემი ინტერკულტურული კენტავრით მიწაზე მოვადინო ზღართანი. მაგრამ იმ თეზისს მაინც ნუ დავკარგავთ, რომ თუ ქართულ ფერწერაში რაღაც Neovarieta-ზე მოგვიხდება რეფლექტირება, მის პროტაგონისტად, უპირველეს ყოვლისა, ალბათ, ზურაბ ნიჟარაძე უნდა მოვიხსენიოთ. ყოველ შემთხვევაში, Varieta-ს ზევით მოხმობილი ორპუნქტიანი დეფინიცია ნიჟარაძის ნატურას ხიმულაკრის ნიღბითაც რომ მოერგოს, ესეც სიმპტომატური ინტერკულტურული აქცია იქნება.

## ხელის ხმა

ნიჟარაძე გარკვეული მსოფლმხედველობითი ჰორიზონტის მხატვარია. მიუხედავად იმისა, რომ იგი მრავალსახოვანი მხატვრული ტექსტების მიჯნებზე "მუშაობს", ეს - მაინც მისი ჰორიზონტია.

თითქოს ვერ ვიტყვით, რომ თავისი ფერწერით იგი რაღაც მეტაფიზიკურ შეკითხვებს სვამდეს. და მაინც, სად წაუვალთ იმ გარემოებას, რომ წინასწარ დახასიათებული მსოფლმხედველობა მეტაფიზიკური შეკითხვაა? ამგვარი შეკითხვების გარეშე საქმე გვაქვს უთვალსაწიერო ხელოსანთან. საწიერის მსახველი რაღაა? რა და, წარმოსახვა. მაგრამ რას ხსნის წარმოსახვა? მსოფლმხედველობით ჰორიზონტს. ყოველივე ეს, ცხადია, მჭლე ფილოსოფიური იწილო-ბიწილოა; და მაინც, ასე იკვრება წრე. ბოლოს და ბოლოს, მხატვრობა სხვა არაფერია, თუ არა წარმოსახვის ხორცშესხმა. ხორცშესხმა და... მერე განსხეულება. ნიჟარაძეს ერთიც შეუძლია და მეორეც. განსხეულების შესახებ რეფლექსია შეუქცევადი პროცესია, რომელიც ერთგვარ ფერწერულ Non-finito-მდე ჭიანურდება. მასალისმიერ რეფლექსიაში ჩაძირულ მხატვარს ხანდახან ავიწყდება კიდეც, თუ როდის მივიდა ტილოსთან, რისი ხატვა დაიწყო. სამაგიეროდ, არასოდეს ტოვებს განცდა, რატომაც დაიწყო ხატვა. სხვისი არ ვიცი და მე ეს პროცესი უფრო ღირებული მგონია, ვიდრე ჰაი-ჰარად გათამაშებული გაზეპირებული მოტივების პერსევერაცია. არადა, ნიჟარაძესაც აქვს გაზეპირებული მოტივები, თუმცა მათი "ბოლეროსეული" ვარირებაც ძალუძს.

ნიჟარაძის სურათების შემხედვარე იმაშიც ვრწმუნდებით, რომ მარტო წარმოსახვა (თუ ფანტაზია) დიდი ვერაფერი შვილია, თუ მას არ ახლავს ამ წარმოსახვაზე გამუდმებული ფიქრი, კვაზიდიალოგი, საკუთარი ტეხნეს - თვალის გონებით ხედვა, ანუ საკუთარი ხელის ხმის გაგონება. ეტყობა, ხელსაც აქვს თავისი ხმა, ხელიც გამოსცემს "სხვისთვის" გაუგონარ ხმას. ხელის ხმა! - ესეც ნიჟარაძისეული დისკურსის კიდევ ერთი პარადოქსი.

ეს - "ხელის ხმაა" (თუ ხელის ხმევა?!), იმ ანგელოზებსა და თოჯინებს რომ ამოძრავებს, როგორც ონტოლოგიური თეატრის, თუგინდ ბალაგანის პროტაგონისტებს, აგორაზე - ყოფიერების ამ "ამაოების ბაზრის" მოედანზე რომ გამოსულან და თავის რიგს უცდიან.

უცადონ!..

არილი



ეროვნული ბიბლიოთეკა

ანდრეი ბიტოვი

# ნახევარი საუკუნე პლატონოვის გარეშე



გენიალური წყვილი - ნაბოკოვი და პლატონოვი მე-19 საუკუნის უკანასკნელ წელიწადს მოევლინა ქვეყანას. იმავე 1899 წლის შვილები არიან ლეონიდ ლეონოვი, კონსტანტინ ვაგინოვი, იური ოლეშა, ნადეჟდა მანდელშტამი...

შემზარავია ამ სრულიად განსხვავებული ადამიანების ხვედრი, ძნელია, მათი ცხოვრებისა და შემოქმედების გზას გაადევნო თვალი. ბევრს როდი არგუნა ბედმა კუთვნილი და სამართლიანი ყურადღება. პირველ რიგში ეს პლატონოვზე ითქმის, რომელიც ამ საიუბილეო წელს პუშკინის და ნაბოკოვის ჩრდილქვეშ მოექცა (რაშიც არც ერთია დამნაშავე და არც მეორე). პლატონოვთან დაკავშირებით ეჭვის ქვეშ დადგა ჩვენს შესახებ საყოველთაოდ დამკვიდრებული აზრიც - "მათ მხოლოდ მიცვალებულების სიყვარული შეუძლიათ"-ო.

პლატონოვი მოსკოვში, სომხურ სასაფლაოზეა დაკრძალული. მისი ნიჭის თაყვანისმცემლებს საშუალება აქვთ, მუხლი მოიყარონ მის სამარესთან, თუნდაც წელიწადში ერთხელ, ხუთ იანვარს...

პლატონოვის ცხოვრების ძირითადი მომენტები ცნობილია მკითხველისთვის. იგი ვორონეჟში დაიბადა. პროლეტარის ოჯახმა ახალგაზრდა კაცი რევოლუციისა და გარდაქმნებისთვის შეამზადა. პირველი სუსტი ლექსების შემდეგ მოულოდნელად იფეთქა გენიამ, რომელიც ყოველთვის შეუცნობელია და ამავე დროს, თვალშისაცემიც. გასაოცრად გენიალური კრიტიკოსი იყო ჩვენი დიდი ბელადი და მასწავლებელი იოსებ სტალინი. არც ერთი გენიოსის გამოჩენა არ გამოჰპარვია მის მახვილ მზერას. ცხადია, არც პლატონოვი დარჩენილა ბელადის ყურადღების მიღმა, მის ნაწერებს ხასხასა წითელი ფერით წააწერა გარდი-გარდმო "არამზადა". მანდელშტამის მასშტაბებში რომ გარკვეულიყო, ამისათვის პასტერნაკს დაელაპარაკა. შესაძლოა, კვალიფიციური მრჩევლებიც ჰყავდა ვითარებაში ზედმიწევნით გასარკვევად. ერთი რამ ცხადია, თითოეული მათგანის მიმართ ისეთსავე ყურადღებას იჩენდა, როგორსაც ცნობილ დნეპრჰესთან დამოკიდებულებაში.

პლატონოვი არასდროს მჯდარა სატუსაღოში. ბანაკები მისმა შვილმა მოიარა და შინ ტუბერკულოზი მოიყოლა. სწორედ შვილისგან გადადებული ამ სენით გარდაიცვალა (თუ დაიღუპა?) იგი. პლატონოვმა ზუსტად ნახევარი საუკუნე იცხოვრა. მეოცე საუკუნის პირველი ნახევარი. იმავე საუკუნის მეორე ნახევარი მის გარეშე ჩათავდა. პირველი 50-წლიანი მონაკვეთი კი სწორედ პლატონოვის არსებობით არის მნიშვნელოვანი. მისი ნაწერების აზრი და სული იმდენად უსწრებდა წინ თანამედროვე აზროვნებას, რომ ცენზურულ და იდეოლოგიურ აკრძალვებთან ერთად ამანაც გააძნელა მკითხველის ცნობიერებამდე ამ პროზის მიღწევა. დღეს, 21-ე საუკუნის დასაწყისში, პლატონოვის წაკითხვისას სწორედ ის აკრძალული, შეფარული ნაწილია ყველაზე მნიშვნელოვანი და ფასეული. მაინც რატომაა ძნელადსაკითხავი ზედმიწევნით უბრალო ადამიანების შესახებ, ზედმიწევნით ცხადი და ნათელი სიტუაციების შესახებ უკიდურესად მარტივი ენითა და ლექსიკით დაწერილი ნაწარმოებები? თუკი ყველაფერი ასე ცხადი და შეგნებულად გამარტივებულია, რაში მდგომარეობს მისი სირთულე? როგორც ჩანს, ასაკის ბრალია, მაგრამ მეჩვენება, რომ მე პირადად, პლატონოვს უწინ უფრო იოლად ვკითხულობდი. იგი ჩემი თაობის ცხოვრებაში "დათბობის" პერიოდში, თუ არ ვცდები, 1958 წელს შემოვიდა ფოლკნერთან ერთად. ეს ორი პატარა წიგნი - "შვიდი მოთხრობა" და "მშვენიერ და ნათელ სამყაროში" - დღემდე განუყრელია ჩემს ცნობიერებაში. საქმისმცოდნე ადამიანებს ამ თითისსისქე წიგნებში ჩაუტევიათ შესაძლებლის მაქსიმუმი, ყველაფერი ის, რისი დაბეჭდვაც მაშინ შეიძლებოდა...

სულმოუთქმელად დავეწაფეთ პლატონოვს. დაიწყო პლატონოვით, უფრო კი მისი სტილით თრობა, რადგან წიგნი იდეური შინაარსისგან მაქსიმალურად თავისუფალი გახლდათ. იქ იყო მხოლოდ სინაზე, სიყვარული და ბავშვები. და იყო სრულიად ახალი მეტყველება. ეს საბავშვო გამოცემა სრულად შეერწყა ჩვენს ბავშვურ ცნობიერებას. ახლისმაძიებელი, დამწყები ავტორები პლატონოვის მიერ შემოთავაზებული, მანამდე გამოუყენებელი



მწერლის უკანასკნელი ფოტო. 1951.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სრულიად ახალი სტილით იკმაყოფილებდნენ წყურვილს.

პლატონოვს მრავალი მიმბაძველი გამოუჩნდა, მაგრამ ეს იყო მხოლოდ გარეგნული მიბაძვა. იმ პლეადის მწერლებმა, მათი ძალისა და შესაძლებლობის ფარგლებში, პლატონოვის წერის სტილი აითვისეს და დაივიწყეს. ახლა ეს სტილისტიკა გაზავებული, გასაშუალებული სახით წარმოგვიდგება. შემდეგ, "პერესტროიკის" პერიოდში, კვლავ დადგა ახალი, მანამდე არსებულისგან განსხვავებული სტილით მეტყველების აუცილებლობა. მაშინ ახალგაზრდა მწერლებისთვის მოსანონი და მისაბაძი ლ.დობიჩინი აღმოჩნდა. როგორც ჩანს, ის მივიწყებული სტილი ისეა შეთვისებული და გაზავებული დობიჩინის შემოქმედებაში, რომ იგი თავისი საკუთარი, დამოუკიდებელი ენით მეტყველებს (ბოლოს და ბოლოს, ვინც იამბებს წერს, პუშკინის მიმბაძველობას ხომ არ აბრალებენ). უკანასკნელი რუსი პოეტი, რომელმაც საკუთარი, განსხვავებული პოეტიკის შექმნა და ბოლომდე შენარჩუნება შეძლო, იოსიფ ბროდსკი გახლდათ. მას დღემდე ჰყავს უამრავი მიმდევარი და მიმბაძველი. გარკვეული დროის შემდეგ აღმოჩნდება, რომ ვიღაცის მსგავსად წერა მხოლოდ "ტექნიკაა" და სხვა არაფერი. ფასეულია სხვა, უფრო მნიშვნელოვანი რამ - ვინ წერს და რას წერს. თუ მივიჩნევთ, რომ პუშკინის თუ გოგოლის, პლატონოვის თუ დობიჩინის, ზაბოლოცკის თუ ბროდსკის სტილის გავლენა უკვე ჩავლილი პერიოდია, მაშინ ისღა დაგვრჩენია, მათი ნაწერები ვიკითხოთ.



ქალიშვილთან ერთად. 1940.

სწორედ მაშინ, როცა ცდილობ გაგებას, რა დაწერა (და არა როგორ დაწერა) პლატონოვმა, იჩენს თავს მისი კითხვის სირთულე. თითქოს რაღაც ინგრევა და ნაპრალთან რჩები ტკბობასა და ტანჯვას შორის. არ მეგულება არც ერთი დროისა და ეპოქის სხვა მწერალი, რომელიც ასეთი ძალით განგაცდევინებს სულიერი არსებისადმი თანაგრძნობას, სიბრალულს და სიყვარულს. ეს სიბრალული და სიყვარული იმდენად ძლიერია, რომ თითქმის სიკვდილს უტოლდება. სიყვარულის გამოსახვა შეუძლებელია და ამაშია მისი უმთავრესი არსი. პლატონოვის ნაწერებში ტანჯვისა და სიკვდილისთვის განწირული ადამიანისა თუ სხვა სულიერი არსებისადმი სიბრალული და თანაგრძნობა ისე სულისშემძვრელადაა დახატული, რომ მკითხველიც პერსონაჟებთან იტანჯება და კვდება.

ეს ემოციური ძალა ნებისმიერი კარგი ლიტერატურის კითხვით მიღებულ განცდას აღემატება, იგი ბევრად მეტია და შესაძლებლობის ზღვარს სცილდება.

გამოდის, რომ პლატონოვის ნებისმიერი გვერდის წაკითხვა დიდი დატვირთვა და ვარჯიშია სულისთვის. ნავარჯიშევი სული ტკივილს იწყებს არა მხოლოდ წიგნში წაკითხულის გამო, არამედ საკუთარი გაუხეშებული, გამოფიტული და გამოუყენებელი არსობის გამოც. ამგვარად, ჩვენში აღძრული თანაგრძნობა და სიბრალული არა მხოლოდ სხვის მიმართ თანაგრძნობაა, არამედ, პირველ რიგში, საკუთარი თავის სიბრალული. მთელი ძალისხმევით ვცდილობთ სხვის თანაგრძნობას, მაგრამ ჩვენივე სულის უმწიფრობისა და განუვითარებლობის გამო, მხოლოდ საკუთარი უიმედო მდგომარეობის გამოხატვას ვახერხებთ.

მაშ, რა საჭიროა ამგვარი ნაწარმოებები, რას მიგვანიშნებენ ისინი? ამაზე ფიქრიც კი მზარავს და იქნებ არცაა საჭირო 21-ე საუკუნის პერსპექტივებზე საუბარი, რადგან იგი უცილობლად უკავშირდება ესქატოლოგიას, ქვეყნიერების დასასრულს. რაც შეეხება მე-20 საუკუნეს, მისი მთავარი დამსახურება ისაა, რომ ადამიანს კუთვნილი ადგილი მიუჩინა სამყაროში და სათავე დაუდო ეკოლოგიურ აზროვნებას. ძალიან სამწუხაროა, რომ ამ აზროვნების ჩამოყალიბება გარემომცველი ცოცხალი სამყაროს განადგურების ფასად იქნა მოპოვებული. ხოლო ახალ, 21-ე ათწლეულში ჩვენს პლანეტაზე სიცოცხლე იმდენად იქნება შესაძლებელი, რამდენადაც გააცნობიერებს კაცობრიობა ადამიანთა მოდგმის მიერ გამოვლენილ სისასტიკეს, სიხარბეს, მტაცებლობას და გამოცდილებად შესთავაზებს მომავალს. პლატონოვი ადრევე, ზედმიწევნით ნათლად გრძნობდა ამ პრობლემის გარდუვალობას და კაცობრიობის მომავლის შესახებ საკუთარ აზრს ადამიანისადმი სიყვარულითა და თანაგრძნობით გამოხატავდა. ამიტომაც გვევლინება იგი დღეს განსაკუთრებით აქტუალურ მწერლად. თუ ადამიანის გადარჩენის უფრო რთულ პერსპექტივებს ჩავუღრმავდებით, გასაგები გახდება, რატომ წერდა პლატონოვი უმარტივესი ენით. იგი გამოქვაბულისდროინდელ ქრისტიანობას მოგვაგონებს, წინარექრისტიანულს, პლატონურს. არ ვიცი, პლატონოვი იცნობდა თუ არა პლატონის მოძღვრებას, მაგრამ მისი გამოძახილი ნებისმიერ შემთხვევაში უნდა ვივარაუდოთ.

გავიდა ნახევარი საუკუნე და პლატონოვს, 21-ე საუკუნის მწერალს, მომავლის მწერალს უწოდებენ. გენიოსის ეს დაგვიანებული, მაგრამ დამსახურებული აღიარება არ მახარებს იმდენად, რამდენადაც წუხილი მიპყრობს იმ მომავლის გამო, როდესაც პლატონოვი ყველასთვის გასაგები გახდება. აი, მაშინ პლატონოვი ჰაერივით აუცილებელი იქნება ჩვენთვის.

არ ყოფილა შემთხვევა, რომელიმე იდეას ხორცი შეესხა ცხოვრებაში. უბრალოდ, როცა რაიმე ახალი აღმოცენდებოდა, ახსენდებოდათ, რომ ამის შესახებ იდეა მანამდე არსებობდა. ასე იყო ქრისტიანობის შემთხვევაშიც. ქრისტეს დაბადების ორი ათასი წლის იუბილეს დიდი ზარ-ზეიმით აღვნიშნავთ ამ გადარეული და უგუნური საუკუნეების მიჯნაზე, მაგრამ ქრისტიანობა ქრისტეს დაბადებამდე ბევრად ადრე არსებობდა კაცობრიობის ცნობიერებაში. პლატონოვმა მოახერხა თავისი ნაწარმოებები იმ წინარექრისტიანული, ახლადაღმოცენებული პირველყოფილი ცნობიერების შესაბამისი ენით დაეწერა. იგი ისეთ სიღრმეებში ახერხებს შეღწევას, სადაც ცნობიერება ჯერ კიდევ ჩანასახოვან მდგომარეობაშია და არაფერია ნათქვამი. შესაძლებელია ჯობდეს, რომ პლატონოვი ბავშვებს ვუკითხოთ. იქნებ, მათ უფრო იოლად გაიგონ და დროულადაც.

*2000 წ.*

თარგმნა ემერ ვიგლიანმა

პიერ პაოლო პაზოლინი

# პლატონოვის ჩევენგური

## მოგზაურობა ოციანი წლების რუსეთში



ისევ ეს ქალაქი, ვორონეჟი, სადაც ერთხელ მანდელშტამი გადაასახლეს. და ყოველთვის მის ხსენებაზე - არც ვიცი რატომ, რისხვისა თუ სიბრალულის გამო - დაუფიქრებლად, ალალბედზე წერას ვიწყებ. ასე მხოლოდ ბავშვები წერენ ხოლმე ლექსებს. ვორონეჟი - ქალაქი, სადაც პლატონოვი დაიბადა, ანდრეი პლატონოვი, კიდევ ერთი დიდი მწერალი, მანდელშტამისა და ბულგაკოვისნაირი, შესაძლოა მათზე დიდიც. მწერალი, ვისაც სტალინმა არყოფნა მიუსაჯა, როცა მისი ერთ-ერთი მოთხრობის აშიაზე "ნაძირალა" მიაწერა. ეს საბოლოო, დამანგრეველი დარტყმა იყო პლატონოვისთვის, ადამიანისთვის, ვისაც უკვე მრავალი წელი, 1929 წლიდან, ანუ "ჩევენგურის" დაწერიდან მოყოლებული, დუმილი ჰქონდა მისჯილი და ვინც საშინელ გაჭირვებაში ცხოვრობდა რამდენიმე მეგობრის მცირე დახმარების ამარა დარჩენილი. იგი ვახტერად მუშაობდა ბიბლიოთეკაში. მისი შვილი თხუთმეტი წლისა გადაასახლეს ციმბირში და მხოლოდ იმისთვის დაბრუნდა, რათა მომკვდარიყო. არ ვიცი, როგორ და როდის ჩამოირეცხავენ საბჭოთა მწერლები იმ თავსლაფს, რომელიც გულგრილობის გამო დაიმსახურეს - ალბათ არასდროს და ვერანაირი ხერხებით. არადა, ბევრი მათგანი დღეს ნანობს.

როგორ მინდა პლატონოვს ვგავდე, შერისხვის, სილატაკისა და უბედურებათა უფსკრულის პირას მდგომიც რომ წერდა, აყრილი ჰქონდა შემოქმედებისა და არსებობის უფლება და მაინც წერდა: "დიდი საქმისთვის სულ ცოტა რამაა საკმარისი... ხანმოკლე, ჩვეულებრივი ადამიანური ცხოვრება სრულიად საკმარისია, რათა ყველა ჩანაფიქრი განახორციელო, ან ყველანაირ ვნებას გაუგო გემო. ვინც ამას ვერ ახერხებს, რაც არ უნდა ვადა გაუხანგრძლივო, მაინც ვერაფერს მოასწრებს. ასეთ კაცს უკვდავებაც ვერ უშველის (1)".

"ჩევენგური" (იტალიურ თარგმანში "ახალი ცხოვრების სოფელი") ორი ნაწილისგან შედგება. პირველი 79 გვერდს ითვლის და რუსული ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშებს მიეკუთვნება. მეორე - ესაა მთელი დანარჩენი რომანი, თითქოს ერთი ამოსუნთქვით დაწერილი, უზარმაზარი ესკიზი, რომელშიც ავტორმა ცოტა რამ შეცვალა და ამიტომაც მასში შესანიშნავი გვერდები გვხვდება, იგი არაფრით ჩამოუვარდება პირველ ნაწილს, მაგრამ კომპოზიციურად გაცილებით სუსტია, ხშირია ბუნდოვანი ადგილები, გამეორებები და ა.შ. ამ ნაკლს შესაძლოა იმედები გაეცრუებინა რიგითი მკითხველისთვის (მაგრამ არა კრიტიკოს-ფილოლოგისთვის), თუმცა პლატონოვთან ეს "ნაკლი" იმდენად განსაცვიფრებელი და დახვეწილი "სისადავით" გამოისყიდება, რომ წიგნი, ყოველ შემთხვევაში, სიამოვნებით იკითხება.

### დიდი მწერლის სტილი

პირველი თავი "ოსტატის წარმოშობა" - ესაა, თუ გნებავთ, თავად პლატონოვის ბავშვობის და მოწიფულობის ამბავი, მიუხედავად იმისა, რომ ამ ამბავს სხვა პერსონაჟები ჰყვებიან, რომლებიც ძალიან გვანან პლატონოვმოზარდს. თუკი წიგნის კითხვას ყველანაირი განმარტების გარეშე შევუდგებით, არავის მოუვა თავში აზრად, რომ ეს წიგნი ავტობიოგრაფიულია. "ჩევენგურში" საერთოდ არ იგრძნობა ბავშვობის მოგონებების ატმოსფერო. "ოსტატის წარმოშობის" წაკითხვამდე მცირე ხნით ადრე, ერთი უცნობი რუსი ყარიბის წიგნი წავიკითხე, სადაც სტეპში მისი მოგზაურობა და გასული საუკუნის რუსული სოფლები იყო აღწერილი. პლატონოვის კითხვას რომ შევუდექი, ასე მეგონა, ისევ იმ უცნობი ყარიბის წიგნის გაგრძელება მეჭირა ხელთ; ოღონდ სტილი, რომელიც თავიდანაც ღარიბი და პრიმიტიული მეჩვენა - ეს ხალხური უმანკოების განსახიერება მთელ სამყაროს ავსებდა თავისი შეზღუდულობით, თუმცა ამით არაფრით აკნინებდა მის უსასრულო, შეუცნობელ თვალუწვდენელობას -



5 წლის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უეცრად კარგად დამუშავებული და დახვეწილი გამოჩნდა, რადგანაც პლატონოვი, უპირველეს ყოვლისა, დიდი სტილისტია. დავუშვათ, მას აქვს ამომწურავად გამოხატვის ნიჭი, მისი ნებისმიერი ფრაზა ერთადერთ შესაძლებლად ჩანს მოცემულ შემთხვევაში; დავუშვათ, კარგად ათვისებული "ოციანი წლების მანერით" სახეთა იშვიათ დასრულებულობას აღწევს, ერთ მთელად აქცევს მათ, რომელიც ამაღელვებელიცაა და უბრალოც. მაგრამ ბუნებრივ ნიჭს და ლიტერატურული მიმდინარეობის უდავოდ წარმატებულ არჩევანს პლატონოვთან სტილისტის გულმოდგინება ემატება, რომელიც ყველაფერს ბოლომდე ამბობს და არაფერს ტოვებს ორაზროვნების ნისლში, ყველა ამოცანას ასრულებს და უკიდურეს დახვეწილობამდე მიჰყავს ტექსტი. თუმცა ეს არ უნდა გავიგოთ, როგორც რეალობის (გამომხატველობითი თვალსაზრისით) ზუსტი, გამოკვეთილი და ცხადი არეკვლა, მისი გამეორება. არა, პლატონოვი თავის ოსტატობას არ უქვემდებარებს სიცხადეს, არ ხარჯავს მას იმ მწერლებივით, რომლებსაც აუჩქარებლად დააქვთ საღებავი ტილოზე, დეტალურად ხატავენ ფონს; პირიქით, მას ბუნდოვანება უფრო იზიდავს, იდუმალებით მოსილი გაურკვეველი სიტუაციები, გადარეცხილი, ბაცი ტონები. იგი ჩეხოვის მიმდევარია, მაგრამ არ აღწერს თავის "შთაბეჭდილებებს" პლენერზე, როგორც იმპრესიონისტები, თუმცა კი ჩეხოვი აახლოებს მას იმპრესიონისტებთან. ეს მხატვარი ყოველთვის სახელოსნოში მუშაობს და მისი ხელოვნების უმთავრესი ნიშან-თვისება მტვრის ის თხელი ფენაა, რომელიც საგანთა ზედაპირზეა მოფენილი; ეს მსუბუქი რუხოქროსფერი საფარველი მხოლოდ უდიდეს ოსტატებთან გვხვდება და შეუძლებელია ამოიცნო, რა ტექნიკით მიიღწევა ასეთი საოცრება.

პლატონოვისეული სოფელი მთლიანად ამ იდუმალი მტვრითაა დაფარული და იგი სრულად ფარავს ხილულ სინამდვილეს - სახლებს, სტეპს, მდინარეს, ადამიანებს. ეს სტილი სრულიად საპირისპირო რამაა ხალხურ ლიტერატურასთან შედარებით, თუმცა, ვიმეორებ, "ოციანი წლების მანერა" ზოგჯერ გვაიძულებს ბაბელიც გავიხსენოთ მისი წმინდა, თითქოს მინაზე დატანილი ფერებით. შეგახსენებთ: პლატონოვის სოფელი იგივე სოფელია, რომელიც XIX საუკუნის უცნობმა ყარიბმა აღწერა სწორედ რომ ნაივური, წმინდა, მინაზე დატანილი საღებავებით. პლატონოვისა და იმ ყარიბის გამოცდილება, რომელიც მათ სტეპის სოფელში მიიღეს, იდენტური აღმოჩნდა; მაგრამ ხდება სასწაული - ანდრეი პლატონოვი ამ სოფელს თითქოს ზემოდან უყურებს, კულტურის ყველა უპირატესობითა და უკიდურესად მკაცრი სტილით აღჭურვილი.

აი რატომაა, რომ თხრობის მისეულ მანერაში არაფერია ავტობიოგრაფიული: მისი ნამდვილი, ყოფითი გამოცდილება ძირისძირამდე შეძრა და შეცვალა სხვა, უცხო გამოცდილებამ, რომელმაც გაუცხოება მხიარულ ზიარებად აქცია. ამ სოფელს ორი განმსაზღვრელი თვისება აქვს: სტაბილურობა და არამდგრადობა. იგი მარადიულია და უცვლელი, მაგრამ ამავე დროს (როგორც კი ცუდი მოსავალი მოვა, როგორც კი უკიდეგანო სტეპში ხეტიალის სურვილი გაჩნდება), სოფელი შეგიძლია ისე მიატოვო, რომ გულიც კი არ დაგწყდეს, დააგდო როგორც უძლური, ძალაგამოცლილი, დაცემული, ყოველგვარ მნიშვნელობადაკარგული. მშობლიური სოფლის ამ პირობითობას იქამდე მივყავართ, რომ დრო მასში არასაიმედო და თავნება ხდება, ანუ სიზმრად იქცევა. და ყველაზე მშვენიერი, პლატონოვის მიერ მოთხრობილ ამბავში, რომელსაც მე ანსამბლურს ვუწოდებდი, - ესაა დროის არარიტმული და სრულიად ფანტასტიკური თანამიმდევრობა. როცა ერთი პერსონაჟის, შემდეგ კი მეორის შესახებ გვიყვება, იგი უარს ამბობს თხრობით ლოგიკაზე და შესაბამისად დროზეც. მთელი წელი ეტევა ერთადერთ, მოკლე შენიშვნაში, ხოლო ერთი მოკლე "სცენა ცხოვრებიდან" ზოგჯერ ხანგრძლივ, დაწვრილებით აღწერას მოითხოვს, თუმცა ეს აღწერა ყოველთვის მთელი და გამჭვირვალეა ხოლმე. ესაა შემთხვევითი შეუსაბამობა: აქ თავისუფალი თხრობის პრინციპს ვხვდებით მონტაჟის ხერხების გამოყენებით, რომელიც ჩვენ ახალი ხილი გვეგონა, ახალი აღმოჩენა. პლატონოვის თხრობის მანერა ზაფხულის ცაზე ღრუბლების მწკრივს წააგავს - ნელა, მშვიდად რომ მოძრაობენ.



## თავგადასავალი დონ კიხოტის ყაიდაზე

პირველი წიგნი უეცრად მეორეში გადაიზრდება, ანუ სატირულ რომანში, თუმცა რჩება - ჩვენდა სამწუხაროდ, როგორც გორკიმ შენიშნა - ლირიულ ამბად, ღრუბელივით რომ მიიწევს ბოლოსკენ. ყველაფერი ეს მას შემდეგ იწყება, რაც საშა, მამობილის სახლიდან დაბრუნებისას, სონიას ხვდება - ეს სცენა თითქოს პუდოვკინის ფილმიდანაა აღებული. აქამდე ჩვენ გულშიჩამწვდომი რეალისტური ამბის ჩარჩოში ვიმყოფებოდით, რომელიც პლატონოვის ცხოვრებისეული გამოცდილებით იყო შობილი. ეს ამბავი უნაზეს, საოცარ, მორუხო მტვერში ჩაფლულიყო და ამ მტვრის გამო თვალებიდან ცრემლი გვდიოდა. მაშ ასე, უეცრად, როცა საშასა და სონიას ურთიერთობას სასიყვარულო ისტორიის ოდინდელი ფორმა უნდა მიეღო, საშამ, თითქოს სიზმარში, როგორც მთვარეულმა, მიატოვა სონია. გოგონა სოფელში დარჩა, სადაც მასწავლებლად მუშაობდა.

ასე იწყება საშას სატირული დონ-კიხოტური მოგზაურობანი.

იგი ხვდება რაინდ კოპენკინს, რომელიც ცხენზეა ამხედრებული, სახელად პროლეტარული ძალა. რაინდი სტეპში მოგზაურობს ახალი დონ კიხოტივით, კომუნიზმს ავრცელებს: საშაც მას შეუერთდება, მაგრამ არა როგორც სანჩო პანსა, არამედ როგორც მეგობარი-ინტელიგენტი.

სწორედ აქედან იწყება შეუმდგარი წიგნი, რომე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიც ესკიზებისგანაა აგებული და მასში არაფერია ბოლომდე მიყვანილი: არც კოპენკინის დონ-კიხოტური მოლვაწეობა, არც საშას როლი როგორც იდეოლოგი-ლენინელისა და არც სხვა დანარჩენი სიმბოლური პერსონაჟის როლი, რომლებთან შეხვედრებიც ქმნიან თავგადასავალთა ჯაჭვს. საშას სონიასგან გაქცევის ეფექტური სცენა სუსტია და ბუნდოვანი. ყველა დანარჩენი მოვლენა კი ერთმანეთს ლოგიკის მიხედვით მისდევს და ეს ლოგიკა თხრობიდან სწორედ იმ ეპიზოდებს გამორიცხავს, სადაც მიზეზები შედეგებს შობენ. მართალია გრძელდება შენელებული, ერთფეროვანი მონტაჟი, ისევე როგორც პირველ წიგნში, მაგრამ მეორე ნაწილში იგი სატირული და სიმბოლური თხრობისთვის გამოიყენება, რომელსაც უფრო კონტრასტული მონტაჟი მოუხდებოდა მკვეთრი ნახტომებით და არა ისეთი, სიმწყობრით რომ ხასიათდება.

მოქმედება კი კვლავინდებურად ნელა და მშვიდად ვითარდება, ღრუბელივით მიცურავს: მოვლენები მოვლენებს მისდევენ, როგორც ღრუბლის ერთი ფორმა ცვლის მეორეს ქარის ახირების გამო და ნახატი ყოველთვის დაუსრულებელი რჩება. თხრობის ეს მანერა იმით ხასიათდება, რომ ერთმანეთზე აგებს უმნიშვნელო წვრილმანებს, გამოჰყავს უხალისოდ ნაძერწი პერსონაჟები და ყოველ ახალ პერსონაჟს ავტორის აზრების გამომხატველად აქცევს. თანაც ეს ყველაფერი საოცარი ლირიზმით ხასიათდება, რაც "ჩევენგურს" ზოგიერთი ნეორეალისტური შედევრის წინამორბედად აქცევს (მაგალითად, როსელინისთან მასობრივი სცენები პოს დელტაში (2)), ან სულაც უწყინარი და ირონიული სიურეალიზმის წინაპრად შეგვიძლია იგი მივიჩნიოთ (ვთქვათ, "სასწაული მილანში" (3)). წიგნის ორმაგი ფინალი - რომელშიც საშა, თითქოს თავისივე სიზმრებით მართული, უცნაურად და სატირულ ფერებში დახატული კომუნისტური ექსპერიმენტის შემდეგ, სიურეალისტურ ქალაქ ჩევენგურში რომ მოხდა, მშობლიურ სოფელში ბრუნდება და ტბაში ქრება, სადაც ოდესღაც მამამისი დაიხრჩო, - თავისი დასრულებულობითა და მშვენიერებით რომანის პირველ გვერდებს უტოლდება. პლატონოვის მთელი მეორე ნაწილი ჩვენს მეხსიერებაში ლაგდება და არსებითად, ახლიდან იწერება, დიდი კუპიურებით. მაგრამ იქიდან ბევრი რამ მყისვე გამახსოვრდება, რომელთაც პოეტური თვალსაზრისით დაუვიწყარი ეპიზოდები აერთიანებს. არაა ისეთი გვერდი, სადაც მთხრობელის ცოცხალი და ახლობელი ხმა არ ჟღერდეს - მოკლე შენიშვნებში, ასე უხვად რომაა წიგნში გაფანტული - ეს ამ ნაწარმოების საუკეთესო თვისებაა და ეს ხმა განსაცვიფრებელ მწერალს, ანდრეი პლატონოვს ეკუთვნის.

თარგმნა ᲓᲣᲓᲐ ᲮᲐᲩᲐᲠᲐᲫᲔ

ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲔᲑᲘ:

(1) პაზოლინის მოჰყავს ციტატა პლატონოვის სტატიიდან "პუშკინი ჩვენი ამხანაგი".

(2) იგულისხმება უკანასკნელი ეპიზოდი როსელინის ფილმიდან "პაიზა" (1946).

(3) ვიტორიო დე სიკას ფილმი (1950).

ᲐᲞᲠᲘᲚᲘ



ᲘᲝᲡᲘᲤ ᲑᲠᲝᲓᲡᲙᲘ

# Ა.ᲞᲚᲐᲢᲝᲜᲝᲕᲘᲡ "ᲥᲕᲐᲑᲣᲚᲘᲡ" ᲑᲝᲚᲝᲡᲘᲢᲧᲕᲐᲝᲑᲐ



სამოთხის იდეა ადამიანური აზროვნების ლოგიკურ დასასრულს წარმოადგენს იმ გაგებით, რომ უფრო შორს ეს აზროვნება ვერ მიდის; რადგანაც აღარაფერია სამოთხის მიღმა, აღარაფერი ხდება. და ამიტომაც შეიძლება ითქვას, რომ სამოთხე - ჩიხია; ესაა უკანასკნელი თვალის შევლება სივრცეზე, საგნის დასასრული, მთის მწვერვალი, პიკი, საიდანაც ველარსად გადააბიჯებ, მხოლოდ ქრონოსში - სწორედ ამიტომაც შემოჰყავთ ხოლმე მარადიული ცხოვრების ცნება. იგივე შეიძლება ითქვას ჯოჯოხეთის შესახებაც.

ჩიხში ყოფიერება არაფრით არაა შეზღუდული და თუკი წარმოვიდგენთ, რომ იგი იქაც განსაზღვრავს ცნობიერებას და თავის საკუთარ ფსიქოლოგიას უდებს სათავეს, აღმოჩნდება, რომ ეს ფსიქოლოგია, უპირველეს ყოვლისა, ენაში გამოიხატება. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ სასურველ თუ უკვე მოპოვებულ უტოპიაზე საუბრების პირველ მსხვერპლად გრამატიკა იქცევა ხოლმე, რადგანაც ენა, როცა აზრს ვერ მისდევს, კავშირებით კილოში ინთქმება და ზედროული კატეგორიებისა და კონსტრუქციებისკენ ილტვის; ამის შედეგად, ყველაზე მარტივ არსებით სახელებსაც ფეხქვეშ ნიადაგი ეცლებათ და მათ გარშემო პირობითობის ორეოლი ჩნდება.

ჩემი აზრით, ამგვარია ანდრეი პლატონოვის ენა. წარმატებით შეიძლება ითქვას, რომ მას რუსული ენა აზრობრივ ჩიხში შეჰყავს, ან (უფრო ზუსტად) თავად ენაში ამჟღავნებს ჩიხის ფილოსოფიას. თუკი ეს გამონათქვამი სანახევროდ მაინცაა მართებული, მაშინ პლატონოვი ჩვენი დროის უდიდეს მწერლად უნდა ვაღიაროთ, რადგანაც გრამატიკაში აბსურდის არსებობა პირად ტრაგედიაზე კი არა, მთლიანად ადამიანური რა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სის ტრაგედიაზე მიანიშნებს.

ჩვენს დროში მიღებული არაა მწერლის განხილვა სოციალური კონტექსტისგან მოწყვეტით და პლატონოვიც ყველაზე შესაფერისი ობიექტი იქნებოდა ამგვარი ანალიზისთვის, რომ არა ენისადმი მისი დამოკიდებულება, რომელიც გასცდა იმ უტოპიის (რუსეთში სოციალიზმის მშენებლობა) საზღვრებს, რისი მოწმეცა და მემატიანეც პლატონოვი იყო "ქვაბულში". "ქვაბული" ძალზე პირქუში ნაწარმოებია და მკითხველი დათრგუნული ხურავს წიგნს. იმ მომენტში ფსიქიკური ენერგიის ფიზიკურად გარდაქმნის შესაძლებლობა რომ ყოფილიყო, წიგნის წაკითხვის შემდეგ, პირველ რიგში, არსებული მსოფლიო წყობა უნდა დაგვენგრია და ახალი დროება გამოგვეცხადებინა.

ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ პლატონოვი ამ უტოპიის (რეჟიმის, კოლექტივიზაციისა და ა.შ.) მტერი იყო. ერთადერთი, რაც სერიოზულად შეიძლება ითქვას პლატონოვის სოციალური კონტექსტის შესახებ, ის გახლავთ, რომ იგი ამ უტოპიის ენაზე წერდა, თავისი ეპოქის ენაზე; და ყოფიერების არცერთი ფორმა არ ახდენს ცნობიერების დეტერმინირებას ისე, როგორც ენა. მაგრამ თანამედროვეთაგან განსხვავებით - ბაბელი, პილნიაკი, ოლეშა, ზამიატინი, ბულგაკოვი, ზოშჩენკო, რომლებიც მეტ-ნაკლებად სტილისტური გურმანობით იყვნენ დაკავებული, ანუ ყოველი მათგანი ენას თავისი წესებით ეთამაშებოდა (ეს კი, ბოლოს და ბოლოს, ესკაპიზმის ერთგვარი ფორმაა) - პლატონოვმა თავი დაუმორჩილა ეპოქის ენას, ერთხელ ჩაიხედა მასში და ისეთი სიღრმეები დაინახა, რომ აღარ შეეძლო ლიტერატურის ზედაპირზე ელივლივა, ეხლართა სიუჟეტი ან გატაცებულიყო ტიპოგრაფიული ძიებებითა და სტილისტური მაქმანებით.

რა თქმა უნდა, თუკი პლატონოვის სტილის გენეალოგიის გარკვევას შევეცდებით, აუცილებლად მოგვიწევს გავიხსენოთ წმინდანთა ცხოვრებანი, ლესკოვი თავისი ანდრეზულობით და დოსტოევსკი გაუთავებელი ბიუროკრატიზმებით. მაგრამ პლატონოვის შემთხვევაში საუბარი არაა მემკვიდრეობითობაზე, ან რუსული ლიტერატურის ტრადიციებზე, არამედ იმის შესახებ, თუ როგორაა იგი დამოკიდებული რუსული ენის სინთეტიკურ (უფრო ზუსტად, არაანალიტიკურ) არსზე და იგი - ხშირად წმინდა ფონეტიკური ალუზიების ხარჯზე - ყოველგვარ რეალურ შინაარსს მოკლებული ცნებების გაჩენას განაპირობებს. პლატონოვს ყველაზე ელემენტარული ხერხებითაც რომ ესარგებლა, მისი "მესიჯი" მაინც ქმედითი იქნებოდა და ქვემოთ ვიტყვი, რატომაც. მაგრამ მისი მთავარი იარაღი ინვერსია იყო; იგი სრულიად ინვერსიულ ენაზე წერდა; უფრო ზუსტად - ენისა და ინვერსიის ცნებებს შორის პლატონოვმა ტოლობის ნიშანი დასვა და ვერსიამ კი უფრო მეორეხარისხოვანი, დამხმარე როლი იკისრა. ამ აზრით პლატონოვის ერთადერთ რეალურ მეზობლად, ენობრივი თვალსაზრით, მე "სტოლბცი"-ს პერიოდის ზაბოლოცკის დავასახელებდი.

თუკი კაპიტან ლებიადკინის ტარაკანაზე დაწერილი ლექსის გამო დოსტოევსკი პირველ აბსურდისტად შეგვიძლია მივიჩნიოთ, უროსმცემელი დათვის სცენის გამო პლატონოვი პირველ სერიოზულ სიურეალისტად უნდა ვაღიაროთ. პირველს ვამბობ კაფკას მიუხედავად, რადგანაც სიურეალიზმი სულაც არაა ესთეტიკური კატეგორია, რომელიც ჩვენს წარმოდგენაში, როგორც წესი, ინდივიდუალისტურ მსოფლხედვას უკავშირდება, არამედ ფილოსოფიური ცოფის ფორმაა, ჩიხის ფსიქოლოგიის პროდუქტი. პლატონოვი არ იყო ინდივიდუალისტი, პირიქით: მისი ცნობიერება მასობრიობითა და მომხდარის აბსოლუტურად იმპერსონალური ხასიათით იყო დეტერმინირებული. ამიტომაც მისი სიურეალიზმიც ზეპიროვნულია, ფოლკლორულია და გარკვეული თვალსაზრისით, ახლოსაა ანტიკურ (ანუ ნებისმიერ) მითოლოგიასთან, სიურეალიზმის კლასიკურ ფორმას რომ წარმოადგენს. აბსურდის ფილოსოფიის გამომხატველებად პლატონოვთან ეგოცენტრული ინდივიდუუმები კი არ გვევლინებიან, რომელთაც თავად ღმერთი და ლიტერატურული ტრადიცია ამარაგებს კრიზისული ცნობიერებით, არამედ ტრადიციულად უსულო მასა, და ამის გამო ეს ფილოსოფია უფრო დამაჯერებელი და თავისი მასშტაბითაც აუტანელი ხდება. კაფკასგან, ჯოისისგან, ან ვთქვათ, ბეკეტისგან განსხვავებით, თავიანთი "ალტერ ეგო"-ების სრულიად ბუნებრივ ტრაგედიებზე რომ მოგვითხრობენ, პლატონოვი ერის შესახებ გვიამბობს, რომელიც, გარკვეულწილად, თავის ენას შეეწირა მსხვერპლად, უფრო სწორად, თავად ენის ამბავს გვიყვება. ამ ენამ ფიქტიური სამყარო შექმნა, რის გამოც გრამატიკულ დამოკიდებულებაში გადავარდა.

მე მგონი, ამიტომაა შეუძლებელი პლატონოვის თარგმნა და გარკვეული თვალსაზრისით გაუმართლა კიდეც იმ ენას, რომელზედაც მას ვერ თარგმნიან. და მაინც, უნდა მივესალმოთ ამ ენის აღდგენის, ხელახლა შექმნის ნებისმიერ ცდას, ენისა, რომელიც დროის, სივრცის, თავად ცხოვრებისა და სიკვდილის კომპრომეტირებას ახდენს - უნდა მივესალმოთ არა "კულტურის" მოსაზრებათა გამო, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენ, ბოლოს და ბოლოს, სწორედ ამ ენაზე ვლაპარაკობთ.

თარგმნა მალხაზ ხარბედია

პარილი



ზაალ დგებუაძე

# მოპარული და ფალსიფიცირებული იდეალები

"რომანტიკული (წაიკითხე: პატრიოტული - ზ.დ.) რევოლუციის გმირად მიმაჩნდა თავი და მსოფლიოში ყველაზე მურდალი და თვალთმაქცი წყობის (წაიკითხე: ხელისუფლების - ზ.დ.) ხელის ბიჭად ვიქეცი"

*სლავომირ მროჟეკი*

1988 წლის შემოდგომის ახალგაზრდული და 89 წლის აპრილის საყოველთაო ამბოხის დროს ჩვენ ისე მივუახლოვდით რეალობას, რომ თვით ყველაზე ამაღლებული და განყენებული (რეალობაზე მაღლა ან მის გარეთ მყოფი) ცნებებიც კი - პატრიოტიზმი, ძმობა, ერთობა, თავისუფლება, შესაძლოა აგრეთვე სიყვარული, ამ სიტყვის ყველაზე ტევადი და დარწმუნებული აზრით, - რამდენიმე დღის განმავლობაში ყოფა-ცხოვრებაში შემოიჭრა და რეალობად იქცა. თანაც, არა ცალკეულ ადამიანთა ინდივიდუალურ ფსიქიკურ რეალობად, არამედ, ასე ვთქვათ, საერთო სახალხო სინამდვილედ, ხალხის მამოძრავებელ და წარმმართველ ძალად. სხვაგვარად ვერ აიხსნება, რომ იმ დღეებში თბილისში არ დაფიქსირებულა არც ერთი დიდი თუ მცირე კრიმინალური შემთხვევა. დასახელებული აბსტრაქტული იდეალები მაშინ უფრო ძლიერ ზემოქმედებასაც კი ახდენდა ხალხზე, ვიდრე სხვა დროს თუნდაც სავსებით კონკრეტული სიკვდილის შიში. გავიხსენოთ, რომ ორიოდე წლის შემდეგ, "თბილისის ომის" დროს, მარადიორები ტყვიებს არ უშინდებოდნენ და ბრძოლის ტერიტორიაზე დღე და ღამ დაუზარებლად ძარცვავდნენ სახლებს.

ახლა 89 წლის აპრილის ამბოხის გახსენება, რომლის მოწმე და მონაწილე ლამის მთელი თბილისი იყო, მაინცდამაინც არავის სიამოვნებს. და მიზეზი 9 აპრილის დარბევისას განცდილი შოკი როდია - შოკმა დიდი ხანია გაიარა. არა, მიზეზი დამარცხების მწარე გრძნობასა და იმ იდეალების გაუფასურებაშია, რომლებიც მაშინ გვამოძრავებდა.

რა მოხდა საყოველთაო სიყვარულისა და ერთობის იმ რამდენიმე დღის შემდეგ? როგორ გავლიეთ საუკუნის დასასრულამდე დარჩენილი წლები?

პირადად ჩემთვის ყველაფრის ერთგვარ შეჯამებად იქცა 2000 წლის დეკემბრის მიწურულს ნანახი "ფსიქო" (მეორე ათასწლეულის ბოლო გადაცემა), სადაც აჩვენეს ფრაგმენტები ბესო სოლომონაშვილის ფილმისა ქუჩის მუსიკოსებზე. მაშინ შევიტყვე, რომ უსინათლო მომღერალი ქალები, რომელთა ჟრუანტელისმომგვრელი ხმა - "ჯერ ხომ მცხეთის სვეტიცხოვლის დიდ ტაძარში საქართველოს ცხელი გული ასვენია!" - 9 აპრილის ჩეხვის დროს გაისმოდა როგორც პირდაპირ ისტორიიდან მოღწეული მოწოდება გმირობისა და გაუტეხლობისკენ და სიამაყითა და შემართებით გავსებდა (ეს დახასიათება ახლა შეიძლება მაღალფარდოვან სიყალბედ მოგვეჩვენოს, მაგრამ მაშინ ესეც რეალობა იყო), დიახ, სწორედ ეს ქალები ორი ათასწლეულის მიჯნაზე მიწისქვეშა გადასასვლელებსა და მეტროს სადგურებში სწორედ ამავე სიმღერის მეშვეობით მათხოვრობენ, რათა შიმშილით არ ამოსძვრეთ სული და მათი ხმა ახლა, ალბათ, ყველა გრძნობას აღძრავს, - სიბრალულიდან დაწყებული და მრისხანებით დამთავრებული, - სიამაყისა და შემართების გარდა...

ამ კერძო ფაქტში არეკლილია მთელი ჩვენი 9 აპრილის შემდგომი ცხოვრება: გალატაკებული, მოღორებული, ღირსებააყრილი ხალხის ბედი...

ამბოხი შეიძლება იყოს დაუკონკრეტებელ ზოგადჰუმანისტურ იდეალებზე დაფუძნებული, ან სრულიად უმიზნო და უპროგრამო (იხ. "არილის" ნომრები მიძღვნილი პარიზის 1968 წლის მოვლენებისა და "ბიტნიკებისადმი", 2001 წ. N10 და 2000 წ.N9). ასეთ შემთხვევებში დამარცხების სიმწარე გაცილებით ნაკლებია, რადგან თვით მეამბოხეთა მამოძრავებელი იდეალები ან მოტივები შეუბღალავი რჩება. მოსახლეობის ფსიქოლოგიური მდგომარეობის თვალსაზრისით ყველაზე მძიმე ვითარება იქმნება მაშინ, როცა მასების წარმმართავ "წმინდა" იდეალებს პოლიტიკის უბინძურესი საქმოსნები ეუფლებიან და მათ ხალხის მოღორების და გაყვლეფა-გატყავების საშუალებად იყენებენ.

სწორედ ეს დაემართა ჩვენში პატრიოტიზმს, რადგან 1988-89 წლების ამბოხი მთლიანად მისი ნიშნით იყო აღბეჭდილი, მისი ლოზუნგებით მიმდინარეობდა. ამაზე ხმამაღლა ლაპარაკს ერიდებიან (ალბათ, ცნება "სამშობლოსადმი" ქართული კლასიკური ლიტერატურიდან ლამის დედის რძესთან ერთად შეწოვილი პიეტეტის გამო), მაგრამ დღეს საქართველოში სიტყვა "პატრიოტიზმს" ყოველგვარი ხიბლი აქვს დაკარგული და, განსაკუთრებით ჩვენი ახალგაზრდა თაობისთვის, ლამის "ჩამორჩენილობის", "გონებაშეზღუდულობის" ან, კიდევ უარესი, "ანგარებიანი უტვინო აფერისტობის" სინონიმად არის ქცეული.

ცხადია, ეს არც, ზოგადად, თვით იდეალების უვარგისობის ბრალია და არც, კერძოდ, საკუთრივ პატრიოტიზმის დრომოჭმულობისა. ყველაფრის გაუფასურებასა და ტოტალური ნიჰილიზმის დამკვიდრებაში ბრალი მიუძღვით ხელისუფლების სათავეში მოხვედრილ იმ უვარგის ადამიანებს (პოლიტიკოსებს, დილეტანტ გენერლებსა და სარდლებს, პროფესიონალ ბანდიტებს), რომლებმაც ილუზიონისტის (ან გაწაფული ჯიბის ქურდის) სიმარჯვით გამოგვაცალეს ხელიდან იდეალები და სანაცვლოდ მათი ფალსიფიცირებული და სრულიად უვარგისი დუბლიკატები შემოგვაჩეჩეს.

საერთოდ, ამ ადამიანებს მოუშორებლად თან სდევს ერთი მურდალი თვისება (ერთგვარი წყევლა, რომელიც, როცა ისინი ხელისუფლებას დაეუფლებიან ქვეყნისთვის შეჩვენებად იქცევა ხოლმე): შეხებისთანავე გახრწნან თვით ყველაზე მაღალი რეალური იდეალები, თავიანთი ნამდვილი მიზნების ილუზიურ შესანიღბ მასალად აქციონ ისინი, ხოლომათ ნაცვლად რეალობად დაამკვიდრონ უმდაბლესი მერკანტილური მისწრაფებები და მტაცებლური ინსტინქტები. მათ ისიც კი მოახერხეს, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სახელმწიფოებრიობის დაცვის სავსებით რეალური ამოცანები აფხაზეთის ომის დაწყებით გადაექციათ მოსახლეობის გასაბრიყვებელ ფუყე ილუზიურ ლოზუნგებად, პატრიოტიზმით ან, უბრალოდ, კაცური სინდისით ამოძრავებული ბიჭები - ჯარისკაცები და მოხალისეები - გამოეყენებინათ "საზარბაზნე ხორცად", ხოლო რეალობად დაემკვიდრებინათ სულ სხვა რანგის მოვლენები: ხელისუფლების კიბეზე საფეხურების გადანაწილება და ფული, უკონტროლო იარაღი და ნარკოტიკები...

ამ ადამიანებმა, არა მხოლოდ აფხაზეთი, საქართველოც დაგვაკარგინეს. ამას მოწმობს მოსახლეობის სრული გულგრილობა ქვეყნის ცხოვრების უკლებლივ ყველა სფეროსადმი, და ეს ისეთ უკიდურესად პოლიტიზირებულ საზოგადოებაში, როგორიც საქართველოშია! დღეს ნებისმიერ ახალ მოვლენაში, იქნება ის პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სამხედრო ხასიათისა, ხალხი, უწინარეს ყოვლისა, უმაღლეს ხელისუფალთა ანგარებიან ზრახვებს, მათ კრიმინალური ელფერის მქონე "ანცობას" ხედავს, რადგან, უბრალოდ, დაკარგული აქვს რწმენა, რომ ყველაფერ ამას მის რეალურ ცხოვრებასთან რაღაც კავშირი შეიძლება ჰქონდეს.

წინა სტატიაში ("არილი", 2001 წ.N15) ვწერდი საქართველოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ სივრცეში დამკვიდრებულ ურჩხულზე (უფრო კი, მის გახრწნილ გვამზე) - საბჭოთა იმპერიიდან მემკვიდრეობით მიღებულ სახელისუფლებო სისტემაზე. ოღონდ, დღეს ამ მონსტრუოზული წარმონაქმნის ბატონობას ველარავის დავაბრალებთ: სისტემის ერთგულ მსახურთა მოსვლა ხელისუფლების სათავეში ჩვენივე წყალობით - ჩვენი არჩევნის ან ჩვენი გულგრილობის გამო - ხდება. დღევანდელი ვითარების წაორმომქმნელი უმთავრესი მიზეზი ჩვენსავე მენტალიტეტში უნდა ვეძებოთ: კანონებისადმი უპატივცემულობასა და თანამდებობის პირთა წინაშე ქედმოდრეკაში, ყოველგვარ უზნეობასთან შეგუებასა და ქარიზმატული ლიდერების მოყირჭებულ ხიბლში.

ჩვენ ჯერ საკუთარი პიროვნული თავისუფლებისა და მოქალაქეობრივი ღირსების შეგნება უნდა მოვიპოვოთ და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ფიქრი მოპარული იდეალების დაბრუნებაზე, რეალობის დაბრუნებაზე ან, არსებითად, საქართველოს, როგორც ჩვენი სახელმწიფოს, როგორც სამშობლოს დაბრუნებაზე.

არილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ია ანთაძე

# ჩვენი არჩევანი

ცხრა წელიწადი, რომელიც ედუარდ შევარდნაძის საქართველოში დაბრუნების შემდეგ გავიდა, ბუნებრივად იყოფა სამ ეტაპად.

1992 - 1995 წლებში პოლიტიკურ პროცესებს მთლიანად რუსეთი მართავდა. სწორედ რუსეთის მითითებით ინიშნებოდნენ ადამიანები ყველა სერიოზულ თანამდებობაზე და ბიზნესის სადავეებსაც რუსეთის მიერ ხელდასხმული პირები ფლობდნენ.

1995 წლის ტერაქტის შემდეგ პრორუსული ძალების შევიწროება და დასავლური ორიენტაციის ძალების გაძლიერება დაიწყო. მათ თავდაპირველად თავი მოიყარეს პარლამენტში და ძირითადი საკანონმდებლო ბაზა დასავლურ კანონებს მოარგეს. 1998 წლიდან დაიწყო მედასავლეთე ძალების "გადასროლა" მთავრობაშიც. ბოლო მინისტრი, რომელიც ედუარდ შევარდნაძემ ჟვანიას გუნდიდან შეარჩია, მიხეილ სააკაშვილი იყო.

სააკაშვილი ჟვანიას გუნდის რიგით მეორე წევრია და პოლიტიკური ლოგიკა ითხოვდა, რომ ერთიანი პროცესის მეორე ეტაპი, ანუ დასავლური ორიენტაციის ძალების გაძლიერება, უნდა დასრულებულიყო თავად ჟვანიას გადასვლით აღმასრულებელ ხელისუფლებაში, კერძოდ, პრემიერმინისტრის პოსტზე.

მეორე ეტაპი მართლაც მაშინ დასრულდა, როდესაც ჟვანია დასახელდა პრემიერობის კანდიდატად, მაგრამ, სახელისუფლო ძალების ერთიანი წინააღმდეგობის შედეგად, პრემიერი ვერ გახდა.

რამ გამოიწვია მეორე ეტაპის დასრულება კრახით, ანუ პროდასავლური ძალების დამარცხება?

პასუხი მარტივია: გამოდის, მედასავლეთეთა გუნდი (თავის მოკავშირეებთან ერთად) არ აღმოჩნდა სათანადოდ ძლიერი იმისათვის, რომ გადამწყვეტ ბრძოლაში პოლიტიკურ მეტოქეთა ბანაკი დაემარცხებინა.

გამარჯვების იმედი, ალბათ, ეფუძნებოდა ორიდან ერთ-ერთ ფაქტორს: ან საკუთარი ძალების რწმენას, ან პრეზიდენტის თანადგომის იმედს. შესაბამისად, დამარცხების მიზეზი აღმოჩნდა ან გაზვიადებული წარმოდგენა საკუთარ შესაძლებლობებზე, ან გაზვიადებული იმედი პრეზიდენტის თანადგომასთან დაკავშირებით.

ერთიანი პროცესის მესამე ეტაპი დაიწყო პრეზიდენტის გადადგომით მოქალაქეთა კავშირის თავმჯდომარის პოსტიდან. ედუარდ შევარდნაძის ეს გადაწყვეტილება უნდა მივიჩნიოთ ადეკვატურ რეაქციად პროდასავლური ძალების დამარცხებაზე. პრეზიდენტი ყოველთვის მიიჩნეოდა მედასავლეთე ორიენტაციის ბურჯად. ბოლოხანს განვითარებული პროცესების ფონზე კი მას ორი არჩევანიღა დარჩა: ან უნდა მიატოვოს მედასავლეთეთა ბანაკი და პოლიტიკურ მეტოქეებს ჩაუდგეს სათავეში, ან უნდა დარჩეს მედასავლეთეთა ლიდერად, მაგრამ დამარცხებული გუნდი სხვა, ახალი მედასავლეთეებით ჩაანაცვლოს.

○ ○ ○

მესამე ეტაპის დადგომისთანავე დაიწყო ძალთა დიდი გადანაწილება პარლამენტში. გერმანე ფაცაციას შეფასებით, "მოქალაქეთა კავშირი მოქალაქეთა ნახშირად იქცა", ხოლო პრეზიდენტზე პოლიტიკური ქორწინების იმედი ლამის ყველა ჯგუფს გაუჩნდა.

პოლიტიკურ ძალთა გადაჯგუფების შედეგად, დღეს პარლამენტში ოთხი მეტ-ნაკლებად ძლიერი ცენტრი ჩამოყალიბდა.

1. ედუარდ შევარდნაძის თანამოაზრეები: "თანადგომა", "ალიანსი ახალი საქართველოსთვის", "აფხაზეთი" და, დიდი ალბათობით, "ახალი მემარჯვენეები".

ამ ცენტრის მთავარი ძალა ფრაქცია "თანადგომაა", რადგან ამ ფრაქციაში თავმოყრილი ადამიანები უკიდურესი ნდობით ეკიდებიან პრეზიდენტის ნებისმიერ გადაწყვეტილებას. თუმცა, ფრაქცია "თანადგომა" არ არის პოლიტიკური ნიშნით შექმნილი ერთობა და თუ პრეზიდენტს მედასავლეთე ძალების ჩანაცვლება დასჭირდება, ცხადია, "თანადგომა" ამ ფუნქციას ვერ შეასრულებს. სწორედ ამ შემთხვევაში წამოიწევს წინა პლანზე სხვა ფრაქცია, კერძოდ, "ახალი მემარჯვენეები". საფიქრებელია, რომ "ახლები", საბოლოოდ, შევარდნაძის ბანაკის მთავარ ძალად და გულისგულად ჩამოყალიბდებიან.

2. ზურაბ ჟვანიას თანამოაზრეები: ფრაქცია "მოქალაქეთა კავშირი".

3. კოალიცია "ცენტრი": "ტრადიციონალისტები", "მრეწველები" და "ახალი აფხაზეთი - ქრისტიან-დემოკრატები".

4. ასლან აბაშიძის ბანაკი.

საპარლამენტო ფრაქციების ასეთი განაწილება მეტნაკლებად პირობითია, რადგან ჯერ არ ჩანს, რა ძალებს გააერთიანებს საბოლოოდ ესა თუ ის ცენტრი. დღევანდელი მონაცემებით, დიდ ჯგუფებში დეპუტატები შემდეგი რაოდენობით გაერთიანდებიან: 80 - 50 - 40 - 40. ამის გარდა, პარლამენტში არსებობს 21 წევრიანი ფრაქცია "მაჟორიტარები" და დამოუკიდებელ დეპუტატთა, დაახლოებით, ოცწევრიანი კორპუსი. ვის გააძლიერებს პარლამენტის ეს ორი სეგმენტი, ჯერჯერობით, ბუნდოვანია. ამბობენ, რომ შესაძლოა ფრაქცია "მაჟორიტარები" ორად გაიხლიჩოს და ნაწილი ჟვანიას თანამოაზრეებს შეუერთდეს, ნაწილი კი შევარდნაძის ცენტრს. თავად ფრაქციის თავმჯდომარე ვლადიმერ ქარსელაძე აცხადებს, რომ შევარდნაძესთან ან ჟვანიასთან კი არა, "მრეწველებთან" დაახლოებას გეგმავს.

○ ○ ○

ამჟამინდელი პოლიტიკური მომენტის არსებითი თავისებურება ის არის, რომ პოლიტიკური ლიდერები ინდივიდუალური არჩევანის წინაშე აღმოჩნდნენ. ვნახოთ, რა აქვს ასარჩევი თითოეულ მათგანს.

**ედუარდ შევარდნაძე:** მან უნდა აირჩიოს პოლიტიკური პარტნიორი პარლამენტში. იმის გამო, რომ კოალიცია "ცენტრთან" საბაზისო თანამშრომლობის პერსპექტივა არ არსებობს, პრეზიდენტმა ან ჟვანიასა და "მოქალაქეთა კავშირზე" უნდა შეაჩეროს არჩევანი, ან აბაშიძის ბანაკზე. ეს რთული ვითარებაა, რადგან, "მოქალაქეთა კავშირის" არჩევის შემთხვევაში, პრეზიდენტი ხელახლა შევა იმ ჩიხში, რომლიდანაც ერთხელ დიდი დანაკარგით გამოვიდა. ხოლო ასლან აბაშიძის ბანაკთან თანამშრომლობა სტრატეგიულ დათმობებთან არის დაკავშირებული. მაგრამ თუ არჩევანი მაინც "აღორძინებაზე" შეჩერდება, საფიქრებელია, რომ პარლამენტში სერიოზულ ფუნქციას შეიძენს ნიკო ლეკიშვილი. ბატონი ნიკო ის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადამიანია, რომელსაც კარგი ურთიერთობა აქვს შევარდნაძის ცენტრში თავმოყრილ ყველა ძალასთან, განსაკუთრებით, "ახლებთან". ამავდროულად, ნიკო ლეკიშვილს ასლან აბაშიძესთან საერთო ენა, კარგა ხანია, მოძებნილი აქვს.

**ზურაბ ჟვანია:** პარლამენტის თავმჯდომარეც სერიოზული არჩევანის პირისპირ აღმოჩნდა. მისი მთავარი ამოცანაა, არავის დაუთმოს პროდასავლური ლიდერის ფუნქცია. ამ ფუნქციას ჟვანია შეუცვლელად ატარებს 1995 წლიდან. დღეს კი, საფიქრებელია, რომ პრეზიდენტს ეს ფუნქცია სხვა პოლიტიკური ფიგურისთვის სჭირდება. მეორე მხრივ, ამ ფუნქციაზე, ნებსით თუ უნებლიეთ, პრეტენზიას აცხადებს მიხეილ სააკაშვილიც. და მაინც, საკუთარი საყრდენი წერტილის შესანარჩუნებლად, ჟვანიას არჩევანის გაკეთება სწორედ ამ ორ პიროვნებას შორის მოუხდება. მან ან პრეზიდენტის კალთას უნდა შეაფაროს თავი, ან სააკაშვილს დაუჭიროს მხარი და პრეზიდენტს სულ უფრო მეტად გაემიჯნოს. ზურაბ ჟვანიასთვის იდეალურია შუალედური, გამაწონასწორებელი ფუნქციის შენარჩუნება შევარდნაძესა და სააკაშვილს შორის, მაგრამ, ადრე თუ გვიან, მას მაინც მოუხდება თავისი პრინციპული პოზიციის გამოკვეთა. რადგან დღეს სააკაშვილის ძალა შევარდნაძესთან გამიჯვნაშია, ჟვანიას ძალა კი - შევარდნაძესთან დაახლოებაში.

**ასლან აბაშიძე:** აჭარის ლიდერის არჩევანზე დიდად იქნება დამოკიდებული მოვლენების შემდგომი განვითარება. ჩვენ ზემოთ ვისაუბრეთ იმ ორ შესაძლებლობაზე, რომლის წინაშეც აღმოჩნდა ედუარდ შევარდნაძე: იგი ან პროდასავლურ ძალებს ახალი ფიგურებით ჩაანაცვლებს, ან სულაც მოწინააღმდეგე პოლიტიკურ ბანაკში დაიდებს ბინას. თუ შევარდნაძე მედასავლეთე ძალებს გაემიჯნება, ასლან აბაშიძე მასთან ინტეგრაციას სიამოვნებით დასთანხმდება. ესე იგი, აბაშიძეს შევარდნაძის ცენტრის გაძლიერება ხელს აძლევს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ცენტრი სტრატეგიული კურსის ცვლილებას დააფიქსირებს დასავლეთიდან ჩრდილოეთის მიმართულებით. სხვა შემთხვევაში, თუკი პრეზიდენტი ისევ დასავლური კურსის ერთგული დარჩება და მხოლოდ ჟვანიას ჩანაცვლებას გადაწყვეტს, ასლან აბაშიძე შევარდნაძის პარტნიორობას არ დასთანხმდება. ასე რომ, ამიერიდან შევარდნაძე-აბაშიძის ურთიერთობა საგანგებო ინფორმაციის მატარებლად უნდა მივიჩნიოთ.

O O O

ზემოთ მოცემული უპასუხო შეკითხვების ფონზე განსაკუთრებულ რებუსად გამოიყურება აფხაზეთში განვითარებული მოვლენები.

ამ რებუსის შინაარსს პოლიტიკოსების უმრავლესობა ერთნაირად შიფრავს: ის, რაც ახლა აფხაზეთში ხდება, არის ერთობლივი რუსულ-ქართული პროვოკაცია. ბევრი შიშობს, რომ ამ პროვოკაციის შედეგად გაძლიერდება გუდაუთის სამხედრო ბაზა, დაიკარგება კოდორი და, შესაძლოა, პროცესი სახელმწიფო გადატრიალებითაც კი დასრულდეს.

როდესაც საუბარია რუსულ-ქართული პროვოკაციის საფრთხეზე, ხშირად პირდაპირი ან ირიბი მითითება კეთდება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრზე. პრესის მიერ კახა თარგამაძე ახლა რუსული ინტერესების ერთ-ერთ ბურჯად არის მიჩნეული. ამ ვერსიის საფუძველს ქმნის თარგამაძის გაურკვეველი საქმიანი კონტაქტებიც ბადრი პატარკაციშვილთან. თავის მხრივ, პატარკაციშვილი რუსული წარმოშობის კაპიტალს უშურველად აბანდებს საქართველოში და, თან, ზესაიდუმლო შეხვედრებს აწყობს საკუთარ სახლში. გასაიდუმლოებული შეხვედრა დროში ემთხვევა პატარკაციშვილის მეგობრის, ვინმე ანისიმოვის სტუმრობას საქართველოში. საზოგადოებას ეუბნებიან, რომ ვიდრე პატარკაციშვილს რუსეთი დევნის, თურმე, სწორედ ეს ანისიმოვი იზრუნებს ქართული სიწმინდეების სამშობლოში დაბრუნებაზე. რა კავშირშია სიწმინდეებთან პირსახოცის ქვეშ შემალვა, ამ თემაზე განმარტებას არავინ იძლევა. თავად კახა თარგამაძე საჯაროდ გამოთქვამს უკმაყოფილებას ტელეკომპანია "რუსთავი 2"-ის ზედმეტი ცნობისმოყვარეობის გამო. ასეთი არასწორი აქცენტი კი კიდევ უფრო აძლიერებს ეჭვს პოლიციის მინისტრის მიმართ.

პრესის ვერსიით, კახა თარგამაძეს აფხაზეთის ამბები უკავშირდება ორი კუთხით: ჯერ ერთი, იგი იმყოფებოდა მოსკოვში მოსალაპარაკებლად და ამ მოლაპარაკების შედეგი საზოგადოებისთვის ცნობილი არ არის. შესაძლოა, აფხაზეთში დღეს განვითარებული მოვლენები სწორედ იმ მოლაპარაკებებს ეფუძნებოდეს. და მეორე: კახა თარგამაძეს ეკუთვნის განცხადება, რომ არ არის გამორიცხული აფხაზეთის დაბრუნება ძალისმიერი მეთოდით. ეს განცხადება ორიოდე კვირის წინ ძალიან უნიადაგოდ ჟღერდა, დღეს კი აფხაზეთში საბრძოლო შეტაკებები უკვე მიმდინარეობს.

შაბათს, "კურიერ პოსტ სკრიპტუმის" ეთერში სახელმწიფო მინისტრმა გია არსენიშვილმა განაცხადა, რომ არ არის ცნობილი, რასთან გვაქვს საქმე აფხაზეთში; აგრეთვე, უცნობია ამ პროცესის შესაძლო შედეგი. თუ ეს ინფორმაცია ბუნდოვანია სახელმწიფო მინისტრისთვისაც კი, ვიღაც ხომ ნამდვილად არის საქმის კურსში? ვინ არის ის იდუმალი "ვიღაც", ვისი ინიციატივაც სახელმწიფოს დღეში 2 მილიონი ლარი უჯდება და, უფრო მეტიც, არავინ იცის, რა იქნება საბოლოო საზღაური...

ბოლო ერთი თვის განმავლობაში პრესაში რამდენიმე წერილი დაიწერა "პუტინის სცენარის" საქართველოში შესაძლო ამოქმედების შესახებ. ამ სცენარის მიხედვით, სავარაუდო იყო, რომ დაიწყებოდა ქართული მხარისთვის წარმატებული ბრძოლები აფხაზეთში, რასაც მოჰყვებოდა კახა თარგამაძის სახელისუფლო ტრიუმფი. ამის შემდეგ შევარდნაძეს ისღა დარჩებოდა, ტრიუმფატორი შინაგან საქმეთა მინისტრი საკუთარ მემკვიდრედ გამოეცხადებინა. რუსეთი კი, აფხაზეთის სანაცვლოდ, მიიღებდა მორჩილ ხელისუფლებას საქართველოში.

ეს სცენარი ძალიან გულუბრყვილოდ გამოიყურება დღესაც კი, როდესაც ქართულც-ჩეჩნური შენაერთები აფხაზეთში საოცარი წარმატებით იბრძვიან. მაგრამ რაში გადაიზრდება კოდორის კონფლიქტი ხვალ, - არავინ იცის. ვიცით მხოლოდ ის, რომ ადგილობრივი სვანების ინფორმაციით, ჩეჩნები პანკისიდან კოდორში კახა თარგამაძის დაქვემდებარებაში მყოფი შინაგანი ჯარის მანქანებით გადაიყვანეს. თუ მათ ვენდობით, ამ საქმესთან კახა თარგამაძის "რაღაც კავშირი" ნამდვილად დასტურდება.

O O O

ახლა პანორამა გავამთლიანოთ და საქართველოს სახელისუფლო სივრცე ერთიანად წარმოვიდგინოთ. ამ სივრცეში მთავარი პერსონაჟი ისევ ედუარდ შევარდნაძეა. პირველ რიგში, მან უნდა გადაწყვიტოს, ამიერიდან პრორუსულ ძალებს გააძლიერებს, თუ კვლავინდებურად პროდასავლურ ძალებს დაეყრდნობა, ოღონდ, შეცვლილი "ძირითადი შემადგენლობით".

სურათის სისრულისთვის უნდა ითქვას, რომ დღევან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დელ რეალობაში ეს ორი გადაწყვეტილება ერთმანეთისგან მხოლოდ ფორმალურად განსხვავდება. რადგან ის ძალები, რომლებითაც შევარდნაძე მედასავლეთეების ჩანაცვლებას აპირებს (დავუშვათ, "ახალი მემარჯვენეები"), მშვენივრად თანამშრომლობენ პრორუსულ პოლიტიკურ ძალებთანაც და კახა თარგამაძესთანაც. ეს კი ნიშნავს, რომ "ახლები", ფაქტობრივად, პრორუსულ ბანაკს აძლიერებენ. ამიტომ, მათ სერიოზული გარჯა მოუწევთ იმისათვის, რომ საზოგადოებას დაუმტკიცონ, - რამდენად შეუძლიათ დასავლური ღირებულებების ერთგულება. ჯერჯერობით, ბუნდოვანია, "ახლების" გაძლიერებაში შევარდნაძეს დაეხმარებიან თუ არა ასლან აბაშიძე და კახა თარგამაძე. გავითვალისწინოთ, რომ "ახლების" გაძლიერება, თუნდაც ფორმალურად, მაგრამ უსათუოდ პროდასავლურ კონტექსტში უნდა მოხდეს.

თავის მხრივ, დღემდე მედასავლეთედ ცნობილ ძალას, ანუ ჟვანია-სააკაშვილის გუნდს, არსებული ვითარება ენერგიული ქმედებისკენ უბიძგებს. თუ ჟვანია საბოლოოდ დარწმუნდება, რომ გამოეცალა საყრდენი პრეზიდენტის მხარდაჭერის სახით, ახალი საყრდენის ძებნა მისი გუნდის მთავარ ამოცანად იქცევა. მიხეილ სააკაშვილი ახალ საყრდენს საზოგადოების მხარდაჭერაში ხედავს. ზურაბ ჟვანია კი ცდილობს, შეინარჩუნოს "მთავარი მიკროფონი" და შესაბამისი გავლენა. სწორედ ამ ამოცანის მიხედვით შეირჩა ფრაქციის ახალ ლიდერად მერაბ ტყეშელაშვილი, მიუხედავად გამოკვეთილი პოლიტიკური სახის არარსებობისა. ეს ორი ფაქტორი - ხალხის მხარდაჭერა და პარლამენტის თავმჯდომარის პოსტი - შესაძლოა, არცთუ უმნიშვნელო იარაღი აღმოჩნდეს გადამწყვეტ ბრძოლაში. მაგრამ არ არსებობს ამ ორი ფაქტორიდან რომელიმეს გარანტია: შეძლებს კი სააკაშვილი ხალხისგან სერიოზული მხარდაჭერის მიღებას? მოახერხებს კი ჟვანია პარლამენტის თავმჯდომარის პოსტის შენარჩუნებას?

თავის მხრივ, თარგამაძე-პატარკაციშვილის ბანაკი დასკვნით ბრძოლაში დიდი რესურსით ებმება: მათ აქვთ კაპიტალი და აქვთ ძალაუფლება; მათ აქვთ გავლენა პრეზიდენტის გადაწყვეტილებებზე და მის საბოლოო არჩევანზე.

O O O

აქვს თუ არა რაიმე არჩევანი ქართულ საზოგადოებას? ჩვენ თვალყურს მივადევნებთ პროცესების შემდგომ განვითარებას: ვის აირჩევს პრეზიდენტი - პრორუსულ თუ პროდასავლურ ძალებს. შემდეგ: პროდასავლური ძალების არჩევის შემთხვევაში, ვის აირჩევს ედუარდ შევარდნაძე - ისევ მოქალაქეთა კავშირს თუ ახალ მემარჯვენეებს. ვნახავთ, ვის და რას აირჩევენ ჟვანია, აბაშიძე, თარგამაძე, სააკაშვილი. ამის შემდეგ დადგება დრო, როდესაც ჩვენც უნდა ავირჩიოთ, კერძოდ: ახალი პარლამენტი და ახალი პრეზიდენტი. ყველაფერი დანარჩენი, რაც უკვე ხდება, ან რაც მომავალში მოხდება - ამ მთავარი არჩევანისთვის სამზადისია.

ოღონდ, საკითხავი ისაა, როდესაც ზემოთ ჩამოთვლილი პოლიტიკური ფიგურები საკუთარ არჩევანს გააკეთებენ, ვინ და რა დაგვრჩება ასარჩევი ჩვენ - საქართველოს მოსახლეობას.

არილი

ზურაბ ჭიაბერაშვილი

# სიკვდილი კენჭისყრით



მწარე რეალობა რომ არ იყოს, სემუელ ჰანტინგტონი 11 სექტემბრის კადრებს თეორეტიკოსის მშვიდი ღიმილით შეხედავდა ტელეკრანზე. მის მიერ ნაწინასწარმეტყველები ცივილიზაციათა შეჯახება, რომელიც თითქოსდა ცივილიზაციათა ტერიტორიული შეხების წერტილებში უნდა გათამაშებულიყო, გათამაშდა ცივილიზაციათა ვირტუალური გადაკვეთის წერტილში - ნიუ იორკში.

გატაცებული 4 თვითმფრინავიდან საშინელი ნგრევა და უზარმაზარი მსხვერპლი მოჰყვა სამის აფეთქება. მსოფლიო საინფორმაციო საშუალებების ყურადღების ცენტრში იყვნენ "ამერიკან ეარლაინზის" 2 და "იუნაითედ ეარლაინზის" 1 თვითმფრინავი. მათგან ორი ნიუ-ირკში მსოფლიო სავაჭრო ცენტრის ორ ცათამბჯენს შეასკდა, ხოლო მესამის სამიზნე ვაშინგტონში პენტაგონის შენობა აღმოჩნდა. მეოთხე თვითმფრინავი, რომელიც პირველი თვითმფრინავის შეჯახებიდან საათი და 25 წუთის შემდეგ, 11 სექტემბრის 10:10 საათზე დაენარცხა პენსილვანიის მიწას ქალაქ პიტსბურგის სამხრეთით, თითქოს ყველამ მიივიწყა.

19 სექტემბერს შეერთებული შტატების სენატი, გმირული და ღირსეული საქციელისათვის, კონგრესის ოქროს მედლით (პირველად იგი ჯორჯ ვაშინგტონს ერგო 1776 წელს) აჯილდოებს სწორედ მეოთხე, "იუნაითედ ეარლაინზის" 93-ე რეისის შემსრულებელი თვითმფრინავის ეკიპაჟსა და მგზავრებს. "მათ გააცნობიერეს, რომ ისინი იმყოფებოდნენ თვითმფრინავში, რომელიც საფრთხეს უქმნიდა ათასობით უდანაშაულო ამერიკელს, ამერიკის ძირითად ინსტიტუტებს და ამერიკულ დემოკრატიას. მათ




უარი თქვეს საკუთარ სიცოცხლეზე და ყველა ღონე იხმარეს, რომ თვითმფრინავი იარაღად არ ქცეულიყო გამტაცებლების ხელში", - ნათქვამია კონგრესის დადგენილებაში.

მგზავრების მიერ ახლობლებთან დარეკილი ზარებიდან ირკვევა, რომ მათ ჰქონდათ ინფორმაცია ნიუ-იორკსა და ვაშინგტონში უკვე მომხდარი აფეთქებების შესახებ. ერთ-ერთმა მგზავრმა, თომას ბარნეტმა დაურეკა მეუღლეს: "ვიცი, რომ ყველანი ვკვდებით, მაგრამ ვაპირებთ, რაღაც ვიღონოთ. მიყვარხარ". დღეს უკვე გამოძიებას აქვს საკმარისი მასალა, ამტკიცოს, რომ მგზავრთა ნაწილი კაბინაში შეიჭრა და ტერორისტებთან ბრძოლაში თვითმფრინავის ძირს დანარცხებას მიაღწია.

თითქოს ყველაფერი ნათელია, მაგრამ ამ ამბავში არის ერთი დეტალი, რომელიც, შესაძლოა, უფრო მეტად გახდეს მსჯელობის საგანი, ვიდრე დასავლეთის ცივილიზაციური შეჯახება მაჰმადიანურ სამყაროსთან. ვიდრე გამტაცებლებთან კაბინაში შეიჭრებოდნენ, თვითმფრინავის მგზავრებმა კენჭი უყარეს ამ გადაწყვეტილებას. ყველაზე კრიტიკულ სიტუაციაშიც კი ამერიკელმა მოქალაქეებმა არ უღალატეს დემოკრატიულ პროცედურებს და ხმის უმრავლესობით გადაწყვიტეს, როგორ მოქცეულიყვნენ.

შესაძლოა, არ გაგიკვირდეს მგზავრების გმირული საქციელი, მაგრამ გაოცებას იწვევს ის ფაქტი, რომ მათი გმირობა იყო არა რაღაც სპონტანური საქციელი, არამედ რაციონალურ გათვლაზე დამყარებული გმირობა. თვითმფრინავში გამართული კენჭისყრით რიგითმა ამერიკელებმა დაამტკიცეს, რომ მათ საკუთარი დემოკრატიისა მართლაც რელიგიურად სჯერათ. მოდით ვიკითხოთ: ვისში უფრო ღრმა იყო ღვთის რწმენა და სიყვარული - უბრალო ამერიკელებში, რომლებმაც სხვების გადასარჩენად საკუთარი თავი გაწირეს, თუ ტერორისტებში, რომელთა რელიგიური ფანატიზმი მხოლოდ სხვისი სიძულვილით იკვებება?

1999 წლის თებერვალში დელიში გამართულ კონფერენციაზე "მსოფლიო მოძრაობა დემოკრატიისათვის" ნობელის პრემიის ლაურეატმა ეკონომიკაში, ამარტია სენმა წარმოთქვა სიტყვა, რომელიც საფუძვლად დაედო მის ცნობილ ესეს "დემოკრატია, როგორც უნივერსალური ფასეულობა". (ქართულად ეს ესე დაბეჭდილია მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის ალმანახის "საზოგადოება და პოლიტიკა" მე-3 ნომერში).

ამარტია სენი ამბობს: "პოლიტიკური თავისუფლება ზოგადად ადამიანის თავისუფლების უშუალო შემადგენელი ნაწილია და პოლიტიკური თუ სამოქალაქო უფლებების გამოყენება პირდაპირ კავშირშია პიროვნების, როგორც სოციალური არსების კეთილდღეობასთან". ჩვენ შეგვიძლია დავამატოთ: ღირსებასთანაც!

განა ვინმე ამტკიცებს, რომ ტაილანდელსა თუ ქართველს, ნიგერიელსა თუ ავღანელს ღირსების გრძნობა არ გააჩნია ან კეთილდღეობისაკენ სწრაფვის უნარი დაჰკარგვია. მაგრამ დავფიქრდეთ: მშვიდობიან პერიოდში ჩვენი პოლიტიკური თუ სამოქალაქო უფლებებისადმი აგდებული დამოკიდებულებით უარს ხომ არ ვამბობთ, რომ საკუთარი სიმამაცე, გმირობა და ღირსების გრძნობა კრიტიკული სიტუაციებისათვის გამოვაწრთოთ? დემოკრატიული პროცედურების უგულვებელყოფა ხომ არ გვიჩლუნგებს უნარებს, სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხები ჩვენი და ჩვენი შვილების უკეთესი მომავლის გაცნობიერებით გადავწყვიტოთ?

მოვუსმინოთ ისევ ამარტია სენს: "პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებების გამოყენება მშვენიერი იარაღია ზოგადად ეკონომიკური და სოციალური უბედურებების თავიდან ასაცილებლად. თუ საქმე კარგად მიდის და ყველაფერი საათივითაა აწყობილი, დემოკრატიის ეს ბერკეტი შესაძლოა არც არავის გაახსენდეს. ...დემოკრატიის დამცავი ფუნქციის მოშლა სწორედ ექსტრემალური საჭიროების დროს ჩნდება ყველაზე მწარედ".

ამ აზრით, ამერიკამ დაამტკიცა, რომ დემოკრატიის დამცავი ფუნქცია მას არ მოშლია. მან ეს დაამტკიცა უფრო ადრე, ვიდრე ქვეყნის პრეზიდენტი ხალხს მიმართავდა, ვიდრე საბრძოლო თვითმფრინავები საჰაერო პატრულირებას დაიწყებდნენ, ვიდრე ნიუ-იორკის მერი მანჰეტენის სამხრეთში სამაშველო სამუშაოებს დაიწყებდა. ამ ფუნქციამ იმუშავა ჯერ კიდევ მაშინ, როცა ჩამოსანგრევად განწირული ცათამბჯენების კიბეებზე სხვათა სიცოცხლის გადასარჩენად მეხანძრეები და პოლიციელები არბოდნენ; ამ ფუნქციამ იმუშავა "იუნაითედ ეარლაინზის" 93-ე რეისის ბორტზეც, როცა რიგითმა ამერიკელებმა სიკვდილიც საკუთარი კენჭისყრით მიიღეს.

P.S. მართალია, არა იმ დოზით, მაგრამ დღეს საქართველო ასევე ექსტრემალურ სიტუაციაში იმყოფება, როცა რუსეთისა და საკუთარი კორუმპირებული ხელისუფლების წყალობით შეიძლება წამოვეგოთ პროვოკაციას - დაიწყოს ომი აფხაზეთში. ისევ ამარტია სენი: "ქვეყანას კი არ მოეთხოვება მზადყოფნა დემოკრატიის მისაღებად, არამედ სწორედ დემოკრატიის მეშვეობით აღწევს ამ მდგომარეობას".

და სწორედ ახლა ვისაკლისებთ ჩვენში დემოკრატიის არსებობას, როცა ვგრძნობთ უძლურებას, შევცვალოთ საკუთარი ქვეყნის მთავრობა. და შესაძლოა, ჩვენც ავირჩიოთ სიკვდილი, მაგრამ არა კენჭისყრით, არამედ სწორედ კენჭისყრის არარსებობის გამო.

ზურაბ ქარუმიძე

# დიდი თამაშის დასასრული ანუ გოდო აკაკუნებს

2001 წლის 11 სექტემბერს, მანჰეტენზე, საერთაშორისო სავაჭრო ცენტრის ცათამბჯენთან ტერორისტების მიერ გატაცებული "ბოინგის" შეჯახებით დასრულდა პოსტმოდერნიზმი: კულტურის მდგომარეობა, რომელიც ორმოც წელიწადზე მეტ ხანს გაგრძელდა. დასრულდა ეს თამაში, რომელიც ქმნიდა გამოგონილი ორიგინალების აბსოლუტურად იდენტურ ასლებს; დასრულდა ონტოლოგიური მუშაითობა ნამდვილსა და შეთხზულს შორის გაბმულ ბაწარზე; დასრულდა ორაზროვან და განუსაზღვრელ ნიშანთა ღია სისტემებში როგორც ლაბირინთებში ხეტიალი...

პოსტმოდერნიზმის დასასრული ერთობ მოდერნისტული კი გამოდგა: სწორედ მოდერნიზმი გამოირჩეოდა ირაციონალური დესტრუქციულობით და სისტემათა ნგრევისადმი მიდრეკილებით... მაგრამ ეს არ გულისხმობს მოდერნიზმში დაბრუნებას, არც შუასაუკუნეებში დაბრუნება იგულისხმება ამ შემთხვევაში... აქ საერთოდ არა გვაქვს საქმე რაიმენაირ დაბრუნებასთან. ეს წინსვლაა, ხოლო თუ საით - არავინ იცის. ეს არის ტერორით დაფეთებული ცივილიზაციის ბრმა ნაბიჯი რაღაცა ახლისაკენ... რაღაცა სხვისაკენ... ფაუსტური გარღვევა, რომლის აუცილებლობაზე ადრეც ითქვა, განხორციელდა...

ტ.ს. ელიოტისეული პროგნოზისაგან განსხვავებით (იხ. მისი "ფუტურო კაცები") არც ღნავილით და არც ქვითინით, არამედ ზათქით და ნგრევით, და კიდევ კასტრაციით და თავისკვეთით დასრულდა პოსტმოდერნიზმი.

ჯერ კასტრაციისა ვთქვათ, - უფრო მოკლეა. ორ პენისს, ვეება, ასათსართულოვან პენისს, ორი "ბოინგი" გაშლილი მაკრატელივით დაეტაკა და წაჭრა...

ეს მოხდა იოანე ნათლისმცემლის თავისკვეთის დღეს, მაშინ წარიკვეთა ორი ვეება, ასათსართულოვანი თავი პოსტმოდერნისა - ტერორის მათრობელა როკვაში გადარეული ფანატიკოსების ახირებით, როგორც სალომემ იცეკვა შვიდი საფარველის ცეკვა ჰეროდეს წინაშე, ნათლისმცემლის სანუკვარი თავის სანაცვლოდ. ილუზიების, სიმულაციური ხატების შვიდი საფარველი აეხადა თანამედროვე კულტურას და გამოჩნდა ის უტყუარი, უპირობო და ერთადერთი ინსტანცია, რომელსაც ამ ეტაპზე *რეალობის* სახელი დაერქმევა. მარტივად რომ ვთქვათ, რეალობის გრძნობა დაგვიბრუნდა.

რას შეიძლება ეწოდოს "რეალობა" პოსტმოდერნიზმის დაცემის შემდგომ? რეალობა არის იქ სადაც **დაგვარი ხვდება მისდამი სრულიად სხვას**.

თამაში, რომელიც პოსტმოდერნიზმის პირობებში გასცდა ესთეტიკის სფეროს და ყოველდღიურობა მოიცვა იმდენად, რომ სხვაობა ყოველდღიურობასა და ესთეტიკას შორის მოიშალა, ამჯერად იქცა დაგვარის დამოკიდებულებად სხვაგვარის მიმართ - სხვაგვარის დათმენა იქნება ეს, თუ ძალადობის აქტების ერთობლიობა მის წინააღმდეგ. დაგვარის მიმართება სხვაგვართან - ტოლერანტული დიალოგის თუ აგრესიული ფორმით: ერთიც და მეორეც გულისხმობს რეალობის შესაძლებლობას - რეალობა განიცდება იქ, სადაც მე ვხვდები ჩემდამი სრულიად სხვას; რეალობა, სინამდვილე ამ შეხვედრაშია - ამ შეხვედრის "ალაგია".

მავანი შენიშნავს, კი მაგრამ, განა სხვაგვარობისადმი და სხვისადმი ღიაობა არ წარმოადგენდა პოსტმოდერნიზმის ერთ-ერთ ძირეულ პრიორიტეტს?!.. გნებავთ სექსუალური ორიენტაციის "სხვაგვარობა", ეთნიკური, კულტურული, რელიგიური უმცირესობისადმი, თუ სხვა რამ ალტერნატიულისადმი გახსნილობა და დიალოგისათვის მზადყოფნა - განა ამას არ ქადაგებდა პოსტმოდერნიზმი?!

დასტურ, რომ ამას ქადაგებდა. მაგრამ საქმეც ისაა, რომ პოსტმოდერნიზმის "სხვა" და "სხვაგვარი" ე.წ. "თავისი" სხვა და სხვაგვარია. პოსმოდერნისტული (დასავლური) ცივილიზაცია თავადვე ქმნიდა "თავის" სხვას, როგორც მისაღებსა და ხელმისაწვდომს, გასაგებსა და განმარტებისათვის კომფორტულს. ეს იყო შეთხზული სხვა (შდრ.: "ხელოვნური



სხვა", რომეზეც წერდა ბოდრიარი. იხ. მისი ესსე *ქალაქი და სიძულვილი*, "არილი", #16, 2001), გამოგონილი სხვაგვარობა, რომელსაც პოსტმოდერნიზმი თავის დაგვარობაში ისევე ეთამაშებოდა, როგორც პოსტმოდერნისტი მწერალი თამაშობდა შეთხზული და "ნამდვილი" სამყაროებით.

ეს "თავისი სხვაგვარობა" იმდენად "გათავისდა" პოსტმოდერნისტულ სისტემაში, რომ ოდესღაც მარგინალური და ალტერნატიული ორიენტაცია ლამის ცენტრალურად იქცა ამ სამყაროსათვის. *სხვა* როგორც იდუმალი, როგორც ის, რაც ხელიდან გისხლტება, რომლის გაგებაც გარკვეულ გასაღებს საჭიროებს - ჰერმენევტიკულ ძალისხმევას - ასეთი *სხვა* გაუხშოვდა და გაქრა. იგი განქარდა კომპიუტერული ტექნოლოგიების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ტოტალურ ექსჰიბიციონიზმში, პორნოგრაფიულ გამჭვირვალებაში; მოხდა მისი ტირაჟირება, სავაჭრო მარკად ქცევა; მოხდა მისი დემპინგი, ჭარბწარმოების შედეგად გაუფასურება და საბოლოო ჯამში მასობრივი მოხმარების ნაგვად გადაიქცა.

და აი, მანჰეტენზე დატრიალებული კოშმარიდან, დასავლური ცივილიზაციის წინაშე აღიმართა ჭეშმარიტი *სხვა*, რომელთან შეხვედრაც რეალობის დაკარგულ გრძნობას აცოცხლებს და განაპირობებს რეალობას როგორც ასეთს. და როგორც ჭეშმარიტი შეხვედრა ნამდვილ *სხვასთან*, დასავლური ცივილიზაციის ეს შეხვედრაც ამ *სხვასთან* ქალაქში მოხდა - ქალაქთა ქალაქში, ქალაქთა ქალაქის გულში, მანჰეტენზე.

ამ შეხვედრის სირთულე, ამ განცდის პარადოქსუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობა იმაში მდგომარეობს, რომ ეს *სხვა* და მისი სახე ჯერ გაურკვეველია. განვლილ წელთა გამოცდილების ინერციით ეს შეხვედრა ისახება როგორც რელიგიურ-იდეოლოგიური ფანატიზმის ბრძოლა ლიბერალურ-დემოკრატიულ პრაგმატიზმთან. მავანი ცდილობს იგი დასახოს კონკრეტულ პიროვნებად (ბენ ლადენი, სადამ ჰუსეინი), ქვეყნად (ავღანეთი), ქვეყნების ერთობად (ე.წ. ნაძირალა სახელმწიფოები), თუ რელიგიურ-ფსიქოპათურ გადახრად (თალიბური ტერორიზმი, ისლამური ფუნდამენტალიზმი, ანტიგლობალისტური ანარქიზმი), და ა.შ. მაგრამ პრობლემა ისაა, რომ ეს ახლად მოვლენილი "რეალური სხვა" ამ ჩარჩოებში ვერ თავსდება, მისი განმარტება და განსაზღვრა ხელიდან გვისხლტება, და ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან რაიმეს განსაზღვრა მისი ნეგაციაა, - Omnis determinatio est negatio. *აბსოლუტური სხვა* არ წარმოადგენს არც კონკრეტულ ადამიანს, არც შეთქმულთა ორგანიზაციას, თუმცა შესაფერისი წარმოსახვისა და მისტიკური მიდრეკილებების მქონე კაცმა შეიძლება რომ ვილაცა შემხვედრის, კონკრეტული ადამიანის გამოხედვაში ამოიკითხოს მისი ნაკვთები, ისევე როგორც რაიმე ფარული ორგანიზაციის მიერ გავრცელებულ ტექსტში, თუ ვიდეომასალაში.

ჭეშმარიტი, აბსოლუტური და არა "შენი" *სხვა,* თვითონ გამოდის კონტაქტზე, ("გარედან მოდის" - ბოდრიარი), თავს გახვევს ურთიერთობას, და ამდენად მისი "ერთი ნახვით" შეცნობა ილუზიაა. მას ვერ შეიცნობ, ვიდრე საკუთარ კლიშეებს და სტერეოტიპებს არ დაანგრევ, - ისევ და ისევ *სხვის* მეშვეობით.

რაკილა ეს *სხვა* მოუხელთებელია განმარტებითი თვალსაზრისით (არანაკლებ, ვინემ სემუელ ბეკეტის *გოდო*), აჯობებს ისევ იმ რეალობის განცდიდან გამოვიდეთ, რომელიც ამ *სხვასთან* შეჯახებისას გამოჩნდა. სწორედ ამ განცდაში უნდა ამოვიკითხოთ გარედან მოსული სხვის ნიშნები.

რეალობის ახალი განცდა სცილდება იმ ურბანიზირებული და ვირტუალური სიძულვილის ფარგლებს, რომელთა გამოც ღაღადებს ბოდრიარი. დასავლური ეკლექტური კულტურის melting pot დაიმსხვრა და საკუთრ თავზე მიმართული ვირტუალური სიძულვილის ვექტორები გარეთ გაიფანტა. ერთი მხრივ, ეს სიძულვილი დაკონკრეტდა: სიძულვილი ბენ ლადენის, თალიბანის, ანტიგლობალისტების, და ა.შ. მიმართ; ხოლო მეორე მხრივ, სისტემის აღვსილობის და უნივერსალობის განცდას დაუცველობის და მოწყვლადობის განცდა ჩაენაცვლა, რასაც დაერთო განადგურების შიში და აგრესია პოტენციური მოწინააღმდეგის მიმართ. ნეგატიურობა, კონფლიქტურობა, სიკვდილი კვლავ დაუბრუნდა იმ საზოგადოებას, რომელიც ბოდრიარისავე სიტყვით ემყარებოდა გადარწმუნების, დაშოშმინების, ნეიტრალიზაციის, კონტროლის ძალადობას.

პოსტმოდერნიზმი გამოირჩეოდა უკიდურესი რელატივიზმით - იგი არ ცნობდა მყარ ღირებულებებს; იგი ახდენდა მათს დეკონსტრუქციას, და ამგვარად ადგენდა ღირებულებათა რელატიურ ბუნებას, ანუ რაიმე ღირებულება ამგვარი იყო მხოლოდ იმდენად, რამდენადაც არსებობდა მისი საწინააღმდეგო, ანტი-ღირებულება.

ამჟამად, პოსტმოდერნიზმის ნანგრევებში მოხეტიალე თაობისათვის კვლავ დგება სტაბილურ ღირებულებათა პრობლემა. მავანი თავშესაფარს პოულობს ათი მცნების და ისეთი ტრადიციული ღირებულებების წიაღში, როგორიცაა (ისაია ბერლინის ნუსხით) ***ადამიანურობა, მშვიდობა, ომი, სტაბილობა, თავისუფლება, ძალაუფლება, ამაღლება, დაცემა,*** და ა.შ. ანუ, ის ღირებულებები, რომლებსაც ჩვენი ენა და სიმბოლოები უკრიტიკოდ ღებულობენ, როგორც უპირობოს და იმთავითვე გასაგებს - ჩვენი ყოფიერების საფუძველშივე მყოფს. ესეგვარ ლტოლვილთა შემთხვევაში რეალობის ახალი განცდა კარგად დავიწყებული ძველის ბანალური შემობრუნებაა. ასევე, მავანნი ანტი-ისლამურ და ანტი-ანარქისტულ აგრესიაში მოიოხებენ გულს.

ხოლო მათთვის, ვინც არ აპირებს, ან ვერ ახერხებს ტრადიციულ ღირებულებათა თავშესაფარში დაყუდებას, ანდა აგრესიულ განმუხტვას, ახლად განცდილი რეალობა უკიდურესად არამდგრად, არაპროგნოზირებად სივრცედ რჩება, - გამრუდებულ, პარადოქსულ, აპორეტიკულ სივრცედ. სწორედ ამგვარ სივრცეში მოუწევთ ქმედება კრიტიკული აზრის და ხელოვნების ხალხს. და რაც მთავარია, სწორედ მათ ეკისრებათ დიალოგი ამ ***აბსოლუტურ სხვასთან*** - მისი განსიტყვება და გამოსახვა. ეს კი, თავის მხრივ, შესაბამის კორექტივებს შეიტანს როგორც ხელოვნებაში, ისე კრიტიკულ თუ თეორიულ აზრში საერთოდ.

ციტირებული ესეის ბოლოში ბოდრიარი აღნიშნავს: - "აპოკალიფსის ავტორები მეთოდური ადამიანები იყვნენ. ისინი ეპისტოლეებს უგზავნიდნენ ერთმანეთს, იმის ნაცვლად, რომ თავად ანტიქრისტეს აზრი გაერკვიათ." ახალ ხელოვნებასაც და ფილოსოფიასაც მოუწევს თავი დაანებოს შიდა მოხმარებისათვის განკუთვნილი "ეპისტოლეების" წერას და "ანტიქრისტეს აზრის" გარკვევა სცადოს, ცხადია, ტრადიციული რელიგიურ-ესქატოლოგიური კონოტაციის გარეშე, რადგან "ანტიქრისტე" ქრისტიანობის მიერ "შეთხზული" *სხვაა,* "თავისი სხვა"და არა ***აბსოლუტური სხვა.***

არილი



ეროვნული ბიბლიოთეკა



ნიკო ჭავჭავაძე და პიტერ ბრუკი

**http://www.opentext.org.ge/arili**

ფკაპ HERE



ჰაროლდ პინტერთან ერთად. ლონდონი, 1982.



2001 წლის სალიტერატურო ნობელის ლაურეატი



# ვ. ს. ნეიპოლი

დაწვრილებით იხილეთ „არილის“ შემდეგ ნომერში